

ყოფილი გენერლის პოლიტიკური დაისი A3



"თქვენი აფხაზეთი" A7



თურქული თეატრი C4

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 12 აპრილი, 2006 წელი. №79 (1231) | ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### პროდი გამარჯვებას ზეიმობს

იტალიის საპარლამენტო არჩევნების ოფიციალური შედეგებით, მოქმედი პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონის კონსერვატიულმა ბლოკმა რომანო პროდის მემარცხენე-ცენტრისტულ კოალიციასთან საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატისთვის ბრძოლა მინიმალური სხვაობით წააგო.

A3

## სამართალი

### ბიზნესინტერესებს შეწირული სამართალი?

"ძალადობის ან ძალადობის მუქარით სხვისი ნივთების დაზიანებით ან განადგურებით მონოპოლური საქმიანობის განხორციელებაში" ბრალდებული, სპეცდანიშნულების რაზმის "ალფას" ყოფილი წევრი, აფხაზეთის ომის დროს მხედრული მამაცობისთვის პირველი ხარისხის მედლით დაჯილდოებული, ფირმა "კომპიუტერ ლენდის" ხელმძღვანელი თეიმურაზ (ბაჩო) შარაშენიძე თერთმეტი თვის განმავლობაში უშედეგოდ ელოდებოდა სასამართლო პროცესის დაწყებას.

A4

### „ბრიტანეთის ავიახაზების" და „24 საათის" ერთობლივი ვიქტორინა

A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 12/04 | 13/04 |
|---|---|---|
| თბილისი | 23 | 25 |
| ტყიბული | 23 | 21 |
| სოხუმი | 24 | 22 |
| დმანისი | 20 | 18 |
| გორი | 22 | 21 |
| ონი | 19 | 16 |
| ზუგდიდი | 26 | 23 |
| ახმეტა | 23 | 25 |
| გაგრა | 23 | 22 |
| სამტრედია | 26 | 23 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8220 |
| ევრო | 2.2079 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1794 |
| რუბლი | 0.0658 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| პროექტი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# მსგავსი იზიდავს მსგავსს

### რაც უფრო სუსტია საქართველო, მით უარესი რუსეთისათვის

ავთო ჯოხაძე

დღესდღეობით რუსულ-ქართული ურთიერთობების გორდიას კვანძი დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის გადაუჭრელ საკითხშია განასკვული. ცხინვალში და აფხაზეთში რუსი სამხედროები ჯერაც სამშვიდობოების მანდატით დგანან, მაგრამ თუ პრობლემას დიპლომატიური რევერანსების გარეშე შევხედავთ, ეს ტერიტორიები რუსეთის მიერ არის ანექსირებული. ამის უმთავრესი მიზეზი დასავლეთის, უფრო ზუსტად კი ნატო-ს კავკასიაში შემოღწევის წინააღმდეგ მიმართული რუსული სტრატეგიაა. საქართველო და საერთოდ ამიერკავკასია კარგა ხანია, რაც რუსულ-დასავლური მეტოქეობის სარბიელად იქცა და დღევანდელი რუსულ-ქართული ურთიერთობებიც ამ გლობალური და ხანგრძლივი დაპირისპირების კონტექსტშია გახლართული; ორ ქვეყანას შორის გრძელვადიანი ურთიერთობის გარკვევა კი, პოლიტიკური კონიუნქტურის შესწავლის გარდა, ამ ქვეყნების ელიტების მსოფლმხედველობაზე და პოლიტიკურ კულტურაზე დაკვირვებასაც მოითხოვს.

უპირველესი, რაც ამ თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას, ის ახალი იდეური მდინარება, ერთგვარი **პოლიტიკური იდეალიზმია**, რომელმაც გასული საუკუნის დასაწყისში ევროპის კონტინენტი მოიცვა.

1919 წელს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე აშშ-ს პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა ცნობილი "14 დებულებით", მსოფლიო პოლიტიკურ და დიპლომატიურ პრაქტიკაში ახალ ერას დაუდო დასაბამი: ამიერიდან ამერიკის იდეურ-პოლიტიკური ჰეგემონობის წყალობით პიროვნების თავისუფლების იდეა და ადამიანის უფლებების დაცვა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების ქვაკუთხედად შეირაცხა; ამერიკელების ფართო საერთაშორისო არენაზე გამოსვლას (პირველ მსოფლიო ომში ჩაბმას) ის შედეგი მოჰყვა, რომ ამ ქვეყნის საშინაო პოლიტიკის ბანალობები საერთაშორისო პოლიტიკის ფუნდამენტურ პრინციპებად გამოცხადდა. ამიერიდან სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებიც იმავე მორალურ პრინციპებს უნდა დაყრდნობოდა, რასაც შიგასაზოგადოებრივი ცხოვრება: სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები ძალთა ბალანსის უკვე ტრადიციად ქცეული სისტემის მიხედვით კი აღარ უნდა წარმართულიყო, არამედ - კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპებით; ფარული და საიდუმლო გარიგებების ნაცვლად - ღია შეთანხმებების პრაქტიკა უნდა დამკვიდრებულიყო და ა.შ.

ამერიკიდან შემოსული ეს ახალი იდეური ტენდენციები და სტანდარტები ევროპული სახელმწიფოებისთვის უცხო სულაც არ ყოფილა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ბოიკოტი გაგრძელდება... „ისტორიულ კენჭისყრამდე"

### დსთ-ში საქართველოს ყოფნას "ერთპარტიულ" პარლამენტშიც აკრიტიკებენ

გიორგი ასანიშვილი

*პარლამენტის სხდომათა დარბაზში ოპოზიციონერი დეპუტატების სამუშაო მაგიდებზე აპარატის თანამშრომლებმა გუშინ ჩვეულებრივ დაალაგეს კანონპროექტები, მაგრამ მთელი დღის განმავლობაში მათ არავინ მიკარებია და ერთხელაც არავის გადაუფურცლავს - ასეთია ოპოზიციის მიერ გამოცხადებული ბოიკოტის ვიზუალური მხარე.*

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს ყოფნა-არყოფნის მიზანშეწონილობის თემაზე მსჯელობას სახელისუფლებო ფრაქციის წევრები ყოველთვის თავს არიდებდნენ, მაგრამ გუშინ ეს საკითხი სწორედ მათ წამოწიეს წინა პლანზე.

გაგრძელება A3 გვერდზე



*ასეთია ოპოზიციის მიერ გამოცხადებული ბოიკოტის ვიზუალური მხარე.*

# გუუს ჰიდინკი: "ბატონ აბრამოვიჩს ვესაუბრე"

ჰოლანდიელი გუუს ჰიდინკი რუსეთის საფეხბურთო კავშირთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს ვადის კიდევ ორი წლით გაგრძელების პერსპექტივით. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ისიც დაადასტურა, რომ რუსებთან ამ შეთანხმებაში შუამავლის როლი "ჩელსის" მეპატრონემ რომან აბრამოვიჩმა შეასრულა.

ორშაბათს ჰიდინკმა ინტერვიუ მისცა ჰოლანდიის სპორტულ არხს. ინტერვიუს მთავარი თემა "ეინდჰოვენის" მიერ ვადამდე მოპოვებული ჩემპიონის ტიტული იყო, რომელიც ტიტულამდე ამ კლუბში ერთი წლის წინ მისულმა ჰიდინკმა მიიყვანა. თუმცა, მწვრთნელმა წინასწარ გამოთქვა "ეინდჰოვენთან" არსებული ოთხწლიანი კონტრაქტის გაწყვეტის სურვილი, რაც მის მომავალ სამუშაო ადგილთან არის დაკავშირებული.

გაგრძელება A6 გვერდზე



*აბრამოვიჩმა რუსეთს ჰიდინკი უყიდა.*

# ჩინეთის მიმართ საქართველოს სახელმწიფო ვალის საკითხი გადაწყდა

ჩინეთმა საქართველოს 2,5 მილიონი დოლარის ოდენობით გრანტი გამოუყო. ამის შესახებ, შეთანხმებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ ჰუ ძინტაომ და საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ, პეკინში გამართულ მოლაპარაკებაზე მიაღწიეს.

ჩინეთში საქართველოს პრეზიდენტის პირველი ოფიციალური ვიზიტის დროს ჩინეთის მიმართ საქართველოს სახელმწიფო ვალის საკითხი გადაწყდა.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვალერი ჩეჩელაშვილმა განმარტა, ჩინეთის მიმართ საქართველოს სახელმწიფო ვალი 3 მილიონ დოლარს ოდნავ აღემატება : "400 ათასს საქართველო "ცოცხალი" ფულით დააბრუნებს, დანარჩენი თანხა 2005 წელს გაცემული გრანტის ხარჯზე ჩამოიწერება. ამგვარად, საქართველოს ერთი კრედიტორით ნაკლები ეყოლება", - აღნიშნა ჩეჩელაშვილმა.

რაც შეეხება ჩინეთისაგან მიღებულ გრანტს - 2,5 მილიონ დოლარს - ჩეჩელაშვილის თქმით, ის შესაძლოა წვენების ქარხნის მშენებლობას მოხმარდეს.

"ღვინოსთან დაკავშირებით შექმნილ ახლანდელ სიტუაციაში ეს აქტუალურია", - განმარტა დიპლომატმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# დარღვევები თბილისის მერიაში

*საქართველოს კონტროლის პალატის მიერ მერიის საფინანსო სამსახურში ჩატარებულმა კომპლექსურმა რევიზიამ 2003 წლის პირველი ივლისიდან 2005 წლის პირველ ოქტომბრამდე პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა და ბიუჯეტების შედგენა-შესრულების საკითხები შეისწავლა. პალატამ მერიის საფინანსო სამსახურის საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა.*

თამარ დვალი

როგორც საქართველოს კონტროლის პალატის დასკვნაშია აღნიშნული, თბილისის საფინანსო საქალაქო სამსახურის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა 2003-2005 წლებში მნიშვნელოვანი დარღვევა-ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა.

**"სერიოზული ჩამორჩენაა მოსაკრებლებისა და არასაგადასახადო შემოსავლების მობილიზებაში. მოსაკრებლებისა და არასაგადასახადო შემოსავლების 19 სხვადასხვა სახეობიდან გეგმა მხოლოდ ოთხში შესრულდა. 2003-2004 წლებში მიწის იჯარიდან შემოსავალი 120 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივმა კი 2.5 ათასი ლარი ანუ 2 პროცენტი შეადგინა"** - ნათქვამია დასკვნაში.

კონტროლის პალატის დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ არაერთგზის მითითების მიუხედავად, 2003 წლის პირველი ივლისიდან 2005 წლის იანვრამდე განვლილ პერიოდში არ შემოწმებულა კაპიტალური მშენებლობის, კეთილმოწყობისა და საბინაო მეურნეობის საქალაქო სამსახურების აპარატებისა და საკურატორო ობიექტების მიერ მიღებული და გამოყენებული თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

იმავე სარევიზიო ჯგუფმა შეისწავლა თბილისის მერიისა და საკრებულოს აპარატის ხარჯების კანონიერებაც. თბილისის 2003 წლის ბიუჯეტის ხარჯებში არასწორად დაიგეგმა სხვადასხვა სამსახურებისთვის ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლის ხარჯები. საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ამა წლის ბიუჯეტში ცვლილებები მერის განკარგულებისა და მთავრობის დადგენილების საფუძველზე შევიდა, ეს კი კანონდარღვევაა.

გაგრძელება A5 გვერდზე

# სამედოვის საქმეს სააპელაციო სასამართლო დღეს განიხილავს

*აზერბაიჯანის რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროდან მიღებული მოთხოვნის თანახმად, საქართველოს შსს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა დააკავეს აზერბაიჯანის მოქალაქე აზერ რასმის ოღლუ სამედოვი. საქმე ისაა, რომ აზერბაიჯანის გენერალურ პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 315-ე მუხლის მეორე ნაწილით კვალიფიცირდება.*

ნუკა გაგუა

აზერ სამედოვს ბრალად ედება 2003 წლის 15-16 ოქტომბერს ქალაქ ბაქოში ოპოზიციის მიერ მოწყობილი არასანქცირებული მიტინგების ორგანიზება, რამაც მასობრივი არეულობა გამოიწვია.

აზერ სამედოვმა მიმართა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და მოითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი. ამ საკითხთან დაკავშირებით აზერ სამედოვის ადვოკატსა და წარმომადგენელს ესაუბრა საქართველოს პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე. საქართველოს გენერალური პროკურორი აცხადებს, რომ თანამშრომლობისთვის მზად არის და კონტროლზე აიყვანს სამედოვის საქმეს.

გუშინ ჟურნალისტთა სახლში პრესკონფერენცია გამართეს აზერ სამედოვის მხარდამჭერებმა და მისმა ადვოკატმა. ისინი აცხადებენ, რომ საქართველოს ხელისუფლების დიდი იმედი აქვთ და ითხოვენ, არ მოხდეს დაკავებულის ექსტრადიცია. გარდა ამისა, მათი მოთხოვნაა, სამედოვის პატიმრობიდან გათავისუფლება.

სამედოვის ადვოკატი თამაზ აბდალიანი აცხადებს, რომ პირობები, რომელშიც პატიმარი იმყოფება, დამაკმაყოფილებელია. მის მიმართ ადგილი არ ჰქონია წამების ან არაჰუმანური მოპყრობის ფაქტებს. თამაზ აბდალიანის განცხადებით, აზერ სამედოვის საკითხი, გარკვეულწილად, ხაზს გაუსვამს საქართველოს დემოკრატიულობის საკითხს. მისი აზრით, სწორი გადაწყვეტილების მიღება ამ ეტაპზე საქართველოსათვის ძალზე მნიშვნელოვანია.

გაგრძელება A4 გვერდზე

# პირველი ლედი ახალციხელ დედებთან

*საქართველოს პირველმა ლედიმ, მისივე ინიციატივითა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ხელშეწყობით, ახალციხეში მცხოვრებ, სხვადასხვა ასაკისა და ეროვნების ქალბატონთან ერთად ადგილობრივი პრობლემებისა და მათი მოგვარების გზებზე იმსჯელა.*



ნათია მსხილაძე

სამცხე-ჯავახეთში პირველი ლედის ვიზიტის მიზანი ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ოჯახური საკითხების, ბავშვთა მოვლის, აღზრდისა და სხვა აქტუალურ თემებზე გულახდილი საუბარი იყო. შეგახსენებთ, რომ ანალოგიური შეხვედრა (სახელწოდებით "პირველი ლედი დედებთან") პირველად 8 მარტს, მარნეულის რაიონში გაიმართა.

ორივე რეგიონში მცხოვრები ქალბატონების თხოვნა ერთი შინაარსის იყო - სკოლებში შესაბამისი ინფორმაციული ბუკლეტების დარიგება. შეიძლება ითქვას, რომ ადიგენის რაიონში მცხოვრები ქალბატონებისთვის 21-ე საუკუნე არ დამდგარა, რადგან მათი უმრავლესობა ფინანსების უქონლობის გამო, სახლში მშობიარობს, რაც ხშირ შემთხვევაში ლეტალურად სრულდება. **"ადიგენის სოფლებში ფინანსური თვალსაზრისით ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ხალხს, რომელსაც შვილის გაჩენა უნდა, იმის საშუალება არ აქვს, რომ სამშობიარო სახლებს მიაკითხოს. ამას ისიც ემატება, რომ რისკისგან თავის დაზღვევის შესაბამისი ინფორმაცია არ გააჩნიათ. დღევანდელი შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან მივიღეთ ის ინფორმაცია, რაც აქამდე არ ვიცოდით"**,- აღნიშნა ახალციხის რაიონში მცხოვრებმა ქალბატონმა.

მსგავსი შეხვედრები (სახელწოდებით "პირველი ლედი დედებთან") უახლოეს დღეებში ხაშურსა და გორში გაიმართება. **"ჩვენ ის საკითხები განვიხილეთ, რომელიც ქალურ პრობლემებთან არის დაკავშირებული. აუცილებელია მოსახლეობის სწორად ინფორმირება. ეს შეხვედრები ჩემი ინიციატივით მარნეულიდან დავიწყეთ და მთელ ქვეყანას მოიცავს"**, - აცხადებს სანდრა რულოვსი.

იმის გარდა, რომ ახალციხეში მცხოვრებმა ქალბატონებმა, მათთვის აუცილებელ და აქტუალურ თემებზე შესაბამისი ინფორმაცია მიიღეს, პარალელურად, ქვეყნის პირველი ლედისგან, მისივე წიგნით, "იდეალისტის ნაამბობით" და კოსმეტიკით დასაჩუქრდნენ.

საქართველოს პირველმა ლედიმ სამცხე-ჯავახეთში ვიზიტი, უფასო სასადილოს გახსნით დაასრულა.

# გიგა ბოკერია „პასე"-ს ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს

ევროსაბჭოში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი გიგა ბოკერია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.

საქართველოს დელეგაცია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიის მუშაობაში მონაწილეობს, სადაც 13 აპრილს სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის საქართველოში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ დადგენილების პროექტის განხილვა იგეგმება. **მედიანიუსი**

# „თავისუფალი სიტყვა"

FM უცნობი 92.0

*ეს ახალი მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშო დღის 13 საათზე. დღევანდელი გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ ეკა ხოფერიას. გადაცემის სტუმარია განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია.*

**ეკა ხოფერია:** დავიწყოთ იმ მთავარი ბრალდებებით და კითხვებით, რომლებიც ხშირად გაისმის განათლების სამინისტროს პოლიტიკის მისამართით. კერძოდ, იმაზე, რომ სამინისტრო ცდილობს ძირეულად შეცვალოს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა, მოშალოს ყველაფერი ტრადიციული, გაუშვას ყველა ძველი კადრი. რაში მდგომარეობს სამინისტროს ხედვა ამ თვალსაზრისით?

**ალექსანდრე ლომაია:** დიახ, ჩვენ ვცდილობთ, ფუნდამენტურად შევცვალოთ ჩვენი უმაღლესი განათლების მოწყობის წესი, მაგრამ მთავარი კითხვაა, თუ რა არის ჩვენი მიზნები. ჩვენ გვინდა გვქონდეს საერთაშორისო ხარისხის განათლება და კვლევა. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი სკოლის, პროფესიული თუ უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები იყვნენ მთლიანად კონკურენტუნარიანები შრომის საერთო ბაზარზე. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენმა კვლევებმა და უმაღლესი განათლების სისტემამ ქვეყანას შეუნარჩუნოს მისი განუმეორებლობა, მისი კულტურული, ეთნიკური და ლინგვისტური იდენტურობა. ჩვენ გვინდა, რომ ეს სისტემა დაფუძნებული იყოს იმ ლიბერალურ ღირებულებებზე, რომელიც პატივს სცემს ადამიანის თავისუფლებას. ესაა სისტემა, რომელიც პატივს სცემს აკადემიურ თავისუფლებას და რომელიც აღიარებს კეთილსინდისიერებას. ეს სისტემა ავტონომიურობის მაღალი უფლებებით სარგებლობს და ამავე დროს, არის ანგარიშვალდებული საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.

**ე.ხ.:** თქვენდამი წაყენებული ძირითადი ბრალდება ისაა, რომ აღარ უნდათ ძველი პროფესორ მასწავლებლებიო.

**ა.ლ.:** ადამიანმა უნდა გააკეთოს არჩევანი. ჩვენი უნივერსიტეტი ივანე ჯავახიშვილმა დააფუძნა და ის ამ უნივერსიტეტიდან გააგდეს. აქ ფასეულობათა ორი სხვადასხვა სისტემა არსებობდა და საუბედუროდ უნდა ვთქვათ, რომ ის ღირებულებები, რომლებიც ივანე ჯავახიშვილმა, პეტრე მელიქიშვილმა, კორნელი კეკელიძემ და სხვებმა დააფუძნეს, თანდათანობით, ათწლეულების განმავლობაში უთმობდა პოზიციებს იმ ანტიღირებულებებს, რომლებიც დააფუძნეს იმ ადამიანებმა, რომელთაც ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან გააგდეს. საბოლოო ჯამში, ჩვენ მივიღეთ უმაღლესი განათლების სისტემა, რომელიც აღარ პასუხობდა საზოგადოების მოთხოვნებს და იმ მაღალ, საერთაშორისო გამოწვევებს, რომელსაც ჩვენს ქვეყანას უყენებს სწრაფად განვითარებადი მსოფლიო და სისტემა, რომელიც აღმოჩნდა კორუფციისგან ძალიან ღრმად და მძიმედ დაავადებული. შედეგად მივიღეთ ჩამორჩენილი საგანმანათლებლო პროგრამები, მოძველებული ტექნოლოგიები, მართვის აბსოლუტურად გაუმჭვირვალე სისტემა და ა.შ. საბედნიეროდ, საქართველოს აქვს ინტელექტუალური პოტენციალი და ჩვენ მეცნიერთა დიდი ნაწილი არის კრისტალურად სუფთა და პატიოსანი ადამიანები. მაგრამ, ჩვენ ხომ ვიცით, რომ უმაღლესი სასწავლებლების შავი ბაზარი ყოველწლიურად 6-დან 20 მილიონ ლარამდე ფასდებოდა? ის ადამიანები, რომლებიც ამ პროცესის უშუალო მონაწილეები იყვნენ, არსად არ წასულან, კვლავ უნივერსიტეტებში რჩებიან. ჩვენი სტრატეგიაა, რომ საზოგადოება ამ ადამიანებისგან გამჭვირვალე კონკურსებით გათავისუფლდეს. აკადემიური თანამდებობები უნდა დაიკავონ ადამიანებმა, რომელთაც წარსულიდან ამგვარი შლეიფი არ მოყვება.

**მსმენელი:** რუსეთის მეცნიერების დიდი გავლენა შეინიშნება. როგორ აპირებთ განთავისუფლდეთ რუსეთის გავლენისგან, ვინ იქნებიან ავტორიტეტები. და გგონიათ, რომ რუსეთი იმას დაუშვებს, რომ ვინმემ საქართველოში უფრო მაღალი დონის, თანამედროვე განათლება მიიღოს?

**ა.ლ.:** ჩვენი უნივერსიტეტის დამფუძნებლების უდიდესი ნაწილი სწორედ რუსეთის უნივერსიტეტებიდან ჩამოვიდა. რუსეთში დღესაც მოღვაწეობენ ქართველი მეცნიერები, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ დიდი ნაწილი ჩვენი მეცნიერებისა მოღვაწეობს ევროპასა და ამერიკაში, რომელთა გარკვეული ნაწილი საქართველოში დაბრუნდება. 1917-18 წლების პროცესი ალბათ გარკვეული სახეცვლილებით განმეორდება, მაგრამ ჩვენ უნდა ვაკეთოთ ჩვენი საქმე, რაც სწორი მიზნების დასახვა და ამ მიზნების მისაღწევად ოპტიმალური გზების მოძიებაა.

# პრეზიდენტი საჰაერო ბუშტების ფონზე

ია ანთაძე

5 აპრილს, ჰაინრიხ ბიოლის ფონდში გამოსვლისას, ლევან ბერძენიშვილმა ბრძანა: "ჩვენ გვაქვს ბევრი დროშა და ცოტა დემოკრატია; გვჭირდება ნაკლები დროშა და მეტი დემოკრატია". ამ ფრაზის გაშლა მრავალი მიმართულებით შეიძლება, თუმცა, არსი ერთია: ჩვენ გვჭირდება რეალური სახელმწიფო და არა მისი ჩანაცვლება სიმბოლოებით.

"ჩანაცვლების პოლიტიკა" ვარდების ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი სისუსტეა. მას ორი მდგენელი აქვს: რეალობის ჩანაცვლება სიმბოლოებით და რეალობის შენიღბვა ფასადებით. მაგალითად, როდესაც პრეზიდენტი უფასო სასადილოებს სტუმრობს და სადილს სოციალურად ყველაზე დაუცველ ადამიანებთან ერთად მიირთმევს, ეს არის სიმბოლო, რომელიც ქვეყნის მთელ მოსახლეობაზე ზრუნვას გამოხატავს. მეორე მხრივ, როდესაც პატრულს უდიდეს მიღწევად წარმოგვიდგენენ, ეს არის თვალისთვის მიმზიდველი ფასადი, რომლის მიღმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ნამდვილი სახე იმალება.

ბოლოხანს პრეზიდენტი სულ უფრო ხშირად ჩნდება ფერადი ბუშტებისა და გაბრწყინებული სახეების გარემოცვაში, რაც რეალობის ჩანაცვლების მორიგი მცდელობაა. ცხადია, არავინ იქნება წინააღმდეგი, რომ მიხეილ სააკაშვილი ხვდებოდეს სკოლის მოსწავლეებს, სტუდენტებს და ღრმად მოხუცებს, თუკი იგი ზოგჯერ მაინც შეხვდება საშუალო ასაკის ადამიანებსაც, რომლებიც, შესაძლოა, არ იყვნენ აღტაცებული ქვეყნის ამჟამინდელი მდგომარეობით.

მაგრამ "ჩანაცვლების პოლიტიკა" არ გულისხმობს ხელისუფლების მხრიდან რიგითი მოქალაქის პატივისცემას, პირიქით - გულისხმობს ადამიანის აღქმას პრიმიტიულ არსებად; არ გულისხმობს სისტემურობას, გულისხმობს ალაგ-ალაგ მიღწევებს; არ გულისხმობს მომავლის გააზრებას, გულისხმობს დღევანდელი დღით კმაყოფილებას; არ გულისხმობს საზოგადოებასთან დიალოგს, გულისხმობს 30-წლიან რეფორმაციას ერთი პარტიის ლიდერობით.

როდესაც ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ პირველი რიგის პრიორიტეტად დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და ამ მიზნის მისაღწევად ძალაუფლების კონცენტრაცია გამოაცხადა, ამით გააკეთა კიდეც არჩევანი არა რიგითი მოქალაქის, არამედ - ბიუროკრატიის სასარგებლოდ. მაშინ ექსპერტები საუბრობდნენ, რომ ტერიტორიების დასაბრუნებლად, შესაძლოა, უფრო მოკლე გზა ყოფილიყო ძალაუფლების დეცენტრალიზაცია, ეკონომიკის განვითარება, ადამიანის უფლებების დაცვა, სასამართლო დამოუკიდებლობის გაძლიერება და ამით ქვეყნის მიმზიდველობის ზრდა. მაგრამ ეს იყო ჰუმანიტარული ეთიკის გზა, მოქალაქის პატივისცემის გზა, რომელიც რევოლუციურმა ხელისუფლებამ თავიდანვე უარყო.

სამაგიეროდ, ხელისუფლების კონცენტრაციის პოლიტიკამ განაპირობა ბევრი სხვა მოვლენა: კონსტიტუციის შეცვლა და პრეზიდენტის გაძლიერება; კონტროლი მედიაზე, ბიზნესზე, სასამართლოზე; თვითმმართველობის ხარისხის შემცირება; დახურული ფონდების შექმნა. ფონდი ორი იყო: ერთს სამართალდამცავი სისტემა უნდა გაეძლიერებინა, მეორე კი ქვეყანას თავდაცვის უნარის ამაღლებაში უნდა დახმარებოდა. მაგრამ ამ ამოცანების გადაჭრა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ სრული გამჭვირვალობისა და კანონის უზენაესობის ვითარებაში. რეალურად შექმნილ ვითარებაში კი მოხდა ის, რომ ამ ორმა ფონდმა პიროვნულად გააძლიერა ორი მინისტრი: ვანო მერაბიშვილი და ირაკლი ოქრუაშვილი. შედეგად, სახელისუფლო გუნდი გაიბზარა და ამ ორი ლიდერის გავლენის სფეროდ დაიყო. სავარაუდოა, რომ ეს შედეგი დღეს გაცილებით მეტ თავსატეხს უქმნის საქართველოს პრეზიდენტს, ვიდრე საზოგადოებას, რადგან ამიერიდან ყოველი გადაწყვეტილების მიღებისას მან ბალანსის დაცვაზე უნდა იზრუნოს.

რატომ ვერ შეძლო მიხეილ სააკაშვილმა ამ "გვერდითი მოვლენის" თავიდან აცილება? - შეიძლება ითქვას, რომ სწორედ "ჩანაცვლების პოლიტიკის" გამო. საფიქრებელია, რომ ირაკლი ოქრუაშვილი და ვანო მერაბიშვილი გაცილებით რაციონალური ადამიანები აღმოჩნდნენ, ვიდრე პრეზიდენტი. ძალოვანმა მინისტრებმა, როგორც ჩანს, რევოლუციის შემდეგ გასული ორწელიწადნახევარი ეფექტიანად გამოიყენეს არა ჩანაცვლების, არამედ რეალური პოლიტიკის გზით საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად. ვიდრე პრეზიდენტი გზებს აგებდა, სახლებს ღებავდა და ქუჩებს ანათებდა, მისი ძალოვანი მინისტრები გავლენის სფეროებს ინაწილებდნენ. ვიდრე მიხეილ სააკაშვილი საზოგადოებას არწმუნებდა, რომ პრესა და ბიზნესი თავისუფალია, რომ ბავშვები და მოხუცები კმაყოფილი არიან, რომ სასამართლო დამოუკიდებელია და საქართველოს მიღწევები მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია, მივიღეთ შევარდნაძის დროიდან მოყირჭებული ბალანსის პოლიტიკა ახალი სამკუთხედით: სააკაშვილი-ოქრუაშვილი-მერაბიშვილი. ამ სამკუთხედის დასანგრევად მიხეილ სააკაშვილს, შესაძლოა, ახალი რევოლუცია დასჭირდეს.

*მასალა გამოქვეყნებულია რადიო "თავისუფლების" ეთერით.*

# ჩინეთის მიმართ საქართველოს სახელმწიფო ვალის საკითხი გადაწყდა

პირველი გვერდიდან

მოლაპარაკების დასრულების შემდეგ ჰუ ძინტაომ და მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას ორ ქვეყანას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ. ხელი მოეწერა ასევე უწყებათაშორისო შეთანხმებას კულტურის და ელექტრონული კავშირგაბმულობის სფეროში, შეთახმებას ორი ქვეყნის სავაჭრო სამრეწველო პალატების თანამშრომლობის შესახებ.

ჩინეთმა და საქართველომ სამთავრობათაშორისო დონეზე ხელი მოაწერეს შეთანხმებას 3 მილიონი დოლარის უპროცენტო კრედიტის და დაფარვის ვადების (შესაბამისად 2007 წლის 30 აპრილამდე და 2021 წლის 30 აპრილამდე) გაგრძელების შესახებ. კრედიტი 2001 წელს გაიცა.

ჰუ ძინტაომ იმედი გამოთქვა, რომ ჩინეთი და საქართველო "ორი ქვეყნის ურთიერთობის ახალ სიმაღლეზე გაყვანას შეძლებენ".

"ახლანდელი ვიზიტი ხელს შეუწყობს ჩვენს ორ ქვეყანას შორის ურთიერთგანვითარების და მეგობრობის განმტკიცებას და ახალ ეპოქას გახსნის ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობებში", - თქვა მან. ამასთან ერთად, ჩინეთის ლიდერმა დააზუსტა, რომ მან და საქართველოს პრეზიდენტმა ერთმანეთს აზრები გაუზიარეს არა მარტო ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე, არამედ იმ საკითხებზეც, რომელიც თითოეული ქვეყნისთვის ინტერესს წარმოადგენს".

თავის მხრივ მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ "ორ ქვეყანას შორის გულთბილი და მეგობრული ურთიერთობები გაგრძელდება".

"ჩვენ აქ მარტო ორმხრივ თანამშრომლობაზე სასაუბროდ არ მოვსულვართ არამედ იმისთვისაც, რომ ჩინელი მეგობრებისგან ვისწავლოთ ის ენერგია, რომლითაც ისინი რეფორმებს ატარებენ. მთელ მსოფლიოს სწორება ჩინეთზე აქვს აღებული და საქართველო გამონაკლისი არ არის", - განაცხადა მან.


## საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა და საქართველოს ეროვნული მუზეუმი საქართველოში ატარებენ ქართული ღვინის კონკურსს

1961

ღვინის სამშობლო

## "საქართველო ღვინის სამშობლო"

კონკურსი 2006 წლის 11-12 მაისს ტარდება "შერატონ მეტეხი პალასში" საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის პატრონაჟის ქვეშ.

### კონკურსის პირობები:

კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები, რომლებიც წარმოადგენენ 2004-2005 წლებში ჩამოსხმულ პროდუქციას.

### კონკურსი ჩატარდება შემდეგი ნომინაციების მიხედვით:

- თეთრი მშრალი ღვინო
- თეთრი ნახევრადმშრალი ღვინო
- თეთრი ნახევრადტკბილი ღვინო
- წითელი მშრალი ღვინო
- წითელი ნახევრადმშრალი ღვინო
- წითელი ნახევრადტკბილი ღვინო
- ცქრიალა მშრალი ღვინო
- ცქრიალა ნახევრადმშრალი ღვინო
- ცქრიალა ნახევრადტკბილი ღვინო
- ჭაჭა

გამარჯვებული ღვინოები დაჯილდოვდებიან ოქროს და ვერცხლის მედლებით. ოქროს მედლის მფლობელ ღვინოებს გადაეცემათ სპეციალურად შექმნილი პრიზი.
კონკურსში მონაწილე სხვა წარმატებული ღვინოები დაჯილდოვდებიან სპეციალური დიპლომებით.

**დაჯილდოვება:**
გამარჯვებული ღვინოების დასახელება მოხდება ჟიურის შეფასების დაჯამების შემდეგ. შერატონ მეტეხი პალასში, ხოლო დაჯილდოვება საზეიმო გალა ვახშამის დროს ა.წ. 12 მაისს.

**შეფასება:**
წარმოდგენილი ღვინოების დეგუსტაცია და შეფასება მოხდება "ბრმა მეთოდით" ჟიურის მიერ, რომელიც დაკომპლექტებულია ცნობილი ღვინის ექსპერტების მიერ დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან და საქართველოდან.
საკონკურსო ნიმუში წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში ა.წ. 28 აპრილამდე.
თითოეული წარმოდგენილი საკონკურსო ნიმუშის ღირებულება შეადგენს 100ლარს

**გადახდის ფორმა:**
- ნაღდი ანგარიშსწორება
- გადარიცხვა

**საბანკო რეკვიზიტები:**
თიბისი ბანკი
კოდი 220111813
ანგარიშის ნომერი 609627

გთხოვთ, მონაწილეობის შემთხვევაში შეავსოთ რეგისტრაციის ფორმა და გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე ა.წ. 20 აპრილამდე.

**საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა**
**თბილისი,0179 ჭავჭავაძის 11**
**ტელ.: 29 33 75, ფაქსი.: 23 57 60**
**ელ.ფოსტა: info@gcci.ge**


## მოკლედ

### უკრაინა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში აქტიურად ჩაერევა

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ 2006 წლისთვის უკრაინა-ნატოს მიზნების გეგმა დაამტკიცა, რომელიც უკრაინა-ნატოს სამოქმედო გეგმის ნაწილია.

უკრაინა-ნატოს მიზნების გეგმა გაყინული კონფლიქტების მოგვარებასაც გულისხმობს. ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, უკრაინა მზად არის, გააძლიეროს თავის როლი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში. "განვაახლოთ უკრაინის მონაწილეობა საქართველოს გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის მუშაობაში; საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტზე მოვაწყოთ საერთაშორისო კონფერენცია; შესწავლილ იქნეს აფხაზეთის ტერიტორიაზე სამშვიდობო ოპერაციაში უკრაინის კონტინგენტის მონაწილეობის შესაძლებლობა; ხელი შევუწყოთ საერთაშორისო კონსორციუმის ჩამოყალიბებას, რომელიც განაახლებს სარკინიგზო მიმოსვლას აფხაზეთის ტერიტორიაზე," - ნათქვამია ვიქტორ იუშჩენკოს მიერ დამტკიცებული გეგმის იმ პუნქტში, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებას შეეხება. **მედიანიუსი**

### ˝დუმამ˝ სააკაშვილის გაკიცხვა გადადო

რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატის სათათბიროს საბჭოს სპიკერის ბორის გრიზლოვის განცხადებით, სახელმწიფო სათათბიროში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკის შესახებ დადგენილების პროექტის განხილვას მიზანშეწონილად მიიჩნევენ, ოღონდ გარკვეული დაზუსტებების შეტანის შემდეგ. ამ პროექტის განხილვის ინიციატივით რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წევრი, დეპუტატი ალექსეი მიტროფანოვი გამოვიდა.

გრიზლოვის თქმით, საჭიროა მოცემული პროექტის დამუშავება. საბჭოს სხდომაზე დეპუტატებმა მოისმინეს სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის ინფორმაცია, რომელიც პროექტის დადგენილების მიმართ მის შენიშვნებს ეხებოდა.

საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკის შესახებ სახელმწიფო სათათბიროს პროექტის თავდაპირველ ვარიანტში საუბარი იყო ქართული შეიარაღებული ძალების სისტემატურ გაძლიერებასა და ამის გამო გამოთქმული იყო შეშფოთება.

რუს დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ ეს საბრძოლო მზადება საფრთხეს უქმნის აფხაზეთსა და "სამხრეთ ოსეთს". დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რუსეთმა დროული და ადეკვატური ზომები უნდა მიიღოს, რათა ამ ტერიტორიებზე ქართული ჯარების შეჭრა არ დაუშვას **მედიანიუსი**

### თბილისში აშშ-ის სენატის დელეგაცია ჩამოდის

თბილისში სამშაბათს აშშ-ის სენატის დელეგაცია ჩამოდის. საქართველოში აშშ-ის საელჩოს ცნობით, სენატის დელეგაციაში, რომელსაც უმრავლესობის ლიდერი ბილ ფრისტი ხელმძღვანელობს, შედიან სენატორები ჯად გრეგი, რიჩარდ ბარი და სენატის მდივანი ემილი რეინოლდსი. ამერიკელი სენატორები ვიზიტის ფარგლებში შეხვედრებს გამართავენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სადაც ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების საკითხებს განიხილავენ. **პრაიმ-ნიუსი**

### ˝ლეიბორისტები˝ და არასამთავრობოები არჩევნების ბოიკოტიზე იმსჯელებენ

"საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" ცენტრალურ ოფისში დღეს, პარტიის პოლიტიკური სამდივნოსა და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის შეხვედრა გაიმართება. როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ განაცხადა, შეხვედრაზე შემოდგომაზე დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ბოიკოტირებასთან დაკავშირებით "ლეიბორისტების" ინიციატივა განიხილება. შეხვედრას ოცამდე არასამთავრობო ორგანიზაციის და "ლეიბორისტული პარტიის" პოლიტიკური სამდივნოს წარმომადგენლები დაესწრებიან. შეხვედრაზე, შესაძლოა, ერთობლივი მემორანდუმიც მიიღონ, რომელშიც ბოიკოტის საკითხზე მათი პოზიცია იქნება ჩამოყალიბებული. შემოდგომაზე დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ბოიკოტირების ინიციატივით "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" დღეს გამოვიდა. პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა ოპოზიციურ პარტიებს არჩევნების ბოიკოტირებისკენ მოუწოდა. მისი განცხადებით, ამჟამად მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობა კონკურენტულ გარემოში არჩევნების ჩატარების საშუალებას არ იძლევა. ასევე, ცენტრალური საარჩევნო კომისია დაკომპლექტებულია ერთპარტიული ნიშნით და არ არსებობს ამომრჩეველთა რეალური სიები. **ინტერპრესნიუსი**

### ამომრჩეველთა ერთიან სიას ˝გეოანალიტიკა˝ მოამზადებს

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო კომისიამ ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებისათვის კომპიუტერული პროგრამის შექმნაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული გამოავლინა. ორეტაპიან კონკურსში გამარჯვებულმა ფირმამ "გეოანალიტიკამ" ამომრჩეველთა ერთიანი სიების ფორმირება ორ თვეში უნდა დაასრულოს. სიების შედგენისთვის "გეოანალიტიკა" 67 000 ლარს მიიღებს.

კონკურსის პირველ ეტაპზე სამი კომპიუტერული ფირმა იყო შერჩეული. შ.პ.ს. "გეოსკოპი" სიების შედგენისთვის 39 000 ლარს, "გეოგრაფიკი" 23 906.80 ლარს, ხოლო "გეოანალიტიკა" 67 000 ლარს ითხოვდა. სატენდერო კომისიამ გამარჯვებულის გამოსავლენად პრიორიტეტი შესრულების ხარისხსა და ვადებს მიანიჭა. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# პროდი გამარჯვებას ზეიმობს

იტალიის საპარლამენტო არჩევნების ოფიციალური შედეგებით, მოქმედი პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონის კონსერვატიულმა ბლოკმა რომანო პროდის მემარცხენე-ცენტრისტულ კოალიციასთან საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატისთვის ბრძოლა მინიმალური სხვაობით წააგო.

მემარცხენე-ცენტრისტებმა ამომრჩეველთა ხმების 49,81 პროცენტი მიიღეს, ხოლო ბერლუსკონის "ფორცა იტალია"-მ 49,74 პროცენტი. ახალი საარჩევნო კანონმდებლობით გამარჯვებული ავტომატურად იღებს არსებული 630 მანდატიდან 340-ს - და სულ არ აქვს მნიშვნელობა, რომ განსხვავება ასე მცირეა. მოწინააღმდეგეს, ამ შემთხვევაში მხოლოდ 277 მანდატი შეხვდება.

მმართველმა კოალიციამ მარცხი განიცადა სენატისთვის ბრძოლაშიც. პროდის პოლიტიკური გაერთიანებას 158 სენატორი ეყოლება, ხოლო ბერლუსკონის – 156. გადამწყვეტი როლი ითამაშა საზღვარგარეთ მცხოვრები იტალიელების ხმებმა.

იტალიის კანონმდებლობით, მთავრობას ის პარტია ან კოალიცია ქმნის, რომელსაც პარლამენტის ორივე პალატაში უბრალო უმრავლესობა აქვს.

იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ასევე, ევროკომისიის ყოფილი თავმჯდომარე, ამჟამად კი ოპოზიციის ლიდერი რომანო პროდი უკვე ორი დღეა გამარჯვებას ზეიმობს. მემარცხენეებმა ჯერ კიდევ ხმის დათვლის პროცესში გამოაცხადეს თავისი გამარჯვების შესახებ, რამაც მოწინააღმდეგე ბანაკში დიდი აღშფოთება გამოიწვია. "ეს სამხრეთ ამერიკას ჰგავს. საკუთარი თავის გამოცხადება გამარჯვებულად კონსტიტუციითაა აკრძალული," – განაცხადა ბერლუსკონის გუნდის წევრმა, მოქმედმა მრეწველობის მინისტრმა კლაუდიო სკაიოლამ.

როგორც იუწყებიან, ბერლუსკონი და მისი მომხრეები დანებებას არ აპირებენ. ისინი ხმების გადათვლას მოითხოვენ. "ფორცა"-ს წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაახლოებით ნახევარ მილიონამდე ბიულეტენი არ ყოფილა ჩათვლილი.

აღსანიშნავია, რომ დამარცხების შემთხვევაში სილვიო ბერლუსკონის



არა მარტო ძალაუფლების დაკარგვის საფრთხე ემუქრება, არამედ – თავისუფლებისაც. ესპანეთის ეროვნული პალატა აპირებს სილვიო ბერლუსკონის გასამართლებას იმ შემთხვევაში, თუ იტალიაში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგად იგი პრემიერ-მინისტრის პოსტს და შესაბამის იმუნიტეტს დაკარგავს. ამის შესახებ ესპანური მასმედია იურიდიულ წყაროებზე დაყრდნობით იუწყება.

ბერლუსკონის ესპანეთში დოკუმენტების გაყალბებასა და გადასახადების გადაუხდელობაში ადანაშაულებენ. 1990-იანი წლების დასაწყისში იტალიელი პოლიტიკოსი ესპანეთის მეხუთე ტელეარხის ერთ-ერთი წამყვანი აქციონერი იყო. მის წინააღმდეგ საქმე ცნობილმა გამომძიებელმა ბალთაზარ გარსონმა აღძრა, თუმცა სამი წლის წინ საქმე ბერლუსკონის იმუნიტეტის გამო შეჩერდა.

ბერლუსკონიმ გამომძიებელ გარსონის ქმედებების გაპროტესტება უკვე სცადა, მაგრამ ესპანეთის მართლმსაჯულებამ მისი საჩივრები არ დააკმაყოფილა.

*24 საათი*

# ბოიკოტი გაგრძელდება... „ისტორიულ კენჭისყრამდე"

პირველი გვერდიდან

ბოლო წვეთი, რომელმაც უმრავლესობის წარმომადგენლებს მოთმინების ფიალა აუვსო, როგორც ჩანს, გახდა რუსეთის გადაწყვეტილება, მის ტერიტორიაზე ქართული ღვინოების ექსპორტის აკრძალვის შესახებ.

**"თუ ჩვენ ვართ ერთადერთი ქვეყანა დსთ-ს სივრცეში, რომელთანაც რუსეთი სავიზო რეჟიმს აწესებს, თუ ვართ ერთადერთი ქვეყანა, საიდანაც იკრძალება რუსეთში ციტრუსების, ჩაის, ღვინის შეტანა და მალე, ალბათ, "ბორჯომის" შეტანაც აიკრძალება, თუ ვართ ერთადერთი ქვეყანა, რომელთან დაკავშირებითაც მიდის საუბრები ფულის გადმორიცხვების აკრძალვაზე, მაშინ ჩნდება ბუნებრივი კითხვა, - რა აზრი აქვს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს ყოფნას?"** - ნინო ბურჯანაძის ეს განცხადება შეიძლება შემობრუნების წერტილადაც კი იქცეს ქვეყნის პოლიტიკური ელიტის დსთ-სადმი დამოკიდებულებაში.

დსთ-ში საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხზე დისკუსიის დაწყება დროულად მიაჩნია საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს კოტე გაბაშვილს, რომელმაც გუშინ უპირობოდ დაუჭირა მხარი სპიკერის გამოსვლას.

თუმცა, ამ საკითხის მიმართ სახელისუფლებო გუნდის დამოკიდებულება ერთმნიშვნელოვანი რომ არ არის, პრემიერ-მინისტრის კომენტარმაც დაადასტურა. ზურაბ ნოღაიდელის თქმით, დსთ-ს ეფექტურობას მიმართ მას საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულება გააჩნია, მაგრამ მთავრობის ხელმძღვანელი ხაზგასმით შენიშნავს, **"რომ ამ ორგანიზაციიდან საქართველოს გამოსვლის საკითხი ამჟამად დღის წესრიგში არ დგას"**...

დსთ-სთან დაკავშირებით ნინო ბურჯანაძის მიერ გუშინ გაკეთებულ განცხადებას ოპოზიცია გარკვეული სიფრთხილით ეკიდება და პარლამენტის ხელმძღვანელობის შემდგომ ნაბიჯებს მოუთმენლად ელოდება.

**"როდესაც ასეთ მცდელობას დავინახავთ, მოვიფიქრებთ, ამ პროცესს რა ფორმით შევუერთდეთ",** - აცხადებს "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი მანანა ნაჭყებია.

**"დსთ-დან საქართველოს გამოსვლის საკითხზე გამართული კენჭისყრა ისტორიული მნიშვნელობის იქნება და ის ნებისმიერ ბოიკოტზე მაღლა დადგება. ჩვენ აუცილებლად მივიღებთ მასში მონაწილეობას",** - მოვლენებს წინ უსწრებს ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენელი ლაშა ნაცვლიშვილი.

ერთი სიტყვით, ოპოზიცია მზად არის, ბოიკოტზე უარი თქვას და პარლამენტის სხდომებს დაესწროს, თუ საკანონმდებლო ორგანოში დსთ-დან გამოსვლის საკითხის განხილვა დაიწყება. ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კობა დავითაშვილი არ გამორიცხავს, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ამ ინიციატივას იმ მიზნით იყენებს, რათა ოპოზიცია საპარლამენტო ცხოვრებას დაუბრუნდეს.

**"ზუსტად ვერ გეტყვით, რას უნდა მივაწეროთ ბურჯანაძის ეს ინიციატივა, თუმცა ამ საკითხის განხილვას მივესალმებით და აუცილებლად დავესწრებით სხდომას",** - აღნიშნავს კობა დავითაშვილი, რომელიც იქვე იმასაც დასძენს, რომ დსთ-ს საკითხის განხილვის შემდეგ ოპოზიციის ბოიკოტი ჩვეულებრივ გაგრძელდება.

"ისტორიულ კენჭისყრამდე", ალბათ, კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, მანამდე კი ოპოზიცია პარლამენტის მუშაობას კულისებიდან (ტელევიზორით) ადევნებს თვალს. ნინო ბურჯანაძის არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, სხდომათა დარბაზში ოპოზიციის "შეტყუება" ვერ ხერხდება. **"პარლამენტი არის ადგილი, სადაც რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმა შეიძლება. ვერავინ იტყვის, რომ ოპოზიციას აზრის გამოთქმის უფლება შეზღუდული აქვს",** - გაბუტული დეპუტატების "უმადურობა" გაკვირვებია პარლამენტის თავმჯდომარეს.

ოპოზიციის არყოფნაში კი პარლამენტი ელვის სისწრაფით იხილავს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს. **"კითხვები თუ გაქვთ მომხსენებელთან? არა, გმადლობთ. აზრის გამოთქმა ხომ არავის სურს? არა, არავის. საკითხი გავლილია, კანონპროექტი განხილულია",** - მალიმალ ისმოდა გუშინ სპიკერის ჩაქუჩის დარტყმის ხმა.

# ყოფილი გენერლის პოლიტიკური დაისი

*უკომპრომისო არიელ შარონი, მეტოქეებისა თუ თანამოაზრეებისათვის ერთნაირად შეუვალი პოზიციების მქონე პრემიერ-მინისტრი საბოლოოდ ჩამოშორდა პოლიტიკურ ასპარეზს.*

ხათუნა გაბიევი

სამთავრობო კრიზისი ისრაელში, რაც პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით იყო გამოწვეული, შეიძლება ითქვას, უკვე აღმოფხვრილია. არიელ შარონს ჯანმრთელობის მდგომარეობა დაახლოებით 3 თვის წინ გაუარესდა. საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით მის ფუნქციებს ეჰუდ ოლმერტი ასრულებდა საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე. არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ კი მინისტრთა კაბინეტმა ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღო კენჭისყრის გზით და ამით საბოლოოდ ცნეს არიელ შარონი "უუნაროდ გაეგრძელებინა მუშაობა პრემიერ-მინისტრის პოსტზე".

არიელ შარონს ეს პოსტი 5 წლის მანძილზე ეკავა. პრემიერ-მინისტრი, რომელზეც არ მოქმედებდა არც მტრების დამოკიდებულება და არც მომხრეთა სიყვარული, მაღალი რანგის სავარძლის საკმაოდ ხანმოკლე ფლობის მიუხედავად, ათწლეულების მანძილზე გავლენიანი ფიგურა იყო ისრაელის პოლიტიკურ ასპარეზზე. ყოფილი ჯარისკაცისა და ისრაელის პოლიტიკის ვეტერანისთვის ერთადერთი პოლიტიკური მიზანი ისრაელის უსაფრთხოების მიღწევა იყო, რაშიც ქვეყნისთვის მაქსიმალურად მეტი ტერიტორიისა და სამართლებრივი უფლების მოპოვება იგულისხმებოდა.

უკომპრომისო ყოფილი გენერლისთვის საზოგადოებამ ზედმეტსახელიც გამოძებნა - ბულდოზერი. შარონისთვის ჩვეული - "მიზანი ამართლებს საშუალებას" - მისი მოწინააღმდეგეებისთვის ყოველთვის არ იყო მისაღები. ამას ისიც დაემატა, რომ გასულ წელს ებრაელი მენაშენეებისა და ჯარის გამოყვანამ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროდან და ღაზას სექტორიდან არც მომხრეთა აღფრთოვანება გამოიწვია. პარტია "ლიკუდში" თანამოაზრეთა სწორედ ამგვარმა დამოკიდებულებამ განაპირობა შარონის მიერ პარტიის დატოვება და ახალი ცენტრისტული "კადიმას" შექმნა, რომელიც მიმდინარე წლის მარტის ბოლოს გამარჯვებულიც აღმოჩნდა საპარლამენტო არჩევნებში. პარტიის გამარჯვების შემდეგ კი კოალიციური მთავრობის ფორმირებაზე მუშაობა შარონის პოლიტიკურმა მემკვიდრემ ეჰუდ ოლმერტმა განაგრძო. ოლმერტის მიზანი ფართომასშტაბიანი კოალიციის შექმნაა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ყველა პარტია, რომელიც გაწევრიანდება ალიანსში, დათანხმდება ისრაელის მუდმივი საზღვრების დადგენის ოლმერტისეულ გეგმას. კოალიციის ფორმირებისთვის 61 ადგილის ქონაა საჭირო პარლამენტში, "კადიმამ" კი 120 ადგილიან პარლამენტში 29 მანდატი მოიპოვა.

## არიელ შარონი - გზა დიდი პოლიტიკისკენ

არიელ შარონი 1928 წელს პალესტინაში დაიბადა, რომელზეც იმ დროისთვის დიდი ბრიტანეთის მანდატის ქვეშ მყოფ ტერიტორიას წარმოადგენდა. მომავალი დიდი პოლიტიკოსის კარიერა ებრაულ იატაკქვეშა სამხედრო ორგანიზაციაში "ხაგანა" გაწევრიანებით დაიწყო. ეს ორგანიზაცია 1948-49 წლებში ისრაელ-არაბეთის ომში მონაწილეობდა, რაც ებრაული სახელმწიფოს შექმნას მოჰყვა. 1950-55 წლებში შარონი რიგი სამხედრო აქციების ორგანიზატორი იყო. უკვე 1967 წელს არიელ შარონს ბრიგადის გენერლის ჩინი მიანიჭეს და დივიზია ჩააბარეს. ამ ომის შედეგად ისრაელმა აღმოსავლეთ იერუსალიმი, მდინარე იორდანეს დასავლეთი სანაპირო და ღაზას სექტორი მიიერთა. სწორედ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული უმკაცრესი ზომების გამო გახდა არიელ შარონი პალესტინელებისთვის დაუძინებელი მტერი.

1973 წელს არიელ შარონი პირველად აირჩიეს ქნესეთში, მაგრამ ზუსტად ერთ წელიწადში მან უარი თქვა დეპუტატის მანდატზე და იცხაკ რაბინის კაბინეტში მრჩევლის თანამდებობა დაიკავა უსაფრთხოების საკითხებში.

ისრაელის საკანონმდებლო ორგანოში შარონის მეორედ დაბრუნება უკვე 1977 წელს მოხდა. თუმცა, პარლამენტში მოღვაწეობის გაგრძელება მას არც ამჯერად მოუხდა დიდხანს, მომავალმა თავდაცვის მინისტრმა იმდროინდელ პრემიერ-მინისტრთან მენაჰიმ ბეგინთან შეუთანხმებლად მიიღო გადაწყვეტილება ლიბანზე თავდასხმის შესახებ. სისხლიან ოპერაციას ლიბანში ისრაელის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი მოჰყვა, რამაც შარონს თავდაცვის მინისტრის პოსტი დაატოვებინა. ტრიბუნალის განაჩენი პოლიტიკოსთა უმრავლესობისათვის კარიერის დასრულების ტოლფასია, თუმცა გამონაკლისი ყოველთვის არსებობს და ასე მოხდა არიელ შარონის შემთხვევაშიც. დროებითი ფიასკოს მიუხედავად, მან შეძლო პოპულარობა შეენარჩუნებინა მემარჯვენეებში და საჭირო დროს უცდიდა - ეს დროც დადგა 1990-იან წლებში. პოლიტიკური კარიერის აღმასვლა სოციალურ საკითხთა მინისტრის პოსტიდან დაიწყო და 1999 წელს არჩევნებში ნეთანიაჰუს მარცხის შემდეგ არიელ შარონი ოპოზიციაში მყოფ პარტია "ლიკუდს" ჩაუდგა სათავეში. უკანასკნელ ხანს კი "ლიკუდში" თანამოაზრეთა განდგომას ვაჟის ომრი შარონის ფინანსურ მაქინაციებში დამნაშავედ ცნობაც დაემატა, თუმცა ჩრდილის მიყენება არეილ შარონისთვის ვერც ამ ფაქტმა შეძლო. პერიპეტიებით აღსავსე პოლიტიკური კარიერის დასრულების მიზეზად არიელ შარონისთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება იქცა.

2006 წლის 11 აპრილს - საპარლამენტო არჩევნებში "კადიმას" გამარჯვებიდან 2 კვირის შემდეგ - ისრაელის კაბინეტმა ერთსულოვნად ცნო არიელ შარონი "სამუდამოდ უუნაროდ", რითაც ოფიციალურად დასრულდა ქარიზმატული ლიდერის კარიერა.

# მსგავსი იზიდავს მსგავსს

პირველი გვერდიდან

ეს იდეები ევროპული ცივილიზაციის მონაპოვარი იყო; ამერიკის კონტინენტზე ისინი, უბრალოდ, უფრო სწრაფად და დაუბრკოლებლად მომწიფდა. ვუწოდოთ ამ ახალ იდეურ მდინარებას ლიბერალური დემოკრატიის ტრიუმფი და ვნახოთ, რა მოხდა ამ დროს პლანეტის სხვა კუთხეში.

თუმცა მანამდე ერთი შემოდავების თავიდან აცილებაა საჭირო.

დიდი სახელმწიფოები, იმპერიები, ყოველთვის იყენებდნენ სათანადო იდეოლოგიურ ინსტრუმენტებს თავისი მიზნების მისაღწევად, მაგრამ ეს პრაქტიკა მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ ვუდრო ვილსონის იდეალიზმისგან. ერთია იმპერიების იდეოლოგა, ათასი ჯურის მესიანიზმი და მეორე - ამავე იმპერიების ნამდვილი მტაცებლური ზრახვები, სადაც იდეები მხოლოდ დიდმპყრობელური სტრატეგიის შესანიღბი საშუალებებია. ახალი ამერიკული იდეალიზმის შემთხვევაში კი ზემოხსენებული იდეები პოლიტიკური ჩანაფიქრების მისაღწევი საშუალებები კი აღარ არის - არამედ მიზნები. ლიბერალური საზოგადოებისთვის კოლექტიური უსაფრთხოების, ადამიანის უფლებების, ერთა სუვერენობის და მისთანა იდეები ფუნდამენტური, სასიცოცხლო მნიშვნელობის ის საყრდენებია, რომელზეც დგას თვითონ ეს საზოგადოება.

პოლიტიკური იდეალიზმი სხვა ცივილიზაციებისთვისაც არ აღმოჩნდა უცხო ხილი; ის რაც ევროპის დასავლეთ პერიფერიაზე მოხდა, მის აღმოსავლეთ პერიფერიას, ანუ რუსეთსაც (და შესაბამისად საქართველოსაც) მისწვდა. მაგრამ რუსეთი ამერიკის და დასავლეთ ევროპის გაუკუღმართებულ, კარიკატურულ "ალტერ ეგოს" განასახიერებდა. ევროპული საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები აქ ყოვლად ზღვარდაუდებელი, უკიდურესობამდე მიყვანილი ფორმით რეალიზდა. უკიდურესობამდე მიყვანილი ტენდენცია, მოგეხსენებათ, მის საპირისპიროში გადადის ხოლმე; დასავლეთევროპული სოციალ-პოლიტიკური ღირებულებებიც რუსეთის შემთხვევაში უკუღმა ამოტრიალდა: მშრომელი ადამიანის კაბალური ყოფისგან გათავისუფლების პროცესი, რუსეთის შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ ინდივიდის ტოტალური დამორჩილებით დასრულდა; ხალხისთვის მესაკუთრის უფლების ჩამორთმევა - სახალხო საკუთრებად გამოცხადდა; ომისთვის გამალებულ შეიარაღებას - მშვიდობისთვის ბრძოლა ეწოდა; მეზობელი სახელმწიფოების და ხალხების დაპყრობებს - გათავისუფლება და ა. შ. შეჯამებულად რომ ვთქვათ, დასავლური **ლიბერალური დემოკრატიის** იდეური სისტემა აღმოსავლეთ ევროპაში რუსულ **სოციალ-დემოკრატიად** გადამღერდა. ამ დაპირისპირების მიუხედავად პოლიტიკური იდეალიზმი რუსული საზოგადოების შემთხვევაშიც, ევროპულ-ამერიკულის მსგავსად, უაღრესად პრინციპული, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა, - რუსულმა საზოგადოებრივმა წყობამ პირწმინდად *იდეოკრატიული დიქტატურის* სახე მიიღო, ხოლო დაპირისპირება დასავლურ ლიბერალდემოკრატიასა და რუსულ სოციალდემოკრატიას შორის ეპოქის ძირითად შინაარსად და თავსატეხად იქცა; ამას კი შედეგად ცხელი და ცივი ომები მოჰყვა.

მოგვიანებით, პოლიტიკური იდეალიზმი ისლამის ქვეყნებშიც გამოიკვეთა. პოლიტიკური არასრულფასოვნებისაგან თავის დაღწევის მოწადინე ისლამურ სამყაროში მან ფუნდამენტალიზმის და მისი შესატყვისი **რელიგიურ-პოლიტიკური ექსტრემიზმის** სახე მიიღო. ისლამური ფუნდამენტალიზმი, რუსული იმპერიალიზმის გამოთავისუფლებულ ადგილს იჭერს გლობალურ პოლიტიკურ დაპირისპირებაში და დასავლურ ლიბერალიზმს ემტერება. ჩვენთვის აქ ის არის საინტერესო, რომ რუსული/ქართული "მართლმადიდებლობა" საზოგადოებრივი და პოლიტიკური ღირებულებების ნიშნით ისლამისგან დიდად არ განსხვავდება და რუსული/ქართული საზოგადოებაც არა მარტო ამ ქვეყნებში ფეხმოკიდებული ისლამის გამოა რელიგიური ექსტრემიზმის მიმართ სენსიტიური. სამწუხაროდ, წერილის ფორმატი არ გვაძლევს ამ თემაზე მსჯელობის გაღრმავების საშუალებას...

არც ერთს ამ სამი იდეური დინებიდან საქართველოსთვის გვერდი არ აუვლია. საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო და აქაური ამინდიც პირველ რიგში სწორედ რუსული იდეური ევოლუციის თუ რევოლუციების ქარიშხლმა შექმნა. განვიხილოთ ცოტა უფრო დაწვრილებით ეს პროცესი.

გასული საუკუნის დასაწყისის ახალმა იდეურმა მდინარებამ რუსეთში სწორედ რევოლუციების სახე მიიღო. დიდი რუსი ფილოსოფოსი სემიონ ფრანკი ბოლო რუსულ რევოლუციას *ინტელიგენტური რევოლუციის* სახელით მოიხსენიებს და აი, რატომ:

რუსული კულტურის და საერთოდ რუსული ისტორიისათვის სემიონ ფრანკი კარდინალური მნიშვნელობის ფაქტად 1762 წლის ცნობილ მანიფესტს მიიჩნევს, რომლის ძალითაც თავადაზნაურობა სახელმწიფო-სავალდებულო სამსახურისაგან გათავისუფლდა. შედეგად წარმოიქმნა უზრუნველი, მოცლილი ადამიანების კასტა, რომლის ერთმა ნაწილმა ხელი ლიტერატურულ და ინტელექტუალურ საქმიანობას მიჰყო. ხაზგასასმელია, რომ მისი ეს არჩევანი პოლიტიკურადაც იყო მოტივირებული: დესპოტურ რუსულ სახელმწიფოში პოლიტიკური ოპოზიციონერობის რაიმე სხვა საშუალება, თუ არა ირიბი (ლიტერატურა, თეატრი) არ არსებობდა. საბოლოოდ ამ უზრუნველი სოციალური კასტიდან ყბადაღებული რუსული ინტელიგენცია ჩამოყალიბდა. ეს იყო პოლიტიკური და საზოგადოებრივი იდეალების მსახურთა კასტა, რომელმაც სამომავლო რუსულ კატასტროფას შეუმზადა საფუძველი: ინტელიგენციამ რუსეთში პოლიტიკურ პარტიათა ამოცანებიც დასახა და ამ პარტიათა ელიტებიც თავისივე რიგებიდან შეავსო; რუს სოციალ-დემოკრატთა თავადაზნაურული წარმომავლობა საყოველთაოდაა ცნობილი. დასავლური პოლიტიკური პარტიებისაგან განსხვავებით, რუსული პარტიები არ იბრძოდნენ ამა თუ იმ კლასის ინტერესებისათვის, არამედ - სოციალური და პოლიტიკური იდეალებისათვის (სამწუხაროდ **ნიჰილისტური,** გაუკუღმართებული იდეალებისათვის), რის გამოც ეს მოძრაობა იდეოკრატიული დიქტატურის დამყარებით დასრულდა.

ნიჰილიზმი და იდეალიზმი თითქოს შეუთავსებელია ერთმანეთთან, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის: ნიჰილიზმსაც აქვს თავისი იდეალები, უფრო სწორად, ნიჰილიზმის იდეალები საბოლოო ჯამში ერთ მთავარ იდეაზე - თვითუარყოფის იდეაზე დაიყვანება.

სწორედ ამ მისი ნიჰილისტური შინაარსის გამო მოხდა, რომ მთელმა რუსულმა ინტელიგენციამ დიალექტიკურად უარყო თავისი თავი, როცა დესპოტური სახელმწიფოს ოპოზიციონერობით დაიწყო და აბსოლუტური დესპოტია კი დაამყარა; თვითუარყოფის აპოთეოზიც ინტელიგენციის ფიზიკური განადგურება/რეპრესირება გახდა 1937 წელს...

**მოგვწონს თუ არა ეს, უნდა ვაღიაროთ, რომ ნიჰილიზმი ქართული სულიერების ღრმად დამახასიათებელი თვისებაც გახდა.** ქართველი და რუსი ხალხების იდეურ ნათესაობას საერთო მართლმადიდებლური წიაღი ასაზრდოვებდა, მაგრამ რელიგიური ფესვების საკითხს ახლა აქ ველარ გამოვუდგებით...

ჯერ კიდევ ქართული სახელმწიფოს კვდომის წინა დღეს (1801 წელს ვგულისხმობ), ქართული თავადაზნაურობის (რომლისგანაც მერე რუსულის მსგავსად ინტელიგენცია ამოიზრდება) უმთავრესი და შეიძლება ერთადერთი იდეალიც თვითუარყოფა იყო. ჯერ კიდევ ცოცხლობდა საქართველოს, როგორც "ქრისტიუნული ევროპის წინაბურჯის" რუდიმენტული იდეა, რომლის რეალიზაციის თავი ქართულ საზოგადოებას, რა თქმა უნდა, აღარ ჰქონდა და ის თავის ფანტაზიაში გიორგიევსკის ტრაქტატით რუსეთის პატრონაჟის ქვეშ ამ მიმკვდარებული იდეის გაცოცხლებას აწერდა ხელს, მაგრამ ეს - ფანტაზიაში. რეალურად კი ყულფში ყოფდა თავს და სწორედაც რომ თვითუარყოფის იდეას ახორციელებდა.

რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართული თავადაზნაურობის ანუ წინარეინტელიგენციის ძველი სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი (სათავადოს სისტემა) გაუქმდა და "პომეშჩიკობა" დაწესდა, ქართული თავადაზნაურობა რუსულს გაუიგივდა კლასობრივად და სოციალურად. მისგან გამოჩეკილი ქართული ინტელიგენციაც რუსული გზით წავიდა. ის კი არა და, ქართველები სოციალდემოკრატიის მთავარ ბაირახტრებად იქცნენ მთელ იმპერიაში: ყველაზე ადრე დაიწყეს მარქსიზმის პროპაგანდა და უკეთურ მოღვაწეთა მთელი კორიანტელი ააყენეს: მახარაძით და წერეთლით დაწყებული და ცხაკაიათი და ჯუღაშვილით დამთავრებული. ქართული ინტელიგენცია იბრძოდა სოციალისტური რევოლუციის წარმატებისთვის; მისი შემოქმედებითი, ხელოვნებაში დასაქმებული ნაწილი მიესალმა რევოლუციას, იდგა "ხუთწლედების მხარდამხარ" და ა.შ.

მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა.

საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, ლიბერალურმა იდეებმა უფრო სუფთა, დაუმახინჯებელი სახითაც დაიმკვიდრა ადგილი. ლიბერალური დემოკრატიის იდეური მდინარება ჩვენში თერგდალეულთა სახელით არის ცნობილი. სწორედ მათ, ილია ჭავჭავაძემ და მისმა მიმდევრებმა დაძრეს ქართული საზოგადოება ნიჰილიზმის ჭაობიდან და მას ეროვნული სუვერენიტეტის იდეა შეაწყნარეს. მათი გარჯა დამოუკიდებლობის მიღწევით დაგვირგვინდა, ოღონდ ეს დამოუკიდებლობა ხანმოკლე გამოდგა: ლიბერალიზმის ტალღა საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, სოც-დემოკრატიული ნიჰილიზმის მდინარემ აატალახა. ნიჰილიზმი და ეროვნული სახელმწიფო შეუთავსებელი ცნებებია - საქართველო ისევ გაქრა პოლიტიკური რუკიდან და სწორედ მისი იმ სოციალ-დემოკრატი ნაშიერების წყალობით (სტალინი, ორჯონიკიძე, მახარაძე, კოლაბორანტი მენშევიკები), რომლებმაც მოკლეს ილია...

გაიელის 70 წელიწადი და თიხისფეხებიანი საბჭოთა კოლოსის მსხვრევის მომენტში ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ შემორჩენილი ჯანმრთელობის ხარჯზე ერთხელაც გაიბრძოლებს და ქვეყნის დამოუკიდებლობას აღადგენს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ ლიბერალური იდეოლოგიის არსენალიდან მას მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოს იდეაღა შემორჩენოდა, სხვა დანარჩენი ქართული საზოგადოებისთვის "ჩინური" გამხდარიყო და არა მხოლოდ უბრალო ხალხისთვის, არამედ თვით ამ *ინტელიგენციისათვისაც*, რომელსაც თანდათან *ახალი ინტელექტუალური ელიტა* გამოეყო; მაგრამ სანამ ახლები ყალიბდებოდნენ, მართვის სადავეები ისევ ძველმა ინტელიგენციამ, უფრო დაზუსტებით კი შევარდნაძემ და საბჭოთა ნომენკლატურამ იგდო ხელთ და ქვეყანა ისევ თვითუარყოფის ჩვეულ გზას გაუყენა. რომ არა არაჩვეულებრივად ხელსაყრელი საგარეოპოლიტიკური ვითარება და დასავლეთის გადამწყვეტი მხარდაჭერა, ეკონომიკური სიდუხჭირის და კონფლიქტების ქარცეცხლში გახვეული ქვეყანა ამჯერადაც კატასტროფით დაამთავრებდა. დასავლეთის მხარდაჭერა გადამწყვეტი აღმოჩნდა, - ქვეყნად გაჩნდა ახალი ელიტა, როგორც პოლიტიკოსთა შორის, ისე იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შიგნით, რომლებიც დასვლური ცივილიზაციის უჯრედების სახით, ეგრეთ წოდებულმა "პოტომაკდალეულებმა" ჩამოაყალიბეს. სწორედ მათ შემოაბრუნეს ქვეყანა ვარდების რევოლუციის მიმართულებით.

არის თუ არა ქართული და რუსული პოლიტიკური ევოლუციის გზები იდენტური? მოხვდება თუ ვერა ერთი ცივილიზაციური ქოლგის ქვეშ ეს ორი ქვეყანა?

რუსეთი არაერთხელ დაძრულა ვესტერნიზაციის მიმართულებით, მაგრამ მერე შუა გზიდან უკან მობრუნებულა. ელცინის შემდეგდროინდელ რუსეთში ჯერაც უმწიფარი დემოკრატიის რღვევის ნიშნები უკვე აშკარად გამოიკვეთა. დასავლეთის მხრიდან რუსეთის მიმართ გატარებული დაახლოების პოლიტიკის მიუხედავად, რუსეთი მაინც რჩება *ქვეყნად, რომელიც უპირისპირდება დასავლეთს*, როგორც ცივილიზაციური იდენტობის ნიშნით, ისე გეოსტრატეგიულად.

ვარდების რევოლუცია საქართველოს რუსული ორბიტიდან დასავლური ორბიტის მიმართულებით გადაქანების მომასწავებელია, მაგრამ ხელისუფლების ცვლილებით ეს რევოლუცია კი არ დამთავრდა, არამედ მხოლოდ დაიწყო - საქართველო ჯერაც არ არის დასავლურ ორბიტაში მტკიცედ მოქცეული ქვეყანა. მთავარი პოლიტიკური კოლიზია აქ სწორედ ლიბერალურ-დემოკრატიულ და რუსულ-საბჭოთა მემკვიდრეობას შორის თამაშდება (თუმცა არც რელიგიური ექსტრემიზმია უცხო ხილი) და ამ აზრით საქართველო ტიპური "გახლეჩილი ქვეყანაა". გახლეჩილია რუსეთიც, მაგრამ სხვაობა ის არის, რომ საქართველოს შემთხვევაში გარღვევა დასავლეთის მიმართულებით უკვე მოხდა და ამაში - რა პარადოქსალურადაც არ უნდა ჟღერდეს - მას რუსეთი დაეხმარა. დღესაც საქართველოს დასავლეთისაკენ სწრაფვას ხელს იგივე რუსეთი უწყობს.

ქართულ საზოგადოებაში არავინ დავობს, რომ რუსეთი საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრება, ამ საფრთხისაგან თავის დაღწევის ერთადერთი გარანტია კი დასავლეთში ინტეგრაციაა. ეს ინტეგრაცია ისე ვერ მოხდება, თუ თვითონ საქართველო არ გახდა ლიბერალურ ღირებულებებზე ორიენტირებული ქვეყანა. ასეთ შემთხვევაში კი მსგავსი ბუნებრივად მიიზიდავს მსგავსს.

თავად რუსეთის პოლიტიკურ ევოლუციას სხვა პირი უჩანს. ვარდების რევოლუციის მსგავსი გარღვევა აქ ნაკლებ სავარაუდოა. რევოლუციას ხალხი არც საქართველოში დაუჭერდა მხარს ასე ერთსულოვნად და თავგამოდებით, მაგრამ საქართველოს რუსეთი დაეხმარა: შევარდნაძე და მისი ნომენკლატურა ქართულ პოლიტიკურ სხეულში გარჭობილი რუსულ-საბჭოური ეკალი იყო. შემთხვევით კი არ დააფარა ხელი რევოლუციის კულმინაციურ მომენტში მოსკოვიდან მოვლინებულმა იგორ ივანოვმა კრემლის გზააბნეულ ვასალს. რუსეთი კი შევარდნაძის მეშვეობით/სახით ზომაზე მეტად უჭერდა ჭახრაკებს საქართველოს: შევარდნაძის რეჟიმი იმდენად ანტისახალხო გახდა, რომ მის წინააღმდეგ ყველა ერთსულოვნად გამოვიდა, რამაც გადაწყვიტა კიდეც რევოლუციის ბედი. ვარდების რევოლუცია იმდენად დემოკრატიის დაცვის სახელით არ განხორციელებულა, რამდენადაც შევარდნაძის ნეოკომუნისტური მანიპულაციებით გაბეზრებული და შეურაცხყოფილი ხალხის გამოსარჩლების ლოზუნგით.

ასე რომ, ჯერ კიდევ საკითხავია, შესწევს თუ არა ვარდების ხელისუფლებას (პოტომაკდალეულებს) დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის უნარი. ასეთი სურვილი შეიმჩნევა, ოღონდ ხელისუფლების მიერ ზარზეიმით რეკლამირებული კამპანიების მიღმა დემოკრატიული პროცედურების უგულებელყოფის ნიშნები იკვეთება, რის გამოც ხალხი და ხელისუფლება ერთმანეთს თანდათან შორდება; რეფორმები მტკივნეულად მიმდინარეობს, რაც არა ერთი ადამიანის გაბოროტებას იწვევს; მმართველ ელიტაში კი ძველი კორუფციული თუ ანტიდემოკრატიული რეციდივები გახშირდა. ეს სახელს უტეხს რეფორმებს და დემოკრატიზაციის მიმართ უნდობლობა ღვივდება; არადა თუ დასავლეთისადმი გაუცხოვება გაიზრდება, რუსულ "ევრაზიულ" ორბიტაში დაბრუნება, ანუ მორიგი კრახი გველის. მით უმეტეს, რომ რუსეთისადმი ლტოლვა საქართველოში, ყველაფრის მიუხედავად, კვლავინდებურად დიდია. რომ არა რუსეთის მიერ დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, ამ ქვეყნისადმი სიმპათიები ხალხში და ხელისუფლებაშიც მკვეთრად გაიზრდებოდა. რუსეთის კავკასიური პოლიტიკა რომ პროქართული ყოფილიყო, უმტკივნეულოდ გადაიბირებდა საქართველოს თავის ორბიტაში, მაგრამ რუსულ პოლიტიკურ წრეებში საქართველოს მეგობრობა აზრადაც არავის მოსდის და ქართულ-რუსული კონფრონტაციაც სულ უფრო ღრმავდება. ჩვენ კი შეგვიძლია მაინც ოპტიმიზმით ვუყუროთ მომავალს.

რა გვაძლევს ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს?

ჩვენი ნიჰილიზმი!!! უფრო დაზუსტებით კი ამ ნიჰილიზმით შექმნილი საფრთხე.

ნიჰილიზმმა ქვეყანა დაღუპვის პირას მიიყვანა. კარს მომდგარმა კატასტროფამ საზოგადოება აიძულა ერთხელაც გაებრძოლა და ვარდების სურნელებით გადაეფარა მოახლოებული სიკვდილის მყრალი ამონასუნთქი. გაემიჯნება თუ არა საბოლოოდ ქართული საზოგადოება რუსულ-საბჭოთა მემკვიდრეობას? გახდება თუ არა ლიბერალური ორიენტაცია (ილიას გაკვალული გზა) მისი გზასავალი? - ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

რა პატარაც არ უნდა იყოს საქართველო, რუსეთის პოლიტიკურ გეგმებში მას მაინც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა. ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით გაწვართულ რუსულ გეოსტრატეგიულ სქემებში საქართველოს უმნიშვნელოვანესი პოზიცია უჭირავს. რაც უფრო ძლიერი და დაცული იქნება საქართველო, მით მეტად აიძულებს რუსეთს კავკასიის რეგიონში დასავლეთთან პარტნიორობის პოლიტიკა ამჯობინოს კონფრონტაციულს, არადა ამით რუსეთი მხოლოდ მოიგებს. ჩვენი სისუსტე მხოლოდ ველიკოდერჟავულად შემართული რუსი პოლიტიკანების სტრატეგიულ ილუზიებს კვებავს და არა მარტო ჩვენთვის, რუსეთისთვისაც საზიანოა. ქართულ-რუსული ურთიერთობების პარადოქსიც ეს არის: რაც უფრო სუსტია საქართველო, მით უარესი რუსეთისათვის.

# სამედოვის საქმეს სააპელაციო სასამართლო დღეს განიხილავს

პირველი გვერდიდან

"ამ პროცესების საქმის ობიექტურად გადაწყვეტა საქართველოს პრესტიჟის საქმეა", - განაცხადა ადვოკატმა.

ცნობისთვის, სამედოვი აზერბაიჯანში არარეგისტრირებული კავშირის "რწმენა და სინდისის თავისუფლების დაცვის კავკასიური ცენტრის" თავმჯდომარეა. ორგანიზაცია 2000 წელს დაარსდა (საქართველოში ზუსტად იგივე ცენტრი 2005 წლის 25 აპრილს დარეგისტრირდა).

წერილში, რომლითაც სამედოვმა საქართველოს პრეზიდენტს მიმართა, იგი წერს:

**"აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან ცენტრის დევნამ პიკს 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მიაღწია. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მშვიდობიანი დემონსტრანტების პროვოცირება გამოიწვია, რის გამოც, მოხდა მასობრივი არეულობა, რაც მასობრივი რეპრესიების გატარების მიზეზი გახდა - აზერბაიჯანში 360 ოპოზიციონერი დააპატიმრეს, ჩემს წინააღმდეგაც აღიძრა საქმე და იძულებული გავხდი, დამეტოვებინა სამშობლო".** სამედოვს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ანგარიშში დევნილის სტატუსი აქვს მინიჭებული.

საქართველოს პრეზიდენტს სამედოვი სთხოვს, მისცეს პოლიტიკური თავშესაფარი და არ მოხდეს მისი ექსტრადიცია. სამედოვის ადვოკატმა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას საქალაქო სასამართლოს გირაოს გადახდა შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო. პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ადვოკატმა სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

დღეს თბილისის სააპელაციო სასამართლო სამედოვისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხს განიხილავს. პატიმრობის სანაცვლოდ, სამედოვის ადვოკატები სასამართლოს გირაოს - სავარაუდოდ, 10 ათასი ლარის გადახდას შესთავაზებენ. სამედოვის პატიმრობიდან გათავისუფლებას საქართველოში მოქმედი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები მოითხოვენ.

## მოკლედ

### სახალხო დამცველი გამოძიებას ითხოვს

სახალხო დამცველი ქუთაისის N2 საპყრობილეში მყოფი მიხეილ ჩხეიძის უკანონო დაპატიმრებისა და ცემის ფაქტის გამოძიებას ითხოვს. როგორც სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, ომბუდსმენის ოფისში მიხეილ ჩხეიძის მშობლის [illegible] განცხადება შევიდა, რომელშიც ნათქვამია, რომ, პოლიციის [illegible] ჩხეიძე [illegible]. თუმცა, ბალდიანი რაიონის [illegible] სასამართლოს [illegible] მიხეილ ჩხეიძე 6 იანვარს [illegible]. 17 იანვარს ქუთაისის [illegible] სასამართლოს [illegible] მოსამართლის [illegible], განჩინება [illegible] ორიდან მიხეილ ჩხეიძის [illegible] 2006 წლის 9 იანვრის [illegible].

გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, რომ ჩხეიძეზე ფიზიკური ზეწოლაც ხორციელდებოდა.

სოზარ სუბარმა [illegible] მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს, დაიწყოს წინასწარი გამოძიება ჩხეიძის უკანონო დაპატიმრებისა და ცემის ფაქტებთან დაკავშირებით. [illegible] სახალხო დამცველის აზრით, მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს, შეისწავლოს [illegible] მოსამართლეთა - ზურაბ [illegible] და კობა გოგირიძის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი. **24 საათი**

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

**ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა აცხადებს**

**საგრანტო კონკურსს საუკეთესო დოკუმენტური ფილმების პროექტების გამოსავლენად**

**კონკურსის მიზანია**

გამოვლინდეს ორი საუკეთესო პუბლიცისტური, დოკუმენტური ფილმის პროექტი, რომლის განხორციელებაც დაფინანსდება ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამის მიერ.

**კონკურსში მონაწილეობა**

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში მოქმედ დამოუკიდებელ სატელევიზიო სტუდიებს.

**კონკურსის პირობები**

- პროექტი შედგენილი უნდა იყოს ფონდის მიერ დამტკიცებული გრანტის მოსაპოვებელი განაცხადის ფორმის მიხედვით (ფორმა იხ. ვებ გვერდზე - http://osgf.ge/?show=manual);
- პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი ფილმი უნდა იყოს პუბლიცისტურ-დოკუმენტური ჟანრის;
- დოკუმენტური ფილმის პროექტის შინაარსობრივი თემატიკა უნდა იყოს აქტუალური და თანამედროვე ქართული სინამდვილის ამსახველი;
- ამავე დროს ფილმების თემატიკა უნდა ემსახურებოდეს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და ტოლერანტობის კულტურის დანერგვის მიზანს.
- პროექტის ფარგლებში განმცხადებელმა ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს დოკუმენტური ფილმის შინაარსი და სტრუქტურა (სცენარის მონახაზი), ასევე ფილმის მომზადების მეთოდოლოგია;
- პროექტით გათვალისწინებული დოკუმენტური ფილმის მომზადების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 8 კვირას.
- კონკურსში მონაწილეობის მსურველმა სატელევიზიო სტუდიებმა უნდა წარმოადგინონ საკუთარი ორგანიზაციის ან/და პროექტის ძირითადი თანამშრომლების მიერ წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტების ნუსხა (სასურველია თან ერთვოდეს ვიდეო მასალა DVD ფორმატში)
- დოკუმენტური ფილმის მომზადებისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 8 000 აშშ დოლარს.

კონკურსის პრიორიტეტული თემატური სფეროებია: სოციალური პრობლემები, ინტეგრაცია, მულტიკულტურალიზმი, გენდერული საკითხები, პოლიტიკური პლურალიზმი, ძალადობის პრობლემა.

*ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" იზრუნებს გამარჯვებული პროექტების დაფინანსების შედეგად მომზადებული ფილმების სატელევიზიო ეთერით გადაცემაზე.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება 2006 წლის 4 აპრილიდან 4 მაისის 17:00 საათამდე. მისამართი ჭოველიძის ქ. N10. ტელ: 25-04-63, 25-05-92 ფაქსი: 29-10-52, ელ. ფოსტა - irakli@osgf.ge.**

**საკონტაქტო პირი: ირაკლი ცერცვაძე, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორი.**

კონსულტაციები კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის ჩატარდება კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში ყოველ ხუთშაბათ დღეს 11:00 საათზე ფონდის ოფისში.

# ბიზნესინტერესებს შეწირული სამართალი?

*"ძალადობის ან ძალადობის მუქარით სხვისი ნივთების დაზიანებით ან განადგურებით მონოპოლური საქმიანობის განხორციელებაში" ბრალდებული, სპეცდანიშნულების რაზმის "ალფას" ყოფილი წევრი, აფხაზეთის ომის დროს მხედრული მამაცობისთვის პირველი ხარისხის მედლით დაჯილდოებული, ფირმა "კომპიუტერ ლენდის" ხელმძღვანელი თეიმურაზ (ბაჩო) შარაშენიძე თერთმეტი თვის განმავლობაში უშედეგოდ ელოდებოდა სასამართლო პროცესის დაწყებას. სხვათა შორის, მუხლი, რომლითაც ბრალი წაუყენეს შარაშენიძეს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში რამდენიმე წლის წინ შეიტანეს, მაგრამ ამ კვალიფიკაციით დღემდე არც ერთი საქმე არ აღძრულა. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი პრეცედენტული საქმის წინასწარი გამოძიება ჯერ კიდევ შარშან მაისში დასრულდა და სასამართლოშიც გადაიგზავნა, განმწესრიგებელი სხდომა მხოლოდ რამდენიმე დღის წინ ჩაინიშნა და ისიც გადაიდო. სამაგიეროდ, ამასობაში თეიმურაზ შარაშენიძეს სამართალდამცველებმა წლების წინ დასრულებული საქმე გაუხსენეს და კიდევ ერთი მძიმე ბრალდება დაუმატეს. ამ ყველაფერმა კი მისი ახლობლები შარაშენიძის მიზანმიმართულ დევნაზე აალაპარაკა.*

თამარ კაციტაძე

თეიმურაზ შარაშენიძის ციხის საკანში მოხვედრას, შემდეგ გამოძიების არაობიექტურად წარმართვას, სასამართლო პროცესის დაწყების გაჭიანურებას და, ამ ფონზე, წლების წინ მომხდარი მკვლელობის ხელახლა ამოტივტივებას ბრალდებულის ახლობლები თავდაპირველად იმ პირთა დაინტერესებით ხსნიდნენ, რომელთა ბიზნესინტერესებიც თავის დროზე შარაშენიძისას დაუპირისპირდა. საქმე ეხება ლიფტების ბიზნესს, რომელიც წლების განმავლობაში წყნარად ვითარდებოდა, დღეს კი საკმაოდ მომგებიან საქმიანობად ითვლება და, როგორც ამ ბიზნესში ჩახედულნი ირწმუნებიან, აქ კონკურენტებს შორის საკმაოდ მძაფრი დაპირისპირება არსებობს.

ლიფტის ყუთების დამტვრევა და თანხის მოპარვა, მოტორების გაფუჭება და კაბელების გადაჭრა - ეს იმ დანაშაულთა ნაწილია, რა ხერხებითაც კონკურენტი ფირმები ერთმანეთს უსწორდებიან. სამართალდამცველ სტრუქტურებში ასობით ასეთი დანაშაულია აღრიცხული, მაგრამ წლების განმავლობაში არც ერთი მათგანი არ გახსნილა.

თეიმურაზ შარაშენიძის მეუღლის ირმა ბოგველის თქმით, შარაშენიძე საქართველოში პირველი იყო, ვინც გამოიგონა ე.წ. ლიფტის ყუთი (ლიფტებში დამონტაჟებული ფულის ჩასაყრელი ყუთი); ამ გამოგონებაზე საავტორო უფლების ლიცენზიაც აქვს და მანვე შექმნა საკუთარი ფირმა "კომპიუტერ ლენდი". მას შემდეგ, რაც ფირმას გამოგონებამ წარმატება მოუტანა, მას კონკურენტებიც გამოუჩნდნენ. ისინი შარაშენიძის გამოგონებას უკანონოდ იყენებდნენ, რის გამოც, დავამ რამდენჯერმე სასამართლოშიც გადაინაცვლა. თუმცა, სასამართლო პროცესები ყოველთვის შარაშენიძის გამარჯვებით სრულდებოდა. მოგვიანებით კი, ირმა ბოგველის მტკიცებით, მოწინააღმდეგეებმა "კომპიუტერ ლენდის" დამფუძნებლის ბიზნესიდან ჩამოშორება აკრძალული წესებით სცადეს.

**"ამ უწესო კონკურენციას ჩემი ქმარი ემსხვერპლა, რადგან მას ზურგს არავინ უმაგრებს. კონკურენტ ფირმებს კი, რომლებიც, დიდი ხანია, ყველაზე წარმატებული და კონკურენტუნარიანი ფირმის "კომპიუტერ ლენდის" ჩასაძირად გაერთიანდნენ, საკმაოდ ძლიერი მფარველები ჰყავთ",** - აღნიშნავს ირმა ბოგველი, რომელიც მეუღლესთან დაპირისპირებულ ფირმებად ყოფილ "თბილლიფტთან" ერთად "სერვის ლიფტს" და მის ხელმძღვანელს დავით ერაძეს ასახელებს.

თეიმურაზ შარაშენიძის ახლობლების თქმით, სწორედ დავით ერაძის მონდომებით გაიჟღერა "კომპიუტერ ლენდის" დამფუძნებლის სახელმა "თბილლიფტის" საქმის მწარმოებელი ავთანდილ ქაჩაშვილის მკვლელობის საქმეში. არაოფიციალურად შარაშენიძის დაპატიმრების მიზეზიც ეს გახდა. თუმცა, მკვლელობაში მისი მონაწილეობის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვება გამოძიებამ ვერ შეძლო. სამაგიეროდ, მას ბრალი წაუყენეს აქამდე გამოუყენებელი მუხლით - "ძალადობის ან ძალადობის მუქარით სხვისი ნივთების დაზიანებით ან განადგურებით მონოპოლური საქმიანობის განხორციელებაში".

**"შარაშენიძისთვის წარდგენილი ბრალდება ისევე აბსურდულია, როგორც მკვლელობის დაბრალება. შარაშენიძის წინააღმდეგ პროკურატურაში მოწმეები კონკურენტი ფირმების წარმომადგენლებმა მიიყვანეს და მათთვის სასურველი ჩვენებები იძულების წესით დააწერინეს. ამ საქმეში აშკარად აქტიურობდა დავით ერაძე, რომელიც დაკითხვებს უშუალოდ ესწრებოდა. ამის დამამტკიცებელი მასალებიც არსებობს",** - განაცხადეს ჩვენთან საუბარში შარაშენიძის ადვოკატებმა პავლე აბაიაძემ და თორნიკე ბაქრაძემ, რომლებმაც მათი დაცვის ქვეშ მყოფის საქმეში არსებული დარღვევები გენერალურ პროკურატურაში არაერთხელ გაასაჩივრეს, მაგრამ საქმე სასამართლოში ისე გადაიგზავნა, რომ დაცვის მხარის არც ერთი პრეტენზია არ დაკმაყოფილებულა.

სამაგიეროდ, გენერალურ პროკურატურაში შარშან ოქტომბერში გაახსენდათ 1994 წელს აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც თეიმურაზ შარაშენიძეს თავდაპირველად ორი ადამიანის: ცერცვაძის და გახარიას განზრახ მკვლელობაში ედებოდა ბრალი. მაშინ შარაშენიძე 11 თვის განმავლობაში იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში. საბოლოოდ კი გამოძიებამ დაადგინა, რომ მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოხდა, რის შემდეგ შარაშენიძის მიმართ საქმე გამოძიების პროცესშივე შეწყდა და იგი გაათავისუფლეს.

**"შარაშენიძე ორი წლის შვილთან და არასრულწლოვან მეზობელთან ერთად გლდანის მიმართულებით საკუთარი მანქანით მიდიოდა, როდესაც ახლობელი დაემგზავრათ. მგზავრის მანქანიდან გადმოსვლის დროს მოძრაობა შეფერხდა, რასაც მძღოლების უკმაყოფილება მოჰყვა. რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ მოულოდნელად შარაშენიძეს მანქანა გადაუდგა წინ. მანქანიდან ორი, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პიროვნება გადმოვიდა, ერთი კი მანქანაში დარჩა. როგორც მოგეხსენებათ, ბაჩო იმ პერიოდში უშიშროების სპეცრაზმი "ალფას" წევრი იყო და მას იარაღის ტარების უფლება ჰქონდა. უცნობებმა სწორედ იარაღის წართმევა მოუნდომეს, რასაც შელაპარაკება მოჰყვა. ამასობაში მანქანიდან თემურის მეზობელი გადმოვიდა, რომელსაც ერთ-ერთმა უცნობმა იარაღი შუბლზე მიადო, მეორე პისტოლეტი თვითონ შარაშენიძეს დაუმიზნა. თავდამსხმელები თემურისა და მეზობლის ბავშვის მოკვლით იმუქრებოდნენ. როგორც თავად შარაშენიძე იხსენებს, მან თავდამსხმელებს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლობის დამადასტურებელი საბუთი აჩვენა, მიუხედავად ამისა, ისინი მუქარას აგრძელებდნენ. ამის შემდეგ იძულებული გახდა, თავი და მცირეწლოვანი ახლობელი დაეცვა და ორივეს ესროლა. ერთი მათგანი ადგილზე გარდაიცვალა, მეორე კი - საავადმყოფოში. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ისინი პოლიციელები იყვნენ",** - ასე იხსენებს შარაშენიძის ადვოკატი წლების წინ მომხდარ მკვლელობას და ეს ვერსია თავის დროზე გამოძიებისთვისაც სარწმუნო აღმოჩნდა.

მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით თავის დროზე დაიკითხნენ მოწმეებიც, რომლებმაც შარაშენიძის ვერსია ოფიციალურად დაადასტურეს. სხვათა შორის, იმ პერიოდში დაზარალებულ მხარეს მომხდარში ეჭვი არ შეუტანია და არც პრეტენზია გამოუთქვამს .

**"დავიწყოთ იმით, რომ, კანონმდებლობის თანახმად, საქმის ხელახალ ძიებაში დასაბრუნებლად უნდა არსებობდეს ახალი, საფუძვლიანი გარემოებები. შარაშენიძის მიმართ კი კანონის სრული იგნორირება მოხდა. გენერალურმა პროკურატურამ, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, თორმეტი წლის წინ მომხდარი მკვლელობა გაიხსენა ისე, რომ არ ყოფილა საქმის განახლების მოტივი; მეტიც, აღნიშნულ საქმეში სიახლე არც შინაგან საქმეთა სამინისტროს მკვლელობის განყოფილებას დაუფიქსირებია ხელახალი გამოძიებისას. მათ დაკითხეს მხოლოდ რამდენიმე მოწმე, რომლებიც ადრეც იყვნენ დაკითხულები და ზუსტად იგივე ჩვენებები მიიღეს. გამოძიებამ რატომღაც ყველა მოწმის დაკითხვა საჭიროდ არ ჩათვალა. მიუხედავად მტკიცებულებების არარსებობისა, საბოლოოდ შარაშენიძეს ბრალდება კიდევ უფრო დაუმძიმეს და საქმე სასამართლოში განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობის მუხლით გადაგზავნეს. ეს სრული აბსურდია. სხვათა შორის, გამოძიება ისე დასრულდა, რომ ადვოკატებს არც შეგვატყობინეს. საბრალდებო დასკვნა კი შარაშენიძეს ციხეში გამომძიებელმა თავად გაუგზავნა",** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ადვოკატმა პავლე აბაიაძემ.

ვიდრე თეიმურაზ შარაშენიძე საქმის სასამართლო განხილვას ელოდება, მისი ახლობლები "მოჯადოებული წრიდან" გამოსავალს ეძებენ.

**"აქამდე ვფიქრობდით, გარკვეული წრე ჩემი მეუღლის ბიზნესით იყო დაინტერესებული და ამიტომ ჩამოიშორეს გზიდან. დღეს კი იმდენი უკანონობა ხდება მის მიმართ, საფუძვლიანი ეჭვი გამიჩნდა, რომ ვიღაცას მისი პიროვნული განადგურება სურს. სხვა ახსნა სამართალდამცველების დანაშაულებრივ ქმედებას არ მოეძებნება. ამიტომ, იძულებული გავხდი, მასალები შევაგროვო და სიმართლე სტრასბურგის ადამიანის უფლებების დაცვის სასამართლოში ვეძებოთ. ეს ჩვენი ერთადერთი გზაა",** - ამბობს შარაშენიძის მეუღლე ირმა ბოგველი.

# საქართველოს მართლმსაჯულება საბჭოური ელემენტებით

*"ამერიკის იურისტთა ასოციაციამ" გუშინ სასტუმრო "თბილისი მარიოტში" კონფერენცია გამართა, თემაზე "სასამართლო რეფორმის ინდექსი - დამოუკიდებელი მართლმსაჯულების განვითარების სურათი". კონფერენციაზე, ძირითადად, საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე, მის დადებით და უარყოფით ასპექტებზე ისაუბრეს.*

სასამართლო რეფორმის ინდექსი ამერიკის იურისტთა ასოციაციის ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივის მიერ გამოიცა. ინდექსზე მუშაობა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით ხორციელდებოდა.

**"2005 წლის სასამართლო რეფორმის შეფასება მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებისა და საქართველოს სასამართლო სისტემისათვის ბუნდოვან პერიოდში ჩატარდა, რაც განპირობებული იყო სასამართლოების რეორგანიზაციის პროცესით, რომელიც 2005 წელს დაიწყო და გაგრძელდება 2006 წელს. ფაქტორთა შეფასების ცხრილის მიხედვით, ოცდაათიდან მხოლოდ ორმა ფაქტორმა მიიღო დადებითი შეფასება (მოსამართლეთა ანაზღაურების ადეკვატურობა და მასმედიისა და საზოგადოებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა), 15 ფაქტორი შეფასდა უარყოფითად; ამ ფაქტორთა უმრავლესობა დაკავშირებულია სასამართლო სისტემის ანგარიშგებასა და ეფექტურობასთან, ფინანსურ სახსრებთან, სასამართლო უსაფრთხოებასთან და სასამართლოთა ძალაუფლებებთან. მიღებული შედეგები მსგავსია რეგიონის სხვა ქვეყნების მაჩვენებლებისა, სადაც მსგავსი შეფასება ცოტა ხნის წინ ჩატარდა",** - აღნიშნულია სასამართლო რეფორმის ინდექსში.

ამერიკის იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლის, მერილინ ზელინის თქმით, ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხი, რომელიც საქართველოს სასამართლო სისტემის წინაშე დგას, არის ზეწოლა აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პროკურატურის მხრიდან, რაც საკონსტიტუციო და სასამართლო დამოუკიდებლობის სხვა გარანტიების მიუხედავად ხორციელდება. მისი თქმით, ასეთ ზეწოლას განსაკუთრებით, სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას აქვს ადგილი. მეტიც, უცხოელ ექსპერტთა ანალიზით, ზეწოლამ იმატა 2003 წლის შემდეგ. ზოგმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ საქართველოს არც ერთი სასამართლო არ არის დამოუკიდებელი, და რომ საკონსტიტუციო სასამრთლოც კი ცდილობს რთული საკითხების გადაწყვეტის თავიდან აცილებას.

**"ჩემი აზრით, ხელისუფლება ინარჩუნებს უსაზღვრო კონტროლს სასამართლო სისტემაზე. აგრეთვე, არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩარევის არაერთი შემთხვევა და მიიჩნევა, რომ მსგავს ჩარევათა რიცხვი ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ქართული სასამართლო სისტემა ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მთავრობის სრულუფლებიან ნაწილს",** - განაცხადა გუშინდელი კონფერენციის მომხსენებელმა, მერილინ ზელინიმ.

საერთაშორისო ორგანიზაციათა შეფასებით, საქართველოს მართლმსაჯულებითი სისტემა კვლავაც შეიცავს საბჭოური სისტემის ელემენტებს.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსამართლეთა ხელფასები, ასევე, გაიზარდა საქართველოს იუსტიციის საბჭოს შემადგენლობა, რომლის 50 პროცენტი მოსამართლეებით არის დაკომპლექტებული, რაც დადებითი ფაქტორია. თუმცა კვლავ პრობლემად რჩება სასამართლო დარბაზებში წესრიგის უზრუნველყოფა, მოსამართლეები კვლავაც განიცდიან აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლას, რაც სასამართლოს დამოუკიდებლობას მნიშვნელოვან ზიანს აყენებს.

გუშინდელ კონფერენციას "ამერიკის იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლებთან, ქართველ მოსამართლეებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებთან ერთად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილიც ესწრებოდა. ამ უკანასკნელმა საკუთარ გამოსვლაში აღნიშნა, რომ სასამართლო რეფორმის ინდექსში მოცემული რამდენიმე შენიშვნა უკვე გამოსწორებულია.

**"შეფასებაში გამოთქმულ რამდენიმე ნეგატიურ შენიშვნას, გარკვეულწილად, ვეთანხმები, ვინაიდან არავის ჰქონდა ილუზია, რომ სასამართლო ხელისუფლებაში არსებული პრობლემები ორი წლის განმავლობაში უცებ აღმოიფხვრებოდა. ჩვენ ვაგრძელებთ ყველა დასახელებული პრობლემის მოგვარებას და მომავალში უკეთესი შედეგებიც გვექნება",** - ასეთია კოტე კუბლაშვილის დაპირება.

*24 საათი*

**BP საქართველო-ს საზაფხულო სტაჟირების პროგრამა 2006**

bp

საქართველო იწყებს სტაჟირების პირველ საზაფხულო პროგრამას, რომელიც ნიჭიერი სტუდენტების მცირერიცხოვან ჯგუფს მისცემს მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ენერგო კომპანიაში სამუშაო გამოცდილების შეძენის საშუალებას.

პროგრამაში მონაწილეობისათვის შეირჩევიან საინჟინრო-ტექნიკური, ბიზნესის, ეკონომიკური, საფინანსო, იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების განხრების ბაკალავრიატის ბოლო კურსის ან მაგისტრატურის აკადემიური მოსწრებით გამორჩეული სტუდენტები, რომლებიც გაივლიან 4 თვიან სტაჟირებას შემდეგ სფეროებში:

•მილსადენის ექსპლუატაცია და უსაფრთხოება

•მიწის და მიწის რეგულირების საკითხები

•კომუნიკაციები და საგარეო ურთიერთობები

•შესყიდვები

•ფინანსები და საბუღალტრო საქმე

**მოთხოვნები**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და სწავლობდეს ბაკალავრიატის ბოლო კურსზე ან მაგისტრატურაში.

კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ აკადემიური მიღწევები და კარგად ფლობდნენ ინგლისურ ენას.

შერჩევა მოხდება გასაუბრებისა და ინგლისურ ენაში ტესტირების საფუძველზე.

განცხადების ანკეტების და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია - ს საქართველოს ოფისში, მისამართზე: თბილისი, საბურთალოს ქ. 38

შევსებული ანკეტების ჩაბარება იწარმოებს ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 21 აპრილამდე

# დარღვევები თბილისის მერიაში

პირველი გვერდიდან

კონტროლის პალატის მიერ შერჩევით შემოწმდა საქალაქო ბიუჯეტით განსაზღვრული განათლების განყოფილების სპეცპროგრამების ხარჯები. როგორც აღმოჩნდა, სოლიდური დანახარჯებით ჩატარებული ღონისძიებები და შეკრებები საფინანსო სამმართველომ ჩატარებიდან თვეების შემდეგ დააფინანსა. ხარჯვის დამადასტურებელ საბუთად კი ამ ღონისძიებების მონაწილეებზე თანხების გაცემის უწყისებია წარმოდგენილი.

დარღვევებია აღმოჩენილი 35-ე საფეხბურთო სკოლაში. აქ სისტემატურად ტარდებოდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, თუმცა ღონისძიებების მხოლოდ ნაწილი ფინანსდებოდა, ისიც დაგვიანებით. ამავე დროს, სკოლის თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ აღნიშნული ღონისძიებების ჩასატარებლად საჭირო თანხები გადახდილია, თუმცა არ არის მითითებული მათი წარმოშობის წყარო. საერთო ჯამში, სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად დახარჯულადაა ნაჩვენები 87 642 ლარი, ისე, რომ ბიუჯეტიდან ამ მიზნით თანხა გაცემული არ იყო. ეს თანხები ანაზღაურებულია დაგვიანებით, 2004 წლის იანვარ-თებერვალში, რაც სერიოზული დარღვევაა. ანალოგიური მდგომარეობაა ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური, სოციალური ცენტრისა და თბილისის 25-ე სპორტული სკოლის სპეცპროგრამების დაფინანსებისას.

როგორც საქართველოს კონტროლის პალატა აღნიშნავს, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევითაა განხორციელებული შესყიდვები მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა კავშირ "რწმენა-1"-ში.

2003 წელს დაფიქსირებულია 11 შემთხვევა, როდესაც დადებულია ხელშეკრულებები საკვები პროდუქტების მიწოდებაზე. თითოეული ხელშეკრულებით გადასახდელი თანხა 3 900 ლარს აღემატება, რის გამოც ზემოაღნიშნული კანონიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვაზე უნდა ჩატარებულიყო დახურული ტენდერი. რაც არ ჩატარებულა.

საფინანსო სამმართველოში წარმოდგენილი დოკუმენტაციით ასევე გამოვლინდა, რომ განათლების განყოფილებას მრავალშვილიანი ოჯახებისთვის სასკოლო ინვენტარის სახელმწიფო შესყიდვაზე ნაცვლად ღია ტენდერისა, 665 ათასი ლარის ხელშეკრულება ერთ პირთან, განათლების სამინისტროს შპს "სასკოლო საბიბლიოთეკო კოლექტორთან" მოლაპარაკების გზით აქვს დადებული.

ყველაზე მეტი დარღვევა კულტურის საქალაქო სამსახურში გამოვლინდა. აქ წლიური დაზუსტებული ბიჯეტით გათვალისწინებული 898.5 ათასი ლარიდან მხოლოდ 683.0 ათას ლარზეა მითითებული, თუ კონკრეტულად რომელი პროგრამის დასაფინანსებლად იყო დაგეგმილი ეს თანხა. დანარჩენი 215.5 ათასი ლარი მიკუთვნებულია "სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებს", რომლის ხარჯვის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებდა ქალაქის აღმასრულებელი ხელისუფლება. 2003 წელს ამ მუხლით სულ 199.4 ათასი ლარი დაიხარჯა.

2003-2004 წლებში კულტურის ღონისძიებების ხარჯებით გათვალისწინებული იყო მიწისძვრის შედეგად კულტურის საქალაქო სამსახურის დაზიანებული ობიექტების გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება. ამისთვის ბიუჯეტში 1 878.3 ათასი ლარი იყო ჩადებული. აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ 2003-2004 წლებში ტენდერის ჩაუტარებლადაა გაფორმებული ხელშეკრულებები სამ იურიდიულ პირთან, რაც კანონდარღვევაა.

როგორც გაირკვა, მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ნატა მაჩალაძე არ ფლობს ინფორმაციას კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული რევიზიის შესახებ. **"საერთოდ არ ვიცი რა დარღვევებზეა საუბარი, ან როდის ჩატარდა რევიზია. მე ამ სამსახურს 2005 წლიდან ვხელმძღვანელობ, ასე რომ ეგ დარღვევები ჩემამდე იყო",** - განგვიცხადა ნატა მაჩალაძემ. უნდა ითქვას, რომ მერიის განათლებისა და კულტურის სამსახურს მაჩალაძე 2004 წლიდან ხელმძღვანელობს. 2005 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას სწორედ მან წარუდგინა საკრებულოს 2005 წლის პროგრამები.

რაც შეეხება 2005 წლის კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსებას, შემოწმებისას დაფიქსირდა, რომ ცალკეულ შემთხვევებში ორგანიზაციის მიერ გამოწერილ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურასა და ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებს შორის სხვაობაა. მაგალითად, შპს "არსაკიძე 2000"-ის მიერ გამოწერილ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში ნაჩვენებია 563,3 ათასი ლარი, მიღება-ჩაბარების აქტში კი ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ოდენობად 427,8 ათასი ლარი, ანუ 135,3 ლარით ნაკლები.

როგორც მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი კობა სუბელიანი განმარტავს, პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხის არამიზნობრივი ხარჯვა მათი ინიციატივით არ ხდებოდა და ამას მთავრობის დავალებით აკეთებდნენ. **"ჩვენი ინიციატივით არაფერი განხორციელებულა. გვქონდა შემთხვევები, როდესაც გეგმაში სხვა რამ გვქონდა, თუმცა მთავრობის დავალებით სხვა ღონისძიების განხორციელება მოგვიწია. კონტროლის პალატა ძირითადად ინვეტარიზაციაზე გვედავებოდა. ახლა ყველა გახარჯულ მასალაზე ვატარებთ ინვეტარიზაციას. აქამდე ამის გაკეთება ჩვენი უყურადღებობით ვერ შევძელით, თანაც დღესასწაულები დაემთხვა და ფიზიკურადაც ვერ მოვასწარით",-** განაცხადა სუბელიანმა.

კონტროლის პალატის დასკვნაში ნათქვამია, რომ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა თბილისის ვეტერინარული გაერთიანების დაფინანსებას. 2003 წელს ნაცვლად გეგმიური 447.0 ათასი ლარისა, იგი დაფინანსებულია 217.4 ათასი ლარით.

დასკვნაში ასევე ნათქვამია, რომ "2003-2005 წლებში "თბილგაზის" დაფინანსების მიზნით საბანკო სესხების აღებაზე საქართველოს პრეზიდენტის ვერც ერთი თანხმობა ვერ იქნა წარმოდგენილი. **"საფინანსო სამსახურში არ არსებობს სრულყოფილი ინფორმაცია საბიუჯეტო ორგანიზაციებზე რიცხული კრედიტორული დავალიანებების, ანუ ამ ორგანიზაციების მიერ ფაქტობრივად გაწეული და დაუფინასებელი ხარჯების შესახებ, რის გამოც მომდევნო პერიოდის ბიუჯეტის დაგეგმვისას არასრულყოფილად ხდება ამ დავალიანებების გათვალისწინება. ძალიან შესამჩნევია კაპიტალური ხარჯების არაპროპორციული დაფინანსებაც",** - აღნიშნულია დასკვნაში.

თბილისის მერის 2005 წლის 11 მაისის №44 ბრძანებით ლიკვიდირებულ იქნა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური. მომდევნო, ანუ №45 ბრძანებითვე დამტკიცდა საფინანსო სამსახურის დებულება, სტრუქტურა და საშტატო ერთეულები. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საშტატო ერთეულთა რაოდენობა 162-დან 69-მდე შემცირდა, თუმცა ფაქტობრივად არ შეცვლილა სამსახურის ფუნქციები, მიზნები და ამოცანები. არ შექმნილა სალიკვიდაციო კომისია და არც სალიკვიდაციო ბალანსი შედგენილა. ფაქტობრივად შტატების შემცირების მიზნით მოხდა სამსახურის რეორგანიზაცია და არა ლიკვიდაცია. აღსანიშნავია, რომ 2005 წლის 16 მაისს გამოიცა მერის ბრძანება საფინანსო სამსახურის ყველა თანამშრომლის გათავისუფლების შესახებ, თუმცა 69 ადამიანი იმავე დღეს დაინიშნა დროებით მოვალეობის შემსრულებლად. აღნიშნული 69 თანამშრომლიდან 2005 წლის მანძილზე მუშაობა არ შეუწყვეტია 46 თანამშრომელს. გარდა ამისა, ხელშეკრულება გაუფორმდა კიდევ 9 თანამშრომელს.

თბილისის მთავრობის 2005 წლის 28 ივლისის დადგენილებით, მერიის სტრუქტურული რეორგანიზაციისა და ზოგიერთი სამსახურების ლიკვიდაციის შედეგად გათავისუფლებულ თანამშრომლებზე კომპენსაციის სახით ორი თვის თანამდებობრივი სარგო უნდა გაცემულიყო. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე ორი თვის სარგო გაიცა საფინანსო სამსახურის უკლებლივ ყველა თანამშრომელზე. სინამდვილეში მუშაობა არ შეუწყვეტია 54 თანამშრომელს, რომლებსაც კომპენსაციები არ ეკუთვნოდათ. მათზე უკანონოდ გაცემულმა თანხამ 28,1 ათასი ლარი შეადგინა. საფინანსო სამსახურში არსებული დოკუმენტაციით დგინდება, რომ ანალოგიური მდგომარეობაა მერიის სხვა სამსახურებშიც.

კონტროლის პალატის მიერ შესწავლილი მასალები გადაგზავნილია თბილისის პროკურატურაში. მერიის საფინანსო სამსახურმა გამოთქმულ შენიშვნებზე გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია კონტროლის პალატას 2006 წლის 1 მაისამდე უნდა წარუდგინოს. **"კონტროლის პალატას ყველა დარღვევაზე წარვუდგინეთ შესაბამისი ახსნა-განმარტება. ბევრი დარღვევა, რაც ბიუჯეტის ხარჯების სწორად გაწერას, პროპორციულობის დაცვასა და სხვა საკითხებს შეეხებოდა, გავიზიარეთ. 2006 წლიდან დაფინანსების სხვა სისტემაზე, ანუ ვალდებულებისა და დამოწმების მეთოდზე გადავედით, რაც მთლიანად გამორიცხავს იმ დარღვევებს, რაც კონტროლის პალატის აქტშია დაფიქსირებული. თუმცა, დაფიქსირებულია ისეთი დარღვევებიც, რომელიც საფინანსო სამსახურთან არ არის დაკავშირებული. კონტროლის პალატამ მთლიანად ქალაქის ბიუჯეტი შეამოწმა. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტის ყველა მუხლის შესრულებაზე ჩვენი სამსახური პასუხისმგებელი ვერ იქნება",** - აღნიშნა მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა პაპუნა პეტრიაშვილმა.

"ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" წევრის კახა იმერლიშვილის განმარტებით, დაფინანსების ახალ სისტემაზე გადასვლა მართლაც წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ თანხის არასწორი ხარჯვა აღარ მოხდება.

**"ყველაზე მთავარი, მაინც, პრიორიტეტების განსაზღვრაა, ანუ იმის დადგენა, თუ რისი მიხედვით მოხდება ღონისძიებების დაფინანსება. თუ პროგრამული ბიუჯეტი არასწორად დაიგეგმა, გამოდის, რომ ხარჯებიც არასწორად არის მიმართული. ყველაფრის მიუხედავად, ახალი სისტემა კონტროლის მეტ საშუალებას იძლევა. საფინანსო სამსახური ხარჯს ისე ვერ გაწევს, თუკი საქალაქო სამსახური ვალდებულების ფურცელს არ წარუდგენს. ასეთ შემთხვევაში საფინანსო სამსახური იღებს ვალდებულებას. მას შემდეგ, რაც საქალაქო სამსახური სამუშაოს დაასრულებს, იგი საფინანსო სამსახურს შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტაციას წარუდგენს. როგორც კი სამუშაოს შესრულება დამოწმდება, მხოლოდ ამის შემდეგ გადაეცემა თანხა",** - განაცხადა კახა იმერლიშვილმა.



## საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 21 ივნისის N 141 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა "საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ" 2006 წლის 19 აპრილს საქართველოს ეროვნული ბანკის შენობაში (დადიანის ქ. 2) საკონფერენციო დარბაზში დღის 12 საათზე ჩატარდება აუქციონი საქართველოს ეროვნული ბანკის ოზურგეთის ყოფილი ფილიალის შენობის, და ქალაქ ბათუმში არსებული მიწის ნაკვეთის გასხვისებასთან დაკავშირებით:

**ლოტი N 1 ოზურგეთის ყოფილი ფილიალის შენობა.**

*მიწის ნაკვეთი:*

მიწის ნაკვეთი უზურფრუქტითაა დატვირთული, ანუ ობიექტის მფლობელს აქვს მიწის ნაკვეთის სარგებლობის სრული უფლება, გასხვისების ან განკარგვის უფლების გარეშე.

ნაკვეთის ფორმა: ნაკვეთს მთლიანობაში გააჩნია წახნაგოვანი ფორმა,

ნაკვეთის ფართი: მიწის ნაკვეთის საერთო ფართია 780 მ2 . აქედან 589მ2 განაშენიანებულია, ნაკვეთის რელიეფი: სწორია მცირე ქანობით,

სატრანსპორტო მიღწევადობა: მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. ოზურგეთში ი. შემოქმედელის ქ. N3

კომუნალური და სხვა კვანძები: მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილია კანალიზაციის, ელ. მომარაგების, წყალმომარაგების და სატელეფონო ცენტრალური სისტემებით, აგრეთვე არსებობს გაზგაყვანილობა.

*შენობა:*

ობიექტი აშენებულია XX-ე საუკუნის 80-იან წლებში. შენობის წინ მოწყობილია მანქანების სადგომი დაახლოებით 20-30 ავტომანქანისთვის. 2002-2005 წლებში შენობას ჩაუტარდა მაღალი ხარისხის კაპიტალური რემონტი და მოსაპირკეთებელი სამუშაოები. შენობა 1 სართულიანია, გააჩნია სარდაფი, მოშენების ფართია 589მ2 საერთო ფართია 675,92მ2, საიჯარო ფართია 350მ2 , შენობაში მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საკასო კვანძი, გაკეთებულია კაპიტალური გადახურვა, შემოყვანილია დამატებითი სამფაზიანი ელექტროკვება ქალაქის მომარაგების მთავარი წყაროდან, შენობა აგრეთვე აღჭურვილია გათბობის სისტემით და დიზელ გენერატორით. **ლოტის საწყისი საუქციონო ფასია 90 000 ლარი.**

**ლოტი N 2 ქ. ბათუმში არსებული მიწის ნაკვეთი.**

*მიწის ნაკვეთი:*

მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. ბათუმში სულხან საბა ორბელიანის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამრეწველო ზონაში, მის ირგვლივ ინფრასტრუქტურა არ არის განვითარებული, რადგან მიწის ნაკვეთი ამ სექტორში თავისთავად იძლევა თუნდაც მცირედ შემოსავალს, სექტორზე გადის მაღალი ძაბვის სადენები, რის გამოც მშენებლობაზე აქ შეზღუდვაა. მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ნაგებობა.

*ნაგებობის აღწერა:*

ობიექტის მშენებლობა დაიწყო დაახლოებით 1988 წელს ეროვნული ბანკის ავტოფარეხისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ 1994 წელს მშენებლობა შეჩერდა და მაჟამად ნაგებობის ის მცირე კონსტრუქციებიც რომლებიც აშენებულია ამორტიზირებულია და განუწყვეტლივ განიცდის კოროზიას ნალექების გავლენით.

**ზოგადი მონაცემები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. | სარეგისტრაციო ზონა, მისამართი | ქ. ბათუმი სულხან საბაორბელიანის ქუჩა, სექტორი VI, კვარტალი N 02, ნაკვეთის N 005 |
| 2. | ობიექტის დანიშნულება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი |
| 3. | არქიტექტურულ-ისტორიული მნიშვნელობა | ------------- |
| 5. | მიწის ნაკვეთის საერთო ფართი | 700 $მ^2$ |
| 6. | რელიეფური მდგომარეობა | ვაკე |
| 7. | ფორმა | მართკუთხა ფორმით |
| 8. | დაშენების ფართი | დაუმთავრებელი ნაგებობა |
| 9. | მოსაზღვრე შენობების ურთიერთ კავშირი | გამიჯნულია |
| 10. | განვითარების პერსპექტივა | ახალი შენობა-ნაგებობების მშენებლობა მდებარეობის გამო შესაძლებელია |

**ლოტის საწყისი საუქციონო ფასია 30 000 ლარი.**

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი "ბე-ს" მოცულობა შეადგენს საწყისი ფასის 10-%-ს რომელიც ჩარიცხულ/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნულ ბანკში (საიდენტიფიკაციო კოდი 203824148, ბანკის კოდი 220101107) ანგარიშის N 117904101. განაცხადი და "ბე"-ს შეტანის ქვითარი (აგრეთვე საჭიროა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა) წარედგინება საუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გ. ნატროშვილს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა "მონაწილის ბილეთი".

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხდების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ საუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გიორგი ნატროშვილს, (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი 44-21-42) ელ. ფოსტა gnatroshvili@nbg.gov.ge .

**საქართველოს ეროვნული ბანკის საუქციონო კომისია.**








## საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტი

### მოწვევა ინტერესის გამოსახატავად საკონსულტაციო მომსახურებაზე ნომერი GICMP-CQ-16

"პალიასტომის ტბასა და მდ. პიჩორზე მეთევზეობის მონიტორინგის სისტემის შემუშავება კოლხეთის ეროვნული პარკისათვის"

„საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის ცენტრი" - მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე "საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის" განმახორციელებელი ორგანიზაცია იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციებს გამოხატონ ინტერესი ზემოაღნიშნული საკონსულტაციო მომსახურების შესასრულებლად.

დაინტერესებულ ორგანიზაციებმა უნდა მოგვაწოდონ სათანადო ინფორმაცია (ბროშურები, ადრე შესრულებული მსგავსი სამუშაოს აღწერა, ანალოგიურ პირობებში მუშაობის გამოცდილება, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის არსებობა, ადრე ჩატარებული მეთევზეობის კვლევის ამსახველი ანგარიშები და ა.შ.), რომელიც დაადასტურებდა მათ შესაძლებლობებს შეასრულონ აღნიშნული საკონსულტაციო მომსახურეობა.

ორგანიზაცია შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პროცედურების შესაბამისად, კონსულტანტის კვალიფიკაციის მეთოდით. დამატებითი ინფორმაციის მიღება კონკურსის შესახებ შესაძლებელია ელექტრონული ფოსტით ან ცენტრის ვებ-გვერდზე. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა ინტერესის გამოხატვის დოკუმენტაცია 2006 წლის 20 აპრილამდე უნდა წარმოადგინონ ქვემოთ მითითებულ მისამართზე:

მამუკა გვილავა, დირექტორი
სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი (ს.ზ.ი.მ. ცენტრი)

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო**

გულუას 6, მე-6 სართული, თბილისი, 0114, საქართველო
ელფოსტა: PHASiS@ICZM.org.ge
ინტერნეტი: www.ICZM.org.ge
ტელ: 75-50-40 მობილური: (99) 54-66-16

მოკლედ

## ჰიდინკმა ინგლისელებს უარი შეუთვალა

ჰოლანდიელი გუუს ჰიდინკი არ აპირებს მიიღოს ინგლისელთა წინადადება. ამის შესახებ ინფორმაცია მწვრთნელის აგენტმა ჩეს ვან ჰოივენჰოიზენმა გაავრცელა. მისი თქმით, ჰიდინკი არ აპირებს "იყოს ინგლისის ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი". "ჰიდინკი მსოფლიო დონის სპეციალისტია. თქვენ ან იწვევთ მას, ან - არა. რა აზრი აქვს მისი კანდიდატურის განხილვას", - განაცხადა ჩეს ვან ჰოივენჰოიზენმა. ამასთან, აგენტმა დაადასტურა, რომ ჰიდინკი რუსეთის ნაკრებთან აწარმოებს მოლაპარაკებას.

## დიდი ფული ვარსკვლავების შესაძენად

"მანჩესტერ იუნაიტედის" ფინანსურმა დირექტორმა ენდი ენსონმა რადიოსადგურ BBC-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ზაფხულში კლუბი აპირებს დიდი ფული დახარჯოს ახალი ფეხბურთელების შესაძენად. "ჩვენ თუ დაგვჭირდება მსოფლიო დონის მოთამაშე, შევიძენთ მას, - თქვა ენსონმა, - კლუბის მეპატრონეებმა განაცხადეს, რომ მზად არიან ექსტრა-კლასის ფეხბურთელების შესაძენად ნებისმიერი თანხა დახარჯონ".

## იანგი ინგლისს ვერ დაეხმარება

ლონდონის "ჩარლტონისა" და ინგლისის ნაკრების მცველმა ლუკ იანგმა შეიძლება გამოტოვოს მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ფეხბურთელმა ინგლისის ჩემპიონატის მატჩში "ვესტ ჰემის" წინააღმდეგ მუხლის ტრავმა მიიღო. "მე, ალბათ, უფრო მომავალი სეზონისთვის აღვიდგენ ფორმას, - განაცხადა იანგმა, - ოპერაცია ჯერჯერობით არ გამიკეთებია, მაგრამ ტრავმა თითქოს სერიოზულია".

## პუიოლი "მილანში" ითამაშებდა

ესპანეთის "ბარსელონას" კაპიტანმა ინტერვიუ მისცა "გაძეტა დელო სპორტს", სადაც აღიარა, რომ თუ ის ოდესმე "ბარსას" დატოვებს, მაშინ მისი ახალი მისამართისთვის იდეალური ადგილი "მილანი" იქნება. "მილანის" დაცვაში თამაშობენ მალდინი, ნესტა, კოსტაკურტა, სტამი. მე ყოველთვის ვისწავლი მათგან რაიმე ახალს", - განაცხადა პუიოლმა. შეგახსენებთ, რომ სწორედ "მილანს" შეხვდება კატალონიური კლუბი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში.

## ბალაკი "ჩელსიში" ითამაშებს

ლონდონის "ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, არ არის დარწმუნებული, რომ მომავალ წელს მიხაელ ბალაკი მის გუნდში გადავა. "ახლა მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ბალაკმა არ იცის სად გააგრძელებს საფეხბურთო კარიერას, - "გაძეტა დელო სპორტს" მოჰყავს ჟოზე მოურინიოს სიტყვები, - ივნისში ის თავისუფალი აგენტი იქნება და შეეძლება გადავიდეს როგორც "რეალში", ისე "ჩელსიში". ისიც შესაძლებელია, რომ ფეხბურთელი "ბაიერნში" დარჩეს. ბალაკი დიდი ფეხბურთელია და იმედი მაქვს, ის სწორედ ჩვენს გუნდში გადმოვა".

"პირადად მე კი მგონია, რომ მიხაელი "ჩელსიში" გადავა", - განაცხადა მიუნხენის "ბაიერნის" გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა.

## მანიშე გაძევებას არ იმსახურებდა

ლონდონის "ჩელსის" პორტუგალიელ მწვრთნელ ჟოზე მოურინიოს მიაჩნია, რომ მანიშე არ იმსახურებდა წითელ ბარათს "ვესტ ჰემთან" მატჩში. პორტუგალიელი ფეხბურთელი მინდვრიდან მატჩის მე-17 წუთზე გააძევეს, როცა მანიშემ უხეშად მოცელა მეტოქის ფეხბურთელი ლიონელ სკალონი.

"არ ველოდი, რომ მსაჯი წითელ ბარათს უჩვენებდა, - აღიარა მოურინიომ, - ჩემი პოზიციიდან ყველაფერი არც ისე უხეშად ჩანდა. საერთოდ, საოცარი სიტუაცია შეიქმნა: გუნდი აგებს – 0:1, მას ფეხბურთელს უძევებენ. მატჩის ბოლომდე კი საათზე მეტი რჩება... საბედნიეროდ, ბიჭებმა მტკიცე ხასიათი გამოავლინეს. მათ ხომ იციან, რა უნდა გააკეთონ, როცა რიცხობრივ უმცირესობაში რჩებიან".

## ეტო`ოს კვლავ მაიმუნს ეძახიან

კვირას სანტანდერში ადგილობრივმა "რასინგმა" "ბარსელონას" უმასპინძლა. მატჩი დამთავრდა ფრედ - 2:2. "ბარსას" კამერუნელი ფორვარდი სამუელ ეტო`ო კი კვლავ რასისტული გამოხდომების მსხვერპლი გახდა.

მას შემდეგ, რაც თამაშის 33-ე წუთზე კამერუნელმა მასპინძელთა კარში მეორე გოლი გაიტანა, მისი ყოველი შეხება ბურთთან გულშემატკივართა მხრიდან მაიმუნის მსგავს გამოძახილს იწვევდა. ამის საპასუხოდ ფეხბურთელმა კუთხურის ალამთან მიირბინა და სარეკლამო დაფებს ფეხი წაჰკრა. ასე გამოხატა ეტო`ომ პროტესტი "რასინგის" გულშემატკივართა მიმართ. "მე თხოვნით მივმართე "ბარსელონას" ხელმძღვანელობას ესპანეთის ფეხბურთელთა ასოციაციის ეგიდით გაავრცელოს განცხადება, რომელიც გულშემატკივრებს შეახსენებს, რომ ფეხბურთელებს მეტი პატივისცემით მოეპყრონ. განცხადება მალე გამოქვეყნდება", - განაცხადა ეტო`ომ.

## ბენუა "კრილიაში" ითამაშებს

კამერუნის ნაკრების მცველმა ბენუა ანგბვამ მიიღო უფლება სამარის "კრილია სოვეტოვში" გააგრძელოს საფეხბურთო კარიერა. რუსული კლუბის ოფიციალური საიტის ცნობით, ეს მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც ფიფადან მოვიდა შეტყობინება, რომ ანგბვას სამართლიანი პრეტენზიები ჰქონდა ურუგვაის "ნასიონალის" ხელმძღვანელობასთან, სადაც ფეხბურთელი რუსეთში წასვლამდე თამაშობდა.

იმის გამო, რომ სატრანსფერო დოკუმენტები სეზონის დაწყების წინ არ გაფორმებულა, ფეხბურთელს არ შეეძლო რუსეთის ჩემპიონატში თამაში. თუმცა მას შემდეგ, რაც კონფლიქტი ფეხბურთელის სასარგებლოდ მოგვარდა, ხოლო ურუგვაულმა მხარემ აპელაცია არ შეიტანა, კამერუნელი ოფიციალურად გახდა სამარის "კრილია სოვეტოვის" გუნდის წევრი.

## ლიტბარსკი "ჰართსს" გაწვრთნის?

გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონი და ავსტრალიის "სიდნეის" საფეხბურთო კლუბის მთავარი მწვრთნელი პიერ ლიტბარსკი შეიძლება შოტლანდიის "ჰართსს" ჩაუდგეს სათავეში. ყოველ შემთხვევაში, ის ამ პოსტზე ერთ-ერთ კანდიდატურად განიხილება. 46 წლის ლიტბარსკის ავსტრალიის ლიგაში შარშან ჰქონდა დებიუტი და პირველივე სეზონში მან "სიდნეი" ავსტრალიისა და ოკეანიის ჩემპიონის ტიტულამდე მიიყვანა. "ჰართსის" მფლობელი ვლადიმირ რომანოვი ეძებს მწვრთნელს, რომელიც დააკმაყოფილებს მის პარამეტრებს: ახალგაზრდა, პერსპექტიული, ამბიციური, ინგლისურად მოსაუბრე და კოლექტივში მუშაობის უნარის მქონე. ყოველ შემთხვევაში, თვითონ რომანოვმა ასე დაახასიათა სასურველი მწვრთნელი.

## ფიბამ შერჩევის წესი დაადგინა

ჰონკონგში გაიმართა ფიბას ცენტრალური საბჭოს სხდომა, რომელზეც დაადგინეს 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე კალათბურთელთა ნაკრები გუნდების შერჩევის წესი. ვაჟთა შორის ოლიმპიური საგზურები ასეთი წესით განაწილდება: როგორც ტურნირის მასპინძელი და 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ორ საგზურს მიიღებს ჩინეთი. 7 საგზურს გაინაწილებენ 2007 წლის კონტინენტური ჩემპიონატების საუკეთესო გუნდები - ამერიკა და ევროპა - 2-2 საგზური, აფრიკა, აზია და ოკეანია - თითო. დარჩენილ სამ საგზურს მიიღებს ოლიმპიადისწინა ტურნირის სამი პრიზიორი. ტურნირში, რომელიც 2006 წლის 7-13 ივლისს გაიმართება, მონაწილეობას მიიღებენ კონტინენტური პირველობების საუკეთესო გუნდები, ისინი, ვინც პირდაპირ ვერ მოხვდებიან ოლიმპიურ თამაშებზე (4 ევროპიდან, 3 ამერიკიდან, 2-2 აფრიკიდან და აზიიდან და 1 ოკეანიიდან).

ანალოგიური სისტემით გაიმართება შესარჩევი ტურნირი ქალთა შორის. ოღონდ, ოლიმპიადაზე პირდაპირ საგზურს მასპინძელთა და 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონის გარდა კონტინენტური პირველობების მხოლოდ ხუთი გამარჯვებული მიიღებს. ოლიმპიადისწინა ტურნირზე კი (ეს ტურნირი გაიმართება იგივე ფორმატით, როგორ ვაჟთა შეჯიბრება, ოღონდ 9-15 ივნისს) 5 საგზური გათამაშდება.

ფეხბურთი

# გუუს ჰიდინკი: "ბატონ აბრამოვიჩს ვესაუბრე"

პირველი გვერდიდან

ჰიდინკს არ დაუმალავს: მას შემდეგ, რაც "ეინდჰოვენი" ჰოლანდიის თასის ფინალს ითამაშებს და მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდება (სადაც ის ავსტრალიის ეროვნულ ნაკრებს უთავკაცებს), ეს ცნობილი სპეციალისტი რუსეთის ეროვნულ ნაკრებს ჩაიბარებს.

"უკვე ყველა საკითხი შეთანხმებული გვაქვს და მხოლოდ კონტრაქტის დეტალების ფორმულირებაზე ვმუშაობთ. როგორც კი ყველა ნიუანსი საბოლოოდ შეთანხმდება, რუსეთის ნაკრებს შევუერთდები", - განაცხადა ჰიდინკმა.

ჰოლანდიელის თქმით, რომელმაც ოთხი წლის წინ სამხრეთ კორეის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიყვანა, მისი კონტრაქტი რუსეთის საფეხბურთო კავშირთან ორ წელზეა გათვლილი და ორმხრივი ინტერესის შემთხვევაში კიდევ ორი წლით, ანუ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ჩათვლით გაგრძელდება (თუ, რა თქმა უნდა, ჰიდინკი რუსებს ამ ეტაპზე გაიყვანს).

ამ ავტორიტეტულმა მწვრთნელმა ისაუბრა იმ სამწვრთნელო შტაბზეც, რომელიც რუსეთის ნაკრების მომზადებაში დაეხმარება. "ჩემი თანაშემწეები ძირითადად ჰოლანდიელები იქნებიან (მეორე მწვრთნელის მთავარ კანდიდატურად ითვლება პიმ ვერბეკი, რომელიც ჰიდინკს სამხრეთ კორეის ნაკრების გაწვრთნაში ეხმარებოდა). თუმცა, რა თქმა უნდა, იმ რუს სპეციალისტებსაც დავიხმარებ, რომლებიც რუსულ ფეხბურთში კარგად ერკვევიან", - აღნიშნა ჰიდინკმა.



ჰიდინკმა ინგლისელებს უარი შეუთვალა და რუსეთს გაწვრთნის.

"ამ პოსტზე მუშაობის მიუხედავად, ჰიდინკი რუსეთში არ იცხოვრებს. ასევე იქცეოდა ის ავსტრალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობისას. ამჯერადაც ჰიდინკის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ამსტერდამი იქნება და მხოლოდ საწვრთნელი შეკრებების წინ გაემგზავრება აღმოსავლეთში. მივლინებების ხანგრძლივობა რამდენიმე დღიდან ორ თვემდე ვადით განისაზღვრება. ამის მიუხედავად, ჰოლანდიელი სპეციალისტის თქმით, მას რუსეთის ნაკრების მომზადებაში ხელი არ შეეშლება, რადგან ამ გუნდის ძირითად ბირთვს კარგად იცნობს: "მე უკვე ვიყავი რუსეთში და სიტუაციაც შევაფასე. ვფიქრობ, ამ ქვეყანაში მუშაობისგან სიამოვნებას მივიღებ. ამჯერად მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ რუსეთს ჰყავს რამდენიმე ისეთი ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომლებსაც დიდი მომავალი აქვთ".

59 წლის მწვრთნელს არ დაუმალავს, რომ მის გადაწყვეტილებაზე დიდი გავლენა იქონია რუსი მილიარდერის რომან აბრამოვიჩის საქმეში ჩარევამ. "დიახ, მე ურთიერთობა მქონდა ბატონ აბრამოვიჩთან, რომელსაც ძალიან უნდა, რომ რუსეთის ნაკრები ახალ სიმაღლეებზე იხილოს", - აღიარა ჰიდინკმა. ჰოლანდიელმა ისიც აღნიშნა, რომ მას ძალზე მოსწონს სანაკრებო დონეზე მუშაობა. "როდესაც ეროვნულ ნაკრებს წვრთნი, საკუთარი პოლიტიკის გატარების, საკუთარი შეხედულების მიხედვით გუნდის კონსტრუირების საშუალება გაქვს. ასე იყო, როცა ჰოლანდიის, კორეის თუ ავსტრალიის ნაკრებთან ვმუშაობდი. ჩემს საქმეში არავინ ერეოდა და შედეგიც ამიტომ მქონდა", - გარკვეული თავდამზღვევი და გამაფრთხილებელი მინიშნებაც გააკეთა ჰიდინკმა, რითაც რუსეთის საფეხბურთო კავშირს აგრძნობინა, რომ მის საქმეში ცხვირს არავის ჩააყოფინებდა.

საერთოდ, ჰიდინკი ცნობილია როგორც თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი მწვრთნელი. მხოლოდ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში "ეინდჰოვენის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობისას მან ეს კლუბი სამჯერ მიიყვანა ქვეყნის ჩემპიონის ტიტულამდე, ერთხელ "ეინდჰოვენთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდე მივიდა და ერთხელ ქვეყნის თასი მოიგო. მეორე თასის აღებაც შეუძლია, თუ 7 მაისს ფინალში "აიაქსს" დაამარცხებს.

1998 წელს ჰიდინკმა ჰოლანდიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიყვანა, ხოლო ოთხი წლის შემდეგ იგივე შედეგი გაიმეორა სახრეთ კორეის ნაკრებთან ერთად.

პირველი მსოფლიო აღიარება კი მან 1988 წელს მოიპოვა, როცა ჩემპიონთა თასის ფინალში "ეინდჰოვენთან" ერთად "ბენფიკა" დაამარცხა და ეს პრესტიჟული ჯილდო დაისაკუთრა.

ელიან, რომ, თავის მხრივ, რუსეთის საფეხბურთო კავშირიც ოფიციალურად დაადასტურებს ქვეყნის ეროვნული ნაკრების სათავეში გუუს ჰიდინკის მისვლის ფაქტს.

მძლეოსნობა

# დაუმორჩილებელი ჩემპიონი

*ფრანგ ქალბატონს იუნის ბარბერს, მძლეოსნობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, შეურაცხყოფისთვის, ძალადობისა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა მოთხოვნებზე დაუმორჩილებლობისთვის ოფიციალური ბრალდებები წაუყენეს.*

რადიოსადგურ "ფრანს ინფოზე" დაყრდნობით, გადაწყვეტილება, იუნის ბარბერის წინააღმდეგ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, მიიღო პარიზის გარეუბნის ბობინის პროკურატურამ.

ინციდენტი, რომლის გამო ბარბერის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მარტის შუა რიცხვებში "სტად დე ფრანსის" სტადიონთან ახლოს, სენ-დენის მიწაზე მომხდარა.

პოლიციელთა ვერსიით, შვიდჭიდსა და სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიოს ჩემპიონმა, რომელიც საკუთარ მანქანას მართავდა, წესრიგის დამცველთა მოთხოვნა არად ჩააგდო. ისინი ბარბერს მანქანის გადაყენებას სთხოვდნენ. იმის ნაცვლად, რომ ჩემპიონი კანონს დამორჩილებოდა, მანქანიდან გადმოვიდა თუ არა, განრისხებული ეკვეთა წესრიგის დამცველს. პოლიციელებმა ბარბერის დაშოშმინება სცადეს, მაგრამ ფრანგმა ქალბატონმა ერთ-ერთ მათგანს ხელზე უკბინა, მეორეს - ფეხზე.





სამართალდამცავებს მსოფლიოს ჩემპიონის დაკავება გაუჭირდათ.

როგორც იქნა, პოლიციელებმა კანონდამრღვევი შეიპყრეს. დაკავებული ბარბერი უახლოეს სამართალდამცავ განყოფილებაში მიიყვანეს, ღამე იქ გაათენებინეს და დილით გაათავისუფლეს.

ახლა თავად სპორტსმენს მოვუსმინოთ, რომლის მონაყოლი სხვაგვარად ჟღერს. მისი მტკიცებით, მასთან მიიჭრა რამდენიმე პოლიციელი, მანქანიდან გადმოათრიეს, ძირს დააგდეს და ცემა დაუწყეს, მერე კი გაკოჭეს და შეაგდეს პოლიციის მანქანაში.

მოგვიანებით ბარბერმა თავად აღძრა საქმე პოლიციელთა წინააღმდეგ, თუმცა მისი სარჩელი ჯერ არ განუხილავთ პროკურატურაში. თუ მსოფლიოს ჩემპიონის სარჩელს მსვლელობა მიეცა, გამორიცხული არ არის, ორივე საქმე გააერთიანონ და ასეც განიხილონ.

ფორმულა 1

# Status Quo და BMW "ფორმულა 1"-ს გაართობს

ბიგა ბურასაშვილი

*ცნობილი ბრიტანული ჯგუფი Status Quo, რომელსაც საქართველოშიც ჰყავს მსმენელი, ფორმულა 1-ის დიდი გულშემატკივარი ყოფილა. სამეფო რბოლათა მსოფლიოს ჩემპიონატის მერვე ეტაპი - "დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი" მათი მუსიკის თანხლებით დასრულდება. სარბოლო ციებცხელების შემდეგ ფორმულა 1-ის გულშემატკივრებს, იმათ, ვისაც სურვილი ექნებათ (ასეთი კი მრავლად იქნება), როკვეტერანთა კონცერტზე დასწრება შეეძლებათ.*

რიკ პარფიტი (გიტარა/კლავიშები/ვოკალი) ოთხი ათეული წელიწადია Status Quo-ს შემადგენლობაშია და უამრავ სპორტულ მოედანზე გამოსვლის დიდ გამოცდილებაც აქვს. სამი წლის წინ სამეფო რბოლების გულშემატკივრის წინაშეც წარდგა.

"რამდენიმე წლის წინ დიდი პრიზის დასრულების შემდეგ კონცერტი ჩავატარეთ. ფორმულა 1-ის გულშემატკივარი საუკეთესო მსმენელია, რომელთან შეხვედრასაც მოუთმენლად ველი", - აცხადებს პარფიტი.





გულშემატკივარი BMW-ს ვირტუალურად გაატარებს.

ფორმულა 1-ის გულშემატკივარს დღესასწაულს უმზადებს BMW-ს საჯინიბოც. ესპანეთის, ბრიტანეთის, კანადის, იტალიისა და ჩინეთის ტრასებზე გერმანული გუნდი Pit Lane Park მოაწყობს - ატრაქციონს 90-მეტრიანი ტრასით, იმპროვიზებული ბოქსებით, რომლის საკუთარი თვალით ხილვის საშუალება ყველა მსურველს ექნება. გარდა ამისა, სამეფო რბოლათა ნებისმიერ მოტრფიალეს შეეძლება ფოტოები გადაიღოს საჯინიბოს პერსონალთან, პილოტებთან. ასევე ნახავენ ბოლიდებს და კომპიუტერული სიმულატორის მეშვეობით შეიძლება ტრასაზე რამდენიმე წრეც შემოუარონ. ერთი სიტყვით, სრულად შეიგრძნონ "ფორმულა 1".

"შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ეს იქნება მაღალტექნოლოგიური გართობის ატრაქციონი. გვინდა, რომ გავაქროთ ბარიერები გულშემატკივარსა და საჯინიბოს შორის. სწორედ ამისთვის მოვიფიქრეთ Pit Lane Park", - აღნიშნავს BMW-ს სპორტული დირექტორი მარიო ტეისენი.

ფორმულა 1-ის მორიგი ეტაპი 16 აპრილს სან მარინოში გაიმართება. ევროპულ ეტაპამდე კი სამი დიდი პრიზი გათამაშდა – ბაჰრეინის, მალაიზიისა და ავსტრალიის. სამივე ეტაპზე გაიმარჯვა "რენომ". ორჯერ მოიგო ფერნანდო ალონსომ და ერთხელ - ჯანკარლო ფიზიკელამ. პილოტთა და კონსტრუქტორთა ჩათვლაში წინაა ფრანგული საჯინიბო.



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## მიუდგომელი საკითხი

ზაზა ფაჩუაშვილი

ქართული მხარისათვის აფხაზეთის საკითხი ისევე მიუდგომელია, როგორც 12 წლის წინათ და ამ საქმეს, სამწუხაროდ, ვერც მსოფლიოში სახელგანთქმულმა "ვარდების რევოლუციამ" უშველა. დიდი-დიდი, რისი მიღწევაც შეიძლებოდა რევოლუციამდე და მის შემდეგაც, მოლაპარაკებების პროცესის უწყვეტობაა, რომელიც ირაკლი ალასანიას ახალ თანამდებობაზე დანიშვნამდე ოფიციალურ დონეზე ჩაშლილი იყო. აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარის სავარძლიდან მისმა გადაყვანამ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლად ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესს განმაახლებელი სული შთაბერა. თუმცა ეს, ჯერჯერობით, ციცაბო კლდესთან მისვლას ნიშნავს და არა მისი მწვერვალისკენ მიმავალი ბილიკის პოვნას. მთელი ამ ხნის მანძილზე ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების ერთადერთი შედეგი რეანიმაციაში მყოფი მშვიდობის სიცოცხლის გახანგრძლივებაა და მეტი არაფერი. აკი აფხაზი ექსპერტებიც ვარაუდობენ, რომ ეს არის მოლაპარაკებების ახალი ეტაპი, რომელიც არაფერთან მიგვიყვანს. საუბარია ალასანია-შამბას ორი კვირის წინანდელ შეხვედრაზე სოხუმში, რომელიც გაეროს ეგიდით მოეწყო. ცნობილია შამბას გამოთქმა ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების გახანგრძლივების მნიშვნელობაზე: მოლაპარაკებები უნდა გავაგრძელოთ უსასრულოდ, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობის რაც შეიძლება მყარი კონსტრუქციის ჩამოყალიბებისათვის დრო მოვიგოთო. ქართული მხარის პოზიციაც ხომ ცხადზე უცხადესია - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობა, რასაც ჯერ კიდევ მხარს უჭერს მსოფლიო.

პოზიციების აშკარა შეცვლა მხოლოდ რუსეთს დაეტყო. აი, რას ამბობდა რუსეთის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილი 2003 წლის ივლისში: "რუსეთის პოზიცია საკმაოდ ნათელია, იგი არაერთხელ დაფიქსირებულა – აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ასევე აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის უფლებათა დაცვის ფარგლებში. ეს არის ფორმულა, რომელიც ასი პროცენტით განმარტავს რუსეთის პოზიციას და აფხაზეთის კონფლიქტს რუსეთი მხოლოდ ამ ფორმულის მიხედვით განიხილავს". იყო და არა იყო რა - რუსეთი თავისი პასპორტებითა და პენსიებით დღეს აფხაზეთის ანექსიას ახდენს და ამას ისეთი მონდომებით აკეთებს, ნამდვილად თავისთვის უნდა.



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

რას შვრება ამ დროს საერთაშორისო საზოგადოება? – დუმს. უფრო მეტიც, რუსეთის კარნახით მოქმედებს და კონფლიქტის ზონაში დსთ-ს (რუსეთის) სამშვიდობო კონტინგენტის მოქმედებას დადებითად აფასებს, საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრაზე კი კრინტსაც აღარ ძრავს (იხ. გაეროს ბოლო რეზოლუცია).

რას შვრება ამ დროს საქართველოს პარლამენტი? – იმას, რასაც 3 წლის წინათ: პატარა ბავშვივით "აშინებს" ძია ვანიას. გახსოვთ, ალბათ, პარლამენტის მაშინდელი დადგენილება, სადაც ლაპარაკია გაეროს მეშვიდე თავის ამოქმედებაზე და რასაც ოფიციალური კომენტარი იგივე ჩხიკვიშვილმა გაუკეთა (მოსკოვს ამის გამო, უბრალოდ, თავი არ შეუწუხებია): "პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს და სახელმწიფო ორგანოს უფლებაა, გაეროს ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციას მიმართოს. ამდენად, მიმაჩნია, რომ ეს საქართველოს პარლამენტის უფლება იყო. როგორ შეხვდებიან ამ დადგენილებას გაეროში, ჩემთვის ძნელი სათქმელია. ვფიქრობ, რომ თუ მართლაც დაისვა საკითხი, გაერო არ წავა ამგვარი გადაწყვეტილების მიღებაზე. ამის მიზეზი იქნება არა მხოლოდ რუსეთის პოზიცია. საეჭვოა, გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების უმრავლესობამ ამ დადგენილებას მხარი დაუჭიროს. რაც შეეხება რუსეთის პოზიციას, ვფიქრობთ, მოცემულ მომენტში, ძალით მშვიდობის დამყარებაზე საუბარი გაუმართლებელია.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტის აღნიშნული დადგენილება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს კიდევ უფრო დაძაბავს. მოგეხსენებათ, რომ გარდა გაეროს წესდების მეშვიდე მუხლის ამოქმედებისა, დადგენილებაში ლაპარაკია ასევე აფხაზეთში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ ეთნიკურ წმენდაზე. ბუნებრივია, როცა მხარეს გენოციდში ადანაშაულებ, მისი პოზიციები მოლაპარაკების პროცესში საკმაოდ მკვეთრი იქნება. ასე რომ, თუ გავითვალისწინებთ იმ მოლაპარაკებების პროცესებს, დიალოგებს, რაც ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის წამოიწყო, საქართველოს პარლამენტის ეს დადგენილება არაპროდუქტიული, ნაკლებად პერსპექტიული და არასწორი გახლავთ."

უფრო ხმამაღალი გამოდგა პარლამენტის შარშანდელი ულტიმატუმი სამშვიდობოების მიმართ, რომლებმაც 6-თვიანი გამოსაცდელი ვადის გამოუყენებლობის შემთხვევაში საქართველოს ტერიტორია უნდა დატოვონ. დრო 15 მაისს იწურება, რუსეთი კი საკუთარი სამშვიდობოების ნაცვლად, საქართველოს დაუმორჩილებელი ხელისუფლების გამოსწორებას დაჩქარებული ტემპებით ცდილობს. ამ მიზანს ემსახურება გაეროს ზემოთ ნახსენები რეზოლუციაც. ამასთან დაკავშირებით პროგნოზების გაკეთება მოსკოვის სრულიად არაპროგნოზირებადი პოლიტიკის შესახებ შეუძლებელია.

რას შვრება ამ დროს საქართველოს მთავრობა? – პროგრესულ განცხადებებს აკეთებს, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი მაინცდამაინც არავის სჯერა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საერთაშორისო დონეზე გაკეთებული სამშვიდობო განცხადებები მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია, მაგრამ ორიოდე დღის წინ აშშ-ს დეპარტამენტიდან ქართულ მხარეს მაინც შეახსენეს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარება სამხედრო გზით დაუშვებელია. სხვათა შორის, იგივე პათოსითაა გამსჭვალული ჩვენ მიერ ნახსენები, გაეროს ბოლო რეზოლუციის ერთი პუნქტი. და ეს მას შემდეგ, რაც ირაკლი ალასანია, რომელსაც აფხაზეთში საქართველოს ხელისუფალთაგან ყველაზე მეტად ენდობიან, უკვე პრეზიდენტის მრჩეველია.

ამ ფონზე საქართველოს პრეზიდენტი ახალ განცხადებებს აკეთებს, რაც დაკავშირებულია აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მიტოვებული საკუთრების დაცვასთან. "მე მინდა ვუთხრა აფხაზეთში ომამდე მცხოვრებ ყველა ეროვნების ადამიანს, რომ მათი ქონების სხვისთვის გადაცემას ჩვენ არ დავუშვებთ. ჩვენ რამდენიმე მილიონი ლარი გამოვყავით იმისათვის, რომ ამ ხალხის უფლება მიტოვებულ ქონებაზე დავაფიქსიროთ...

როგორც კი გავიგე, რომ აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლება ცდილობს მიიღოს კანონი აფხაზეთის ყოფილი მცხოვრებლების ქონების გაყიდვის შესახებ, გადავწყვიტე, გავაკეთო ყველაფერი, რომ ეს არ დავუშვა და ამისთვისაა შემუშავებული პროგრამა "ჩემი სახლი". როცა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების თაობაზე ვსაუბრობთ, ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე დევნილთა მიერ იძულებით მიტოვებული ქონება ხელშეუხებელია და ხალხს უფლება აქვს, დაბრუნდეს საკუთარ სახლში. სწორედ ამ ჩარჩოში ვაპირებთ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას," – აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი და იქვე დასძენს, რომ უსაგნო მოლაპარაკებების დრო წავიდა. დადგა კონკრეტული პროგრამებისა და კონკრეტული შედეგების მიღებისათვის პირობების შექმნის დრო. ოფიციალური თბილისი კვლავაც გამოთქვამს აფხაზურ მხარესთან მშვიდობიანი მოლაპარაკებებისათვის მზადყოფნას, ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე.

თუ შემხვედრი ნაბიჯი ბაგაფშმაც გადადგა, მაშინ ალასანიასა და შამბას კვალად, ციცაბო კლდესთან მისვლა სააკაშვილსა და ბაგაფშსაც მოუწევთ, და იქნებ, სასწაულიც მოხდეს - ერთმანეთს თოკი ჩაუბან და შერიგების მწვერვალისკენ დაიძრან.

## მშვიდობაზე მეოცნებე გენერალი

*გთავაზობთ აფხაზურ საიტზე გამოქვეყნებულ ინტერვიუს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების თავდაცვის მინისტრთან გენერალ-ლეიტენანტ სულთან სოსლანბეკოვთან.*

**- ქართულმა მხარემ გააკეთა განცხადება დსთ-დან შესაძლო გასვლის შესახებ. ამ პროცესს მოჰყვება სამშვიდობო ჯარების გაყვანაც. ეს აფხაზეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების საქმეში გარკვეულ ვაკუუმს შექმნის. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

- დიახ, ასეთი განცხადება გაკეთდა. ჯერჯერობით, გადაწყვეტილება მიღებული არ არის, მაგრამ ეს განცხადება შედეგია ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების ერთობლიობისა. რა მიზანი აქვს ქართულ მხარეს? პირველ რიგში, ის ადანაშაულებს რუსეთის მხარეს იმაში, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები საერთაშორისო მანდატით განსაზღვრულ სამშვიდობო ფუნქციას არ ასრულებენ. თუმცა, გასული წლები ადასტურებს, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ფუნქციებს ასრულებდნენ და ახლაც ასრულებენ. ახლა მსოფლიო საზოგადოებრიობას სთავაზობენ სამშვიდობო ძალების შეცვლას ჩვენთვის გაუგებარი მიზეზებით. აფხაზური მხარე აცხადებდა და აცხადებს, რომ მას რუსეთის სამშვიდობო ჯარებისადმი პრეტენზიები არ გააჩნია და ამიტომ იგი არ აპირებს სხვა სამშვიდობო ძალების ძიებას.

მეორეც, თქვენ საუბრობთ აფხაზეთის უსაფრთხოებაზე. დიახ, ეს პრობლემა დადგება, თუ სამშვიდობო ძალები გავლენ, მაგრამ ჩვენთვის უცნობია – ვინ და როდის დაიკავებს მათ ადგილს? ამასთან, ყველა საუბრობს აფხაზეთის უსაფრთხოებაზე. განა თავად საქართველოს რესპუბლიკისთვის ეს არ წარმოადგენს საფრთხეს? ცხადია, ჩვენ ჩვენი შეიარაღებული ძალებით მაშინვე საზღვარზე დავდგებით და ამასვე გააკეთებს საქართველოც. ეს კი გაზრდის შეჯახების ალბათობას. პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტა დაიწყება სამხედრო გზით, რის შესახებაც არაერთხელ განაცხადეს საქართველოს ლიდერებმა. ისინი შეიარაღებულ ძალებს სწორედ ამ მიზნისთვის აძლიერებენ. დაე, საქართველომ არ დაივიწყოს 1992-1993 წლები და იზრუნოს საკუთარ უსაფრთხოებაზე. ჩვენ არაფერი გვჭირდება და ყოველთვის კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გზის მომხრენი ვიქნებით.

**- შეუძლია თუ არა აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებს საქართველოს მხრიდან შესაძლო აგრესიის მოგერიება?**

- როგორც გითხარით, აფხაზეთის რესპუბლიკა მხარს უჭერს კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას. მაგრამ ჩვენ ასევე კარგად გვახსოვს 1992-1993 წლები, რა მიზეზით დაიწყო ეს ყველაფერი, აფხაზი ხალხის ტანჯვა, ასევე ქართველი ხალხის ტანჯვა ქართველი პოლიტიკოსების დაუფიქრებელი ნაბიჯების გამო. რა შედეგი მივიღეთ, ყველასთვის ცნობილია. ამიტომ, დღეს კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც საკუთარ ხალხს უბიძგებენ სამხედრო გზით აფხაზური პრობლემის სწრაფად მოგვარებისაკენ, რომ მათი წარმოდგენა მცდარია. აფხაზური პრობლემის ამგვარად გადაწყვეტა არ გამოუვათ. ომობდა მთელი აფხაზი ხალხი – 16 წლიდან 60-ზე ზემოთ. საბრძოლო გამოცდილებას ფლობს არა რამდენიმე ათასი სამხედრო მოსამსახურე, არამედ მთელი აფხაზი ხალხი. მათ გააჩნიათ საკმაო რაოდენობის იარაღი, ატარებენ შეკრებებს, ინარჩუნებენ ფორმას. ამიტომ აფხაზეთის შეიარაღებული ძალების ძირითადი რეზერვი აფხაზი ხალხია. ხალხს კი უცებ ვერ მოერევი. ამიტომ ვფიქრობ, რომ აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ შესაძლო აგრესიის მოგერიება.

**- რამდენად ხშირია რეზერვისტების შეკრებები და გააჩნია თუ არა აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებს საკმარისი საშუალებები შესაძლო აგრესიის მოსაგერიებლად?**

- შეკრებების სიხშირეზე და რეზერვისტთა რაოდენობაზე ყურადღებას დეტალურად არ შევაჩერებ. შეკრებები ხდება წელიწადში რამდენჯერმე, რომ რეზერვისტებმა თანამედროვე ბრძოლის უნარი შეინარჩუნონ. რაც შეეხება მოწინააღმდეგის დივერსიულ ქმედებებს ჩვენს ტერიტორიაზე, ამის შესახებ ჩვენ კარგად ვუწყით. ამიტომ, თუ საჭირო გახდება, ამ საქმიანობას ჩვენს ტერიტორიაზეც შევეწინააღმდეგებით და საქართველოს ტერიტორიაზეც გადავიტანთ. ასე რომ, თუ სამხედრო მოქმედებები დაიწყება, რასაც მე არ ვისურვებდი, ჩვენ შევძლებთ აგრესიის მოგერიებას.

**- რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საზღვაო სამიზნეების ლიკვიდაციის სწავლებებიც გაიმართა.**

- ეს სწავლება კი არ არის, ცალკეული ელემენტების დამუშავებაა. არ დავმალავ და გეტყვით, რომ ჩვენ ასევე ვსწავლობთ აფხაზეთის საჰაერო სივრცესაც. მოწინააღმდეგეს ჰგონია, რომ ჩვენ 8 ათასიდან 20 ათას მეტრამდე სიმაღლეზე მოქმედება არ შეგვიძლია, მაგრამ ის ცდება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ დაგეგმილი გვაქვს რიგი ღონისძიებებისა (სასწავლო სროლები), რათა ყველას დავანახოთ ჩვენი შესაძლებლობები. ეს კეთდება იმისათვის, რომ ჯერ ერთი, მოწინააღმდეგეს არ ეგონოს, დაუსჯელად გადაგვიფრინოს, და მეორეც, ვინც სხვა რაღაც მიზნებისთვის აფხაზეთის საჰაერო სივრცის გამოყენებას განიზრახავს, ამის შესახებ წინასწარ შეგვითანხმოს.

**- მაინც, წლის რომელ წელიწადს უნდა ელოდოთ შესაძლო აგრესიას? ეს არის რამეზე დამოკიდებული? ვთქვათ, ქართულ ხასიათზე?**

- ამასთან დაკავშირებით მკითხაობას არ ვაპირებ. გეტყვით მხოლოდ, რომ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ წლის ნებისმიერ დროს. ჩვენ ვამზადებთ სპეცდანიშნულების ბატალიონებს, რათა მათ წარმატებით იბრძოლონ სხვადასხვა პირობებში, ვთქვათ, მთებში.

**- ამხანაგო გენერალო, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის არსებობს შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საქართველოს მხრიდან ერთ-ერთ მათგანზე განხორციელებული აგრესიის შემთხვევაში მეორე რესპუბლიკა ავტომატურად ჩაებმება სამხედრო კამპანიაში?**

- ასეთი შეთანხმება დაიდო ქალაქ ცხინვალში და ის, პირველ რიგში, გულისხმობს ეკონომიკურ და კულტურულ თანამშრომლობას. თუ გვაიძულებენ, მაშინ ორივე მხარე უნდა ვეცადოთ, დროულად ალმოვფხვრათ აგრესიის მცდელობები. მაგრამ, თუ აგრესია მაინც დაიწყება, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს, ოსი ხალხი დაიტანჯება და თუ აფხაზი ხალხი? ეს, რა თქმა უნდა, გვაიძულებს, ვეძებოთ ჩვენი პრობლემების მოგვარების გზები. აი, ეს შემიძლია გიპასუხოთ.

**- მე ვიცი, რომ 1992-1993 წლებში აფხაზებთან ერთად იბრძოდა ბევრი მოხალისე, რომლებიც აფხაზეთში საკუთარი გულის ძახილით ჩამოვიდნენ. ამასწინათ შევხვდი ერთ ასეთ მებრძოლს, ლეონის ორდენის კავალერს (აფხაზეთის უმაღლესი ჯილდო). ვიცი, რომ მისი მსგავსი ადამიანები რუსეთის სხვა რეგიონებშიც ცხოვრობენ და დსთ-ს ქვეყნებშიც. შეგიძლიათ, მათ გადასცეთ მოკითხვა და კეთილი სურვილები?**

- დიდი სიამოვნებით შევასრულებ ამ მისიას...

## კონფლიქტის ზონის სახლები

ლელა მარგიანი

*9 აპრილს, დაპირებისამებრ, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ საპრეზიდენტო პროგრამა "ჩემი სახლის" განხორციელება დაიწყო. როგორც უკვე ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს, პროგრამა "ჩემი სახლი" ითვალისწინებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უძრავი ქონების აღწერას, დეკლარირებასა და მასზე საკუთრების უფლების მოთხოვნას.*

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ საპრეზიდენტო პროგრამის – "ჩემი სახლი" - ფარგლებში, მარტის თვეში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ და კოსმოსური დანადგარების ცენტრმა კონფლიქტის ზონებში დარჩენილი უძრავი ქონება ხელოვნური თანამგზავრის საშუალებით ფოტოებზე აღბეჭდეს. შემდეგ ეტაპზე შეიქმნება გეოინფორმაციული რუკა, სადაც დევნილები თავიანთ საკუთრებას ამოიცნობენ, საჯარო რეესტრს ამ საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტს წარუდგენენ და სპეციალურად შედგენილ დეკლარაციას შეავსებენ. ვინაიდან, ცნობილი მოვლენების გამო, დევნილთა უმეტესობას ისე მოუხდა მშობლიური ადგილების დატოვება, რომ არანაირი დოკუმენტები არ გააჩნია, დევნილმა ან დეკლარაციის შემვსებმა პირმა უნდა წარმოადგინოს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი დოკუმენტი მაინც. კერძოდ: ბინის ორდერი, ანდერძი, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, ამონაწერი საბინაო წიგნიდან, ამონაწერი სოფლის საკომლო წიგნიდან, მიწის ნაკვეთის საინვენტარიზაციო გეგმა, არქიტექტურული პროექტი, სასამართლოს გადაწყვეტილება, ან სხვა დოკუმენტი.


ვლადიმერ ვალიშვილის ფოტო
*მიტოვებული.*

დეკლარაციის შევსება 9 აპრილიდან დაიწყო. სპეციალურად შედგენილ ბლანკში დევნილმა უნდა მიუთითოს საცხოვრებელი სახლის ზუსტი მისამართი, ტელეფონი, სამუშაო ადგილი, რიცხვებით და სიტყვიერად აღწეროს მასზე გაპიროვნებული მიწის ნაკვეთის რაოდენობა და გაიაროს დეკლარაციის ფორმით გათვალისწინებული სხვა პროცედურები.

პროექტის ფარგლებში, დევნილი მოსახლეობა მიიღებს იურიდიულ დოკუმენტს, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ დევნილს უფლება მიენიჭება, საკუთრება საერთაშორისო სასამართლოში დაიცვას. პირველ ეტაპზე უძრავი ქონების დეკლარაციის შესავსებად სამინისტროს ცხინვალის, გალისა და გაგრის მოსახლეობამ უნდა მიმართოს.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი გიორგი ხევიაშვილი: **"მე მადლობა მინდა გადავუხადო იმ ადამიანებს, ვინც ამ პროგრამით დაინტერესდა. ნამდვილად არ ველოდით, პირველივე დღეს ამდენი ხალხი თუ მოვიდოდა, თან, კვირა დღეს. ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია ხალხში იმიტომ, რომ რაღაც იმედი გაჩნდა, სულიერადაც. კიდევ იმიტომ, რომ ხელშესახები დოკუმენტი ექნებათ, რისი მიხედვითაც ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე შეუძლიათ დაადასტურონ, რომ ეს მათი ქონებაა. გვინდა, ყველამ იცოდეს, რომ ეს იქნება აფხაზეთში და ცხინვალში ჩვენი დაბრუნების დასაწყისი. ჩვენ დავიკანონებთ იმ ქონებას, რაც ჩვენი სახლების სახით დაკარგულ ტერიტორიებზე დავტოვეთ. ჩვენი სურვილია, გვქონდეს სრული სურათი იმისა, თუ რა ქონება გაგვაჩნია, რამდენია სარემონტო, რამდენია დამწვარი. უამრავი საერთაშორისო ორგანიზაცია მოღვაწეობს საქართველოში კონფლიქტის ზონებში და ისინიც ჩართულები უნდა იყვნენ ამ ყოველივეში. ესაა წმიდათაწმიდა, ხელშეუხებელი საკუთრება. პროგრამას ვადები არა აქვს. სანამ ერთი ადამიანი მაინც დარჩება, რომელიც არ შეავსებს დეკლარაციას, ჩვენ ამ პროექტზე ვიმუშავებთ. პროექტი არ დაიხურება, რადგან იგი ყველასთვის არის. შეიძლება, დღეს ადამიანები საზღვარგარეთ იყვნენ წასულები, ზოგს შეიძლება საერთოდ აღარ ჰქონდეს საქართველოს მოქალაქეობა და იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე – ოსები, რუსები, ბერძნები, უკრაინელები - ვინც დატოვა კონფლიქტის ზონები, მნიშვნელობა არა აქვს, ჩვენ მათაც დავეხმარებით. მათაც შეუძლიათ მოგვაწოდონ ინფორმაცია, როგორც საელჩოებში და საკონსულოებში შევსებული, ასევე ელექტრონული ვერსიით. საჯარო რეესტრში დარეგისტრირება დაიწყება 1 ოქტომბრიდან, მანამდე დამთავრდება მოსამზადებელი სამუშაოები და მერე მოხდება ქონების დაკანონება. საერთაშორისო სასამართლოსთვის მომზადდება სრული ნუსხა. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ საქართველოს ქონება უკანონოდ იყიდება, განსაკუთრებით, გაგრის რაიონში. ჩამოდიან და ყიდულობენ ქართულ ქონებას. ჩვენ ამ ადამიანებს სერიოზულ პრობლემებს შევუქმნით ბირჟებზე, არბიტრაჟში და სასამართლოებში. ჩვენ გაგვაჩნია სიმართლე და გაგვაჩნია ის დოკუმენტები, რაც ადასტურებს, რომ ეს ქონება ჩვენია."**

სამინისტროში ბევრი დევნილი მივიდა. ჭარბობდნენ დევნილები ცხინვალიდან.

ცხინვალელმა ოლეგ სამხარაძემ, რომელიც ოჯახთან ერთად თხუთმეტი წელია ტურბაზა "დილომში" ცხოვრობს, ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ოპტიმისტურად არის განწყობილი და იმედი აქვს, რომ პროგრამა განხორციელდება.

ოლეგ სამხარაძე: **"განწყობა დიდებული მაქვს. ჯერ არ მახსოვს, ამ თხუთმეტი წლის მანძილზე ვინმეს ასეთი მონდომებით რაღაც გაეკეთებინოს. აი, ახლა დღევანდელი ხელისუფლება და ეს მინისტრი რომ წვალობს, ასეთი რამ ჯერ ამ ხნის მანძილზე არ ყოფილა. ჩვენ, სამაჩაბლოელები ხომ საერთოდ არავის არ ვახსოვდით! ჯერ ისედაც უპრეტენზიო ხალხი ვართ და, აქედან გამომდინარე, არავის ვაწუხებდით. კარგია, რომ თვითონ მთავრობის მხრიდან არის დიდი დაინტერესება და მონდომება. ცხინვალში ვცხოვრობდი, იქ მქონდა ბინა, სახლ-კარი მქონდა ზნაურშიც. ყველაფერი დავტოვე. ასე რომ, ნამდვილი ლტოლვილები ვართ. საბუთები ბევრი გვაქვს. ამ საკითხის გადაწყვეტა უბრალოდ შეიძლება: ორ მეზობელს რომ ჰკითხოთ, ესეც საკმარისია. იქ ხომ ყველანი ერთმანეთს ვიცნობდით, ვის რამდენი წიწილა ჰყავდა სახლში, ერთმანეთის ისიც კი ვიცოდით."**

ფრაზა

## არაფერი გასაკვირი...

ჯერ კიდევ შარშან ივნისში ჩავედით სოხუმში, სადაც გვქონდა საუბარი აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. ჩვენ მათ შევთავაზეთ, შემოსულიყვნენ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში, რათა ერთობლივად გვებრძოლა ქართველებისა და აფხაზების ეროვნული პრობლემების სამართლიანი გადაწყვეტისათვის. მათ გვიპასუხეს, რომ თვითონ აპირებენ თავიანთი არაფორმალური ორგანიზაციის შექმნას. მაშინ შევთავაზეთ, ერთმანეთთან დაგვემყარებინა მჭიდრო კონტაქტები და აღვუთქვით ყოველგვარი დახმარება აფხაზური ეროვნული საკითხების გადაჭრაში. როცა მათი მხრიდან უნდობლობა შევნიშნეთ, მე მათ სიტყვასიტყვით ასე ვუთხარი: "არაფერია გასაკვირი ჩვენს წინადადებაში, ვინაიდან არ შეიძლება არსებობდეს აფხაზური ეროვნული პრობლემა, რომელიც იქნებოდა ანტიქართული და პირიქით, - არც ერთი ქართული ეროვნული პრობლემა არ შეიძლება იყოს ანტიაფხაზური.

*ზურაბ ჭავჭავაძე*
*1989 წლის 26 სექტემბერი*

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# უნივერსიტეტის ახალი ეთიკური სტანდარტები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმები არა მარტო ახალი სასწავლო სტრუქტურების ჩამოყალიბებას, სწავლების ფორმებისა და მეთოდების დახვეწას ისახავს მიზნად, არამედ საუნივერსიტეტო საზოგადოების ისეთი სფეროებისადმი ყურადღების მიპყრობას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს უნივერსიტეტის ყოველდღიურ ცხოვრებაში, პედაგოგებსა და სტუდენტებს, კოლეგებს შორის პროფესიონალური ურთიერთდამოკიდებულების სრულყოფის საქმეში.

ადამიანთა ურთიერთობათა კულტურის რეგულირების ერთ-ერთ საშუალებას ეთიკური ნორმები წარმოადგენს, რაც ხშირად სხვადასხვა პროფესიულ ეთიკის კოდექსებშია ასახული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთიკის და ქცევის ნორმები მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, თვით უნივერსიტეტის თანამშრომლებს შორის, რაც უნივერსიტეტის წარმატებული საქმიანობის მნიშვნელოვანი საწინდარია.

უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის ოფისი გთავაზობთ ეთიკის კოდექსის თეზისებს, რომელიც ექსპერტთა დახმარებით პროფესორებმა ავთანდილ გაგნიძემ და მაკა კვაჭაძემ მოამზადეს. მთლიანად უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის პროექტი განსახილველად უნივერსიტეტის გაზეთში და ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა. უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის განხილვა საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობდა და პროექტის ავტორებთან ბევრი შენიშვნა და წინადადება შემოვიდა.

ამ დოკუმენტში წარმოდგენილია ის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც, ეთიკის კოდექსის პროექტის ავტორთა აზრით, უნდა ეყრდნობოდეს უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებელთა, ადმინისტრაციის და სტუდენტთა ურთიერთობების საკითხები. ავტორებს დოკუმენტის სრულყოფილებაზე პრეტენზია არ გააჩნიათ, როგორც თავად აცხადებენ, პროექტში ასახულია მხოლოდ კოდექსის ძირითადი პრინციპები. "გვსურს გაიხსნას საჯარო დისკუსია ამ თემაზე," - აცხადებენ ისინი და კოდექსის პროექტის ძირითად პრინციპებს გვთავაზობენ:

**უნივერსიტეტის საქმიანობა ეფუძნება თანასწორობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის, პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულობის, მიუკერძოებლობისა პრინციპებს.**

**უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი და სტუდენტი ვალდებულია დაიცვას ეთიკური კოდექსით გათვალისწინებული პრინციპები.**

**ეთიკის კოდექსის მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების, ასევე უნივერისტეტში მოღვაწე ყველა დაინტერესებულ მხარის საქმიანობას ეთიკური სტანდარტების საფუძველზე.**

**ეთიკის კოდექსი ადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ქცევის წესებს უნივერსიტეტის ღირებულებების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და უნივერსიტეტის მოქმედი წესდების შესაბამისად.**

**ეთიკის კოდექსი არეგულირებს ადმინისტრაციულ, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის წარმოშობილ ეთიკური სახის დავის საკითხებს.**

პროექტის თანახმად, ადმინისტრაციულმა პერსონალმა თავისი საქმიანობის განხორციელებისას ეთიკური სტანდარტებით უნდა იხელმძღვანელოს. მათი საქმიანობა უნდა იყოს პატიოსანი და კეთილსინდისიერი; კოლეგებთან ურთიერთობისას უნდა ემყარებოდეს ეთიკურ ნორმებს, უნდა ეცადოს არ დაუშვას კონფლიქტური სიტუაციის წარმოშობა და გაღვივება; მათ არ უნდა დააკნინონ კოლეგების პროფესიონალიზმი სტუდენტების თანდასწრებით; უნდა დაიცვან საუნივერსიტეტო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობა; დაუშვებელია აკადემიური პერსონალის მიერ ადმინისტრაციული პერსონალის პირადი ინტერესებისათვის გამოყენება და პირიქით; თავი უნდა შეიკავონ უნივერსიტეტის მიმართ შეურაცხმყოფელი გამონათქვამებისაგან და არასაუნივერისტეტო საქმიანობაში ჩართვისაგან, რაც ეკრძალებათ რაიმე სახით სარგებლის მიღება სტუდენტებისაგან, რომელთაც პატივი უნდა სცენ და უნდა მიაწოდოს სრული, ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც კონფიდენციალურადაა მიჩნეული; ადმინისტრაციულმა პერსონალმა არ უნდა გამოიყენოს სტუდენტების შესაძლებლობები პირადი სარგებლის მიზნით; ეთიკური პრობლემის წარმოშობისას კი ადმინისტრაციულ პერსონალს შეუძლია მიმართოს უნივერსიტეტის ეთიკის კომისიას.

პროექტის თანახმად, აკადემიურმა პერსონალმა თავისი საქმიანობის განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელოს ეთიკური სტანდარტებით. აკადემიური პერსონალი კოლეგებთან ურთიერთობისას უნდა ემყარებოდეს ეთიკურ ნორმებს, უნდა ეცადოს არ დაუშვას კონფლიქტური სიტუაციის წარმოშობა და გაღვივება; მათ ობიექტურად უნდა შეაფასონ კოლეგების ნაშრომები და შეფასებისას უნდა იხელმძღვანელონ პროფესიონალური და ეთიკური ნორმებით, უნდა იყვნენ ობიექტურნი და არ დაუშვან სუბიექტურობა კოლეგების აკადემიური საქმიანობის შეფასებისას; მათ უნდა დაიცვან სამეცნიერო მუშაობისას ეთიკური ნორმები (არ განახორციელოს პლაგიატობა, სხვისი ნაშრომის მითვისება); აკადემიურმა პერსონალმა სტუდენტებს უნდა მიაწოდოს სრული, ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო და კვლევითი მუშაობის შესახებ, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც კონფიდენციალურადაა მიჩნეული; გარდა ამისა, აკადემიური პერსონალი ვალდებულია დაიცვას ყველა ის პრინციპი, რომლის დაცვაც ეთიკის კოდექსის თანახმად ადმინისტრაციულ პერსონალს ევალება.

ეთიკისა და ქცევის ნორმების დაცვისას სტუდენტებმა პატივი უნდა სცენ უნივერსიტეტში დამკვიდრებულ ტრადიციებს, დაიცვან მოქმედი კანონმდებლობა, უნივერისტეტის წესდება და ეთიკის კოდექსი. არ უნდა მიმართონ ძალადობას, შეურაცხყოფას, პატივისცემითა და სამართლიანად უნდა მოეპყრან სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს; მათ არა აქვთ უფლება შესთავაზონ უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს საჩუქარი ან სხვა მომსახურება, რაც არ წარმოადგენს მათ მოვალეობას; უნივერსიტეტის სახელის დაცვა სტუდენტებსაც ევალებათ. კოდექსში ისიც წერია, რომ სტუდენტმა არ უნდა ჩააბაროს სხვის ნაცვლად გამოცდა, არ უნდა გააყალბოს საუნივერსიტეტო მონაცემები, გაანადგუროს ან გააყალბოს დოკუმენტაცია.

ეთიკური სახის პრობლემის წარმოშობისას უნივერსიტეტის თანამშრომელს და სტუდენტს შეუძლია მიმართოს უნივერსიტეტის ეთიკის კომისიას. რადგან უნივერსიტეტში ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის ორგანოს (პროექტის ავტორების აზრით) უნდა წარმოადგენდეს უნივერსიტეტის ეთიკის კომისია, რომელიც 9 წევრისაგან შედგება, რომლთა შორის 7 უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელია და 2 სტუდენტი (უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორებმა მიიღეს განსხვავებული მოსაზრებებიც ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელთა გათვალისწინება და შეჯერება ძალიან სასარგებლო იქნება). საბჭო იკრიბება არანაკლებ ორ თვეში ერთხელ. ეთიკის კომისია ეთიკური პრობლემების გადაწყვეტისას იხელმძღვანელებს წინამდებარე კოდექსის დებულებებით. იგი უფლებამოსილია მიიღოს რეკომენდაციები და გამოიყენოს გარკვეული სანქციები არაეთიკური ქმედების აღსაკვეთად. ცხადია, რომ ეთიკის კომისიის საქმიანობის და უფლებების განსაზღვრა ცალკე თემაა და საჭიროა ამ საკითხებზე უფრო დეტალური მუშაობა.

# პრინციპული ცვლილებები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რამდენიმე ხნის წინ დაწყებული საგანმანათლებლო რეფორმის ციკლი კვლავ გრძელდება. ის საქმიანობა, რომელიც დღეს მიმდინარეობს უნივერსიტეტის კედლებში, ქართული სწავლების სტანდარტების ევროპულ დონესთან მიახლოების მცდელობა გახლავთ.

როგორც ცნობილია, საქართველო "ბოლონიის პროცესის" მონაწილე ქვეყანა გახდა. ამდენად, საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებული მიდგომა და მოლოდინი შეიცვალა. "ცვლილებების განხორციელება ძალზე პრინციპულია", - აცხადებს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ლიკა ღლონტი და უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს: "პირველ რიგში აღსანიშნავია, საგანმანათლებლო დიზაინის შეცვლა, რომელიც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპიდან გამომდინარე ხორციელდება. აქამდე სასწავლო პროგრამების შედგენისას ამოსავალი წერტილი თუ პროფესორი და მისი დატვირთვა იყო, ამიერიდან პრიორიტეტული გახლავთ სტუდენტი და ის დრო, რომელიც მან უნდა დახარჯოს ამა თუ იმ საგნის ათვისებისთვის.

ეს აუცილებელია, რადგან სწავლების ძველი მეთოდით ჩვენ ბაკალავრებს 4 წლიან პროგრამის დასრულებისას 80 საგანი ჰქონდათ გავლილი. 8 სასწავლო სემესტრის განმავლობაში ამდენი საგნის სწავლა წარმოუდგენელია. აპრიორი ყველა ხვდებოდა, რომ სწავლის ხარისხი ძალიან დაბალი იქნებოდა, თუმცა ეს იყო "ჩუმი" შეთანხმება, რადგან სოციალური ჭრილიდან გამომდინარე პედაგოგებს მეტი ლექციის ჩატარება სჭირდებოდათ.

ახლა უნდა გადავიდეთ სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაზე, ანუ სწორად უნდა გაიწეროს, თუ რამდენი საგნის შესწავლას შეძლებს სტუდენტი ერთი სემესტრის განმავლობაში ისე, რომ სწავლის ხარისხი ნორმალური იყოს. ამდენად, ახალ საგანმანათლებლო პროგრამაში მკვეთრად იკლო საგნების რაოდენობამ. რექტორის ბრძანების საფუძველზე გადაწყდა, რომ ბაკალავრმა უნდა ისწავლოს 32 საგანი, რაც ერთ სემესტრში საშუალოდ 4 საგნის სწავლებას უდრის.

თავად საგნების შერჩევა-შემცირება სასწავლო პროგრამიდან ხელოვნურად შექმნილი საგნების ამოღების შედეგად მოხდა. ერთი საბაზისო კურსი ძალიან ფრაგმენტულად ისწავლებოდა. მაგალითად, ბოტანიკის კურსში ცალკე იკითხებოდა უმაღლესი მცენარეების, უმდაბლესი მცენარეების, მცენარეთა ანატომიის, მორფოლოგიისა და ფიზიოლოგიის საგნები. ეს ყველაფერი შეიძლება ერთი სერიოზული კურსის ფარგლებში იყოს მოქცეული. ასე უამრავი სხვა მაგალითის მოყვანა შეიძლება.

კიდევ ერთი სიახლე სტუდენტის მუშაობის განმსაზღვრელი ერთეულის ცნება – კრედიტია. უნივერსიტეტში საკრედიტო სისტემა ადრეც იყო დანერგილი, უბრალოდ ახლა გადავედით კრედიტის დაგროვების ევროპულ სისტემაზე. სტუდენტები აგროვებენ კრედიტებს თავიანთი საგნების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. სამუშაო მოცულობის საზომი ერთეულით, კრედიტით იზომება სტუდენტის მუშაობა, როგორც აუდიტორიაში, ისე სახლში. ლექტორმა უნდა დათვალოს, თუ რა დრო დასჭირდება სტუდენტს მისი საგნის ათვისებაში. ეს ცვლილება შეეხება პირველკურსელებს და მათ ვინც ამიერიდან ჩააბარებს," - აღნიშნა ლიკა ღლონტმა.

გასული წლის სექტემბრიდან სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოიღეს შეფასების 100 ქულიანი სისტემა, რაც "ცოდნის უკეთესად დიფერენცირების საშუალებას იძლევა. ასევე მატულობს ობიექტურობის ხარისხიც. ადრე სტუდენტს შეეძლო მთელი სემესტრის განმავლობაში არაფერი ეკეთებინა, გამოცდაზე გასულიყო და ჩაებარებინა. ახალი სისტემა აიძულებს სტუდენტს მთელი სემესტრის განმავლობაში იმუშაოს. ახლა შეფასება გამოდის მრავალი კომპონენტის დაჯამების შედეგად.

ამის გარდა, ბაკალავრიატში, სადაც ფართო განათლების მქონე სპეციალისტის მომზადება ხდება, სტუდენტს სწავლის 4 წლის განმავლობაში შეუძლია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სპეციალობის შესწავლა. ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე თუ ჩააბარეთ, შეგიძლიათ აირჩიოთ ერთი ძირითადი დარგი, მაგალითად ქართული ენა და ლიტერატურა და მეორე, მაგალითად, საქართველოს ისტორია. ასეთი დიზაინი სტუდენტს მეტი ცოდნის შეძენის საშუალებას აძლევს, რაც შრომის ბაზარზე ერთი-ორად ზრდის მისი დასაქმების შანსს. ასევე ბაკალავრს გაუადვილებს მაგისტრატურაში შესაბამისი სპეციალობის არჩევანს. ეს პრინციპი არ ვრცელედდება რეგულირებად სპეციალობებზე, როგორიცაა სამართალმცოდნეობა და მედიცინა," – გვითხრა ლიკა ღლონტმა.

ბევრად დაიხვეწა და გამკაცრდა სამაგისტრო პროგრამების შერჩევა, სადაც განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. სრული ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამების შესახებ 15 მაისს იქნება ცნობილი.

დაბოლოს, კიდევ ერთი პრინციპული ცვლილება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საკანდიდატო-სადოქტორო დისერტაციების დოქტორანტურით შეცვლა გახლავთ.

# ყველაზე დაუცველი ბავშვებისთვის

თამარ ქადაგიძე

გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში კიდევ ერთი, ხუთწლიანი პროგრამის განხორციელებას აპირებს. პროგრამა, რომელიც 2006-2010 წლებში უნდა განხორციელდეს საქართველოში მცხოვრები, ყველაზე დაუცველი ბავშვების კეთილდღეობას ისახავს მიზნად. კერძოდ კი, ადრეული ასაკის ბავშვთა მოვლისა და განვითარების გარდა, "UNICEF"-ი, ბავშვთა დაცვასა და მათი უფლებების პოპულარიზაციას შეეცდება. პარალელურად კი სოციალურ მონიტორინგს ჩაატარებს.

კიდევ ერთი პრიორიტეტი, რომელსაც ეს ორგანიზაცია გასული ხუთი წლის განმავლობაში ახორციელებდა და სამომავლო გეგმაშიც გადმოინაცვლა, ბავშვთა დე-ინსტიტუციონალიზაციის საკითხის ხელშეწყობაა. **"საზოგადოების ყურადღება იმ ბავშვებს უნდა მივაპყროთ, რომლებიც დღეს სიღარიბეში ცხოვრობენ და საზოგადოებისაგან იზოლირებულნი არიან. რომლებსაც არა აქვთ ჯანდაცვისა და განათლების მიღების საშუალება, რომლებიც უნარშეზღუდულობისა თუ ეკონომიკური სიდუხჭირის გამო დღეისთვის ბავშვთა სახლებში იმყოფებიან, "** – აღნიშნა ახალი პროგრამის პრეზენტაციაზე გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში ჯოვანა ბარბერისმა. **"ქვეყნის განვითარების რეალური მაჩვენებლები სწორედ ბავშვები არიან. საქართველო მეტად მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის და ჩვენი სურვილია ბავშვთა საკითხები ამ ცვლილებათა წინა ხაზზე ვიხილოთ",** - დასძინა მან.

ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გიგი წერეთელი თვლის, რომ "UNICEF"-ის ხუთწლიანი მუშაობა ეფექტურ შედეგს გამოიღებს. გაეროს ბავშვთა ფონდში კი ჩვენი ქვეყნის მთავრობის მხარდაჭერის იმედი აქვთ, რათა კონკრეტული სტრატეგიული გეგმები შემუშავდეს.

ახალი პროგრამა მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდება და განსაკუთრებული ყურადღება ხუთ პრიორიტეტულ რეგიონზე გამახვილდება. ესენია - იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთი.

24 საათი BRITISH AIRWAYS

**შეავსე "British airways" - ის კითხვარი სწორად და მოიგე სასტუმრო შერატონ მეტეხის საცურაო აუზის ერთთვიანი აბონემენტი**

ვიქტორინისთვის საჭირო ინფორმაცია შეგიძლიათ მოძებნოთ British Airways -ის ვებ გვერდზე www.ba.com.

1. British Airways - ის მგზავრებს შეუძლიათ ელექტრონული ბილეთები ინტერნეტის საშუალებით დაჯავშნონ და შეიძინონ.

**კი** **არა**

2. British Airways - ის საიტის www.ba.com -ის მომსახურების "Manage my Booking"- ის დახმარებით მგზავრებს ბორტზე სასურველი ადგილის დაჯავშნა შეუძლიათ.

**კი** **არა**

3. თუ მგზავრმა ელექტრონული ბილეთი დაკარგა, მას შესაძლებლობა აქვს შევიდეს "British Airways"- ის ვებ გვერდზე და ნებისმიერ დროს ამობეჭდოს იგი.

**კი** **არა**

4. British Airways - ის გრძელ მარშრუტებზე მიმავალ მგზავრებს, რომლებიც Executive Club"ის ოქროს ბარათის მფლობელები არიან, შეუძლიათ ჰითროუს აეროპორტში MMolton Brown"ის სარელაქსაციო მომსახურებით ისარგებლონ.

**კი** **არა**

სახელი:
გვარი:
E-mail:
ტელეფონი
მობილური

პასუხები გამოაგზავნეთ გაზეთ "24 საათი"-ის მისამართზე: ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. N51. ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: maia.chitaia@actionprgroup.com. პასუხების მიღების ბოლო ვადაა 28 აპრილი.

გამარჯვებული გამოცხადდება გაზეთ "24 საათი" - ის 2006 წლის 1 მაისის ნომერში.

გამარჯვებული დასაჩუქრდება სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასის საცურაო აუზის ერთთვიანი აბონემენტით.

British Airways - ისა და 24 საათის თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებს გათამაშებაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ.



24 საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## მცირე და საშუალო ბიზნესის მუხრუჭი

B2

## “ფორდი“ რეფორმებს იწყებს



## “Google-მა ტექსტური ძიების ახალი ტექნოლოგია შეიმუშავა

## ჩინეთი ქარხნებს “ამწვანებს“

B3

## ეკონომიკის სამინისტრომ მისამართი შეიცვალა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მისამართი შეიცვალა და რუსთაველის გამზირი N12-ის ნაცვლად ჭანტურიას ქუჩა N12-ში გადავიდა. შესაბამისად საპრივატიზაციო, საიჯარო განაცხადებისა და წინადადებების მიღება იწარმოებს ჭანტურიას ქუჩა N12-ში მე-10 სართულზე.

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3268 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0062 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4961 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,8220 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8472 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1294 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2959 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3171 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2079 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4115 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3504 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,3582 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1540 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,1794 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1996 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2495 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3956 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5882 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1632 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4318 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,4015 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2806 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5585 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6121 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0658 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1355 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4035 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5669 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4993 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,6018 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8294 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2387 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1416 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4430 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2362 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4034 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0773 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2277 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2349 |




# ფულადი გზავნილების შეზღუდვა მითი თუ რეალობა?

მარიამ ჭაჭვაძე

*რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების შესაძლო შეზღუდვის საკითხს რუსეთის პოლიტიკურ და სამეცნიერო-ეკონომიკურ წრეებში “ფინანსური ომის დაწყების” დეფინიცია მიეცა.*

რუსეთის სახელმწიფო დუმის საკრედიტო ორგანიზაციებისა და საფინანსო ბაზრების კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, პროსაპრეზიდენტო ფრაქციის “ედინაია როსიას” წევრმა პაველ მედვედევმა ამ საკითხთან დაკავშირებული საპარლამენტო დებატების დროს აღნიშნა, რომ რუსეთიდან საქართველოში ფულად გზავნილებზე მკაცრი შეზღუდვის დაწესების იდეას მკვეთრად უარყოფითად აფასებს. **“მე ამას ფინანსურ ომს ვუწოდებ,”** - დასძინა მედვედევმა.

ფრაქციის - “ედინაია როსია” - კიდევ ერთმა წარმომადგენელმა, სახელმწიფო დუმის საბიუჯეტო და საგადასახადო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ იგორ იგოშინმა აღნიშნა, რომ ამ იდეას არანაირი სამართლებრივი ბაზა არ გააჩნია. მით უფრო, რომ საქმე ხალხის კუთვნილი სახსრების განკარგვას ეხება. მისი თქმით, **“ასეთი იდეები ქვეყნის ეკონომიკისათვის დამაზარალებელია. ადამიანს სრული უფლება აქვს, საკუთარი რესურსები ნებისმიერი მიმართულებით გადაგზავნოს.”**

- რომან გოცირიძე: "ელექტრონული ანგარიშსწორების ეპოქაში ფულადი გზავნილების შეჩერება ტექნიკურად შეუძლებელია. ადამიანები პატიოსანი გზით ნაშოვნ სახსრებს, ხელფასის სახით მიღებულ თანხას სამშობლოში გადმორიცხავენ, რუსეთში დახარჯავენ, თუ სხვა ქვეყანაში გამოიყენებენ, არც მორალურად, არც სამართლებრივად და არც ფინანსურად არავის გადასაწყვეტი არ არის.”
- ევგენი იასინი: "ნებისმიერი ასეთი სახის განცხადება მისი ავტორის ელემენტარულ ეკონომიკურ უცოდინრობაზე მეტყველებს. ბალანსი ქვეყნის ეკონომიკაში მიგრანტის მიერ ჩადებულ სახსრებსა და ქვეყნიდან გატანილი თანხების მოცულობას შორის დადებითია დონორი-სახელმწიფოს სასარგებლოდ.”
- პავლე ლისენკო: “ქართველი მუშები და მოსამსახურეები დიდი ოდენობით ფულად გადარიცხვებს ახდენენ “როსიმპექსბანკის” მეშვეობით. საქართველო ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ბაზარია ამ კუთხით და საქართველოსთან ჩვენს პარტნიორობას ჩვენი ბანკის ფულადი გადარიცხვების მოცულობაში 10-12 პროცენტი უკავია. ”
- ვახტანგ ბუცხრიკიძე: “თუკი საქართველოში რუსეთიდან ფულადი გზავნილები შეიზღუდება, პრობლემები უფრო მეტად რუსეთს შეექმნება, განსაკუთრებით, რუსულ საბანკო სექტორს".

B2

# რა მოხდება, როცა ნავთობი გამოილევა?

მერაბ ლორთქიფანიძე

*ეს კითხვა სულ უფრო ხშირად გაისმის და სულ უფრო მეტ საფიქრალს უჩენს ეკონომისტებს. ამ კითხვაზე იყო აგებული ალტერნატიული ენერგეტიკის მსოფლიო კონგრესი, რომელსაც ქალაქ დეტროიტის “კობო ჰოლმა” უმასპინძლა. ამავე კითხვას მიეძღვნება უახლოს წლებში უამრავი დებატი და განხილვა. ამ კითხვაზე პასუხის გაცემაზე ბევრად იქნება დამოკიდებული კაცობრიობის კეთილდღეობა და მომავალი.*

- დადგება მომენტი, როცა კაცობრიობის მიერ მოხმარებული ნავთობისა და გაზის ოდენობა გადააჭარბებს მოპოვებული ნავთობის და გაზის მოცულობას. ეს მომენტი შეიძლება დადგეს ამ საუკუნის შუაწელში, ანაც 2020 წელს.
- ენერგეტიკის მომავალი მაღალტემპერატურულ ბირთვულ რეაქტორებშია. ასეთ რეაქტორებს ბევრი სპეციალისტი იმედის თვალით შესცქერის, რადგან თანამედროვე რეაქტორებთან შედარებით, მაღალტემპერატურული რეაქტორები გაცილებით უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთაა.

B3



# აჭარაში პრივატიზაციის ჩაწყობებით დაწყებული პროცესი გრძელდება

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

*ბათუმში “ნაციონალურმა მოძრაობამ" პრესტიჟულ უბანში არსებული საოფისე შენობა, საბაზრო ღირებულებასთან შედარებით, 5-ჯერ ნაკლებ ფასში შეიძინა. შენობას, რომელიც ადრე “აღორძინების" ერთ-ერთ ლიდერს, ცოტნე ბაკურიას ჰქონდა უკანონოდ მითვისებული, აბაშიძის წასვლის მერე “ნაცმოძრაობა" დაეპატრონა. შენობის გაყიდვასთან დაკავშირებით აუქციონის შესახებ მხოლოდ გაზეთ “აჭარაში" გამოცხადდა, მაგრამ გაზეთის ის ნომრები ქსელიდან იქნა ამოღებული. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენლები პრივატიზაციის პროცესში ხელისუფლებაში მყოფი პირების ბიზნეს-ინტერესებზეც საუბრობენ. ყოფილი აქციონერები ძველი ქონების დასაბრუნებლად ახალი კანონის ამოქმედებას ელიან. მანამდე ხელისუფლება პრივატიზაციის დასრულებას გეგმავს.*

- აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ კარგად გარემონტებულ საოფისე შენობას საწყისი ფასი 1 კვმ-ზე 190 დოლარი დაადო. შედეგად, სახელისუფლებო პარტიამ ქალაქის პრესტიჟულ უბანში 1 კვ.მ 194 დოლარად შეიძინა. აღნიშნულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ფართის 1 კვ მეტრი საშუალოდ 800 დოლარამდეა, ხოლო საოფისე ფართი 1000 დოლარად და უფრო მეტადაც იყიდება.
- ბათუმში, თითქმის ყველა პრესტიჟული შენობა არა აუქციონით, არამედ კონკურსის წესით გაიყიდა, რაც ბიუჯეტისთვის სერიოზული ზარალია. საკონკურსო წესით გაიყიდა ყოფილი ცენტრალური ბაზრის ტერიტორიაც. მისი მიწის ფართი 5147 კვადრატულ მეტრს შეადგენს. ის შპს “დელფმა" 269 ათას ლარად შეისყიდა.
- მსხვილი ობიექტების გაყიდვის თუ გრძელვადიანი იჯარით გაცემის შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან ინვესტორის დოსიეს სათანადო გაშიფვრა არ ხდება, რის გამოც, შესაძლებელია, ქვეყანა გარკვეული დროის შემდეგ უხერხულობის ან ფინანსური ზარალის საშიშროების წინაშე დადგეს.

B4

## IFC-ი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროექტის განხორციელებას იწყებს

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროექტის განხორციელებას იწყებს. როგორც IFC-ში განაცხადეს, პროექტი კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (CIDA), BP-ს და მისი ნავთობისა და გაზის პარტნიორების ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

IFC-ის ინფორმაციით, პროექტი საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობის შემდეგ ძირითად მიმართულებებზე იმუშავებს: ბიზნესისთვის რეგულირების ტვირთის შემცირება; მცირე და საშუალო საწარმოების ბიზნესგარემოს მონიტორინგი და კვლევა; მცირე და საშუალო ბიზნესის ინფორმირების გაუმჯობესება. **პრაიმ-ნიუსი**

## ირაკლი ეზუგბაია რკინიგზის ტრანსპორტის საბჭოს სხდომაში მონაწილეობს

ტალინში დსთ-ს, აგრეთვე, ბალტიის ქვეყნების, ბულგარეთისა და ფინეთის რკინიგზის ტრანსპორტის საბჭოს სხდომა მიმდინარეობს, რომელშიც "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი ირაკლი ეზუგბაია მონაწილეობს.

ესტონეთის ეკონომიკისა და კომუნიკაციის სამინისტროს ინფორმაციით, საბჭოს 43-ე სხდომაზე სამგზავრო და სატვირთო მატარებლების მოძრაობის გრაფიკს შეიმუშავებენ და სხვა საკითხებთან ერთად 2006 წლის სატარიფო პოლიტიკას განიხილავენ. აგრეთვე, იგეგმება დსთ-ს ქვეყნების, ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის რკინიგზის ადმინისტრაციებს შორის დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

საბჭოს სხდომას "რუსეთის რკინიგზის" პრეზიდენტი ვლადიმირ იაკუნინი თავმჯდომარეობს. აღნიშნული საბჭო და მისი დირექცია დსთ-ს ქვეყნებმა 1992 წელს შექმნეს. რკინიგზის ტრანსპორტის საბჭოს სხდომა 13 აპრილს დასრულდება. **მედიანიუსი**

## EBRD "ბაზისბანკს" საკრედიტო ხაზს უხსნის

როგორც "ბაზისბანკის" ფინანსურმა დირექტორმა მურმან ამბროლაძემ განაცხადა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მიერ გამოყოფილი რამდენიმემილიონიანი სესხი საშუალო ბიზნესის დაკრედიტებას მოხმარდება. ამბროლაძემ უარყო საბანკო წრეებში გავრცელებული ინფორმაცია "ბაზისბანკის" "საქართველოს ბანკთან" შეერთების თაობაზე. მისი განცხადებით, აღნიშნული ბანკების შერწყმის ინიციატივა ეკუთვნის "საქართველოს ბანკს", რომლის ხელმძღვანელობას "ბაზისბანკის" აქციონერებმა შეერთებაზე უარი განუცხადეს.

ამბროლაძე იზიარებს საბანკო ექსპერტთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ბანკების გამსხვილება პოზიტიური პროცესია, რაც ძლიერი საფინანსო ინსტიტუტის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს.

"სოლიდური აქტივების მქონე ბანკს მსხვილი საინვესტიციო ბანკებიდან რესურსების მოზიდვის მეტი შანსი აქვს, თუმცა ჩვენთვის მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობის შენარჩუნება," - განაცხადა ამბროლაძემ. მისი განცხადებით, აქციონერები ბანკის დამოუკიდებლად განვითარებაზე არიან ორიენტირებულნი. ამ ზაფხულს დაგეგმილია ორი სერვისცენტრის გახსნა.

ამბროლაძის ინფორმაციით, 2005 წლის განმავლობაში წარმატებით შესრულდა დაგეგმილი ფინანსური მაჩვენებლები. აქტივები გაიზარდა 69.6 პროცენტით, საკრედიტო პორტფელი - 98.7 პროცენტით, ხოლო ვალდებულებები - 94 პროცენტით. გაორმაგდა მოზიდული სახსრების მოცულობა და ამჟამად თითქმის 40 მილიონს შეადგენს. **პრაიმ-ნიუსი**

## "საქაერონავიგაციამ" ბათუმის აეროპორტს სპეციალური ტექნიკა გადასცა

"საქაერონავიგაციამ" ბათუმის საერთაშორისო აეროპორტს სპეციალური ტექნიკა გადასცა. ტექნიკა, ძირითადად, ბათუმის აეროდრომის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, კეთილმოეწყობა ასაფრენი ბილიკები, დამონტაჟდება შუქნიშნები. ტექნიკის დამონტაჟებას "საქაერონავიგაცია" სექტემბრისთვის დაასრულებს. ქართველი სპეციალისტები თურქულ კომპანია "ტავისა" და "ურბანის" თანამშრომლებთან ერთად ითანამშრომლებენ. ეს ის თურქული კომპანიაა, რომელმაც ბათუმის აეროპორტი უნდა ააშენოს.

გუშინ აეროდრომისთვის ტექნიკის გადაცემას "საქაერონავიგაციის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი კარბელაშვილი და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძეც დაესწრნენ. ბათუმში იმყოფებოდნენ "საქაერონავიგაციისა" და ბრიტანული კომპანია "ასტატის" მიერ დაფუძნებული სასწავლო ცენტრის წარმომადგენლები, რომლებიც საჰაერო მართვის მეთვალყურეთა სპეციალისტებს მოამზადებენ. პრიორიტეტები მიენიჭება 19-დან 24 წლის ასაკის ახალგაზრდებს. მათ, ძირითადად, ბათუმის უნივერსიტეტიდან შეარჩევენ. სწავლის ხანგრძლივობა 11 თვეს შეადგენს. სასწავლო კურსს ბრიტანელი სპეციალისტები წაიყვანენ. გამოცდას ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე და გიორგი კარბელაშვილი დაესწრებიან. **ინტერპრესნიუსი**

## "აბრეშუმის გზის ქვეყნების" მე-8 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა

დღეს თბილისში "აბრეშუმის გზის ქვეყნების" მე-8 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა გაიხსნება. გამოფენის ორგანიზატორია კომპანია "ექსპო ჯორჯია". ღონისძიება საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის პატრონაჟით ტარდება. როგორც ტურიზმის დეპარტამენტში განაცხადეს, საქართველო გამოფენაზე დეპარტამენტის, ეროვნული მუზეუმის და საპატრიარქოს სტენდებით იქნება წარმოდგენილი. უცხოელებს ასევე საშუალება ექნებათ, საქართველოს რეგიონებს, მათ შორის, ბორჯომის, კახეთის, იმერეთის, აჭარისა და მცხეთა-მთიანეთის კურორტებსა და ღირსშესანიშნავ ადგილებს გაეცნონ. საქართველოს დაცული ტერიტორიების პავილიონს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გიორგი პაპუაშვილი გახსნის. რაც შეეხება უცხოელ სტუმრებს, გამოფენას 50 ქვეყნის ტურისტული სააგენტოები, ავიაკომპანიები, ნაციონალური პარკები და სხვა მსგავსი კომპანიის წარმომადგენლები, მათ შორის, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ავსტრიიდან, იტალიიდან, თურქეთიდან დაესწრებიან. "გამოფენას საქაერონავიგაციის პრეზენტაცია გახსნის, მოეწყობა ასევე მრგვალი მაგიდა - საერთაშორისო ტურიზმის თემაზე. ამ სამი დღის განმავლობაში უამრავი ღონისძიებაა დაგეგმილი," - განაცხადა "ექსპო ჯორჯიას" PR მენეჯერმა თეონა თავაძემ. გამოფენა "ექსპო ჯორჯიას" საგამოფენო პავილიონში, წერეთლის 118 ნომერში გაიხსნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

# მცირე და საშუალო ბიზნესის მუხრუჭი

## ხელისუფლებამ ფაქტორული ეკონომიკა ვერ დაძლია

ნინო ნატროშვილი

მცირე და საშუალო ბიზნესი ქვეყნის ეკონომიკის სოციალური ხერხემალია. ამ სექტორის განვითარება იძლევა ეკონომიკურ ეფექტს - იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, ვითარდება წარმოება, რაც საბოლოოდ მთლიანი შიდა პროდუქტის პარამეტრის ზრდაში აისახება. ექსპერტების აზრით, საქართველოს ეკონომიკური აღმავლობა იმიტომ შეფერხდა, რომ ქვეყანამ ფაქტორულ ეკონომიკას თავი ვერ დააღწია და საინვესტიციო ეკონომიკაზე ტრანსფორმირება ვერ შეძლო, რამაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება შეაფერხა.

ამ მოსაზრებას კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციების ცენტრის მიერ განხორციელებული კვლევაც ადასტურებს, რომელიც საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის დაკვეთით ჩატარდა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ დააფინანსა.

გასულ წელს საქართველომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ინდექსით ქვეყნის ეკონომიკის ზრდის კუთხით 86-ე და ბიზნესის კონკურენტუნარიანობი კუთხით 99-ე ადგილი დაიკავა. თუმცა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს არ არის შთამბეჭდავი მაჩვენებელი, რადგან თუ სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, საქართველო მოსახლეობის და ტერიტორიული ფართით მსგავს ქვეყნებს მშპ-ს ზრდის პარამეტრით მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ლიტვის მშპ 22 მილიარდ დოლარს უტოლდება, ლატვიის - 13, ხოლო ესტონეთის - 10 მილიარდს. საქართველოს მშპ 5 მილიარდია. მთლიანი მსოფლიო მშპ-ს მაჩვენებელი 2004 წელს 44 ტრილიონი დოლარი იყო.

ექსპერტული გათვლებით, ჩვენი ეკონომიკის წილი გლობალურ ეკონომიკაში 0,001 პროცენტი გამოდის. საქართველო მსოფლიო ეკონომიკის მიკროსკოპული წერტილია. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკას ასეთი მძიმე შედეგები არასტაბილურმა ისტორიულ-პოლიტიკურმა განვითარებამ მოუტანა. ეკონომიკური სისტემები განვითარდა იქ, სადაც იყო სტაბილური ფონი. ბალტიისპირეთის სამი ქვეყნის მშპ 45 მილიარდი დოლარია. მაშინ, როდესაც კავკასიის სამი ქვეყნის - საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის - მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 16 მილიარდს უტოლდება.

კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციის ცენტრმა დამსაქმებელთა ასოციაციის წევრი 63 მცირე, საშუალო და მსხვილი კომპანიის საქმიანობა შეისწავლა. საწარმოებში შექმნილი პრობლემები, ექსპერტების შეფასებით, დსთ-ს ქვეყნების მსგავსად, ნაწილობრივ სიმპტომატურია და მიახლოებული.

"ძალიან ბევრია დამოკიდებული კომპანიების კაპიტალურ ანუ ფინანსურ ბაზაზე. ფულის უკმარისობა ხელ-ფეხს უკრავს კომპანიებს, განახორციელონ აგრესიული და მოქნილი პოლიტიკა, ადამიანის რესურსების განვითარებასთან, ინოვაციებთან მიმართებაში," - განუცხადა "24 საათს" კონკურენტუნარიანობის და ინოვაციის ცენტრის ხელმძღვანელმა დიმიტრი ჯაფარიძემ.

კვლევებმა აჩვენა, რომ ინდმეწარმე, კოოპერატივი შპს, სააქციო საზოგადოება - მცირე, საშუალო და დიდი ბიზნესი საქართველოში კაიზენის მეთოდით ნელა ვითარდება. გამოკითხულ მეწარმეთა 72 პროცენტი თანაბარი განვითარების სტრატეგიას აღიარებს. რეალურად კი მცირე ფინანსური ბაზა მკვეთრი ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის საშუალებას არ იძლევა. ადამიანური რესურსის ზრდა მცირე კომპანიებში ბოლო ორი წლის მანძილზე 40 პროცენტია. საშუალო საწარმოებში - 27 პროცენტი, მსხვილმა საწარმოებმა კი შტატების გაზრდა 37 პროცენტით შეძლეს. გამოიკვეთა სექტორები, სადაც ადამიანურ რესურსებზე დიდი მოთხოვნაა. ეს არის საფინანსო-საბანკო სფერო, სადაც კვალიფიციური კადრების დეფიციტი შეინიშნება. საინფორმაციო ტექნოლოგიები, კომუნიკაციები და მშენებლობა - ეს არის სფეროები, რომლებიც სწრაფად ვითარდება. რაც შეეხება შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლებს სექტორების მიხედვით, ერთი სული დასაქმებული ყველაზე მეტ პროდუქციას მშენებლობის სექტორში ქმნის. მეორე ადგილზეა კვების გადამამუშავებელი მრეწველობა, შემდეგ - ვაჭრობა, ტურიზმი. ყველაზე დაბალია შრომის ნაყოფიერება სოფლის მეურნეობის სექტორში, რადგან სექტორში ტექნოლოგიები მოძველებულია. რაც შეეხება ინოვაციებს, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა საწარმოთა 8 პროცენტს შეუძლია.

ახალ ტექნოლოგიებზე ნაწილობრივ გადასვლას საწარმოთა 37 პროცენტი ახერხებს, და საერთოდ იგნორირებული აქვს 55 პროცენტს. მეწარმეები აღიარებენ, რომ ამას მწირი ფინანსების გამო ვერ ახერხებენ.

"საფინანსო რესურსების ხელმისაწვდომობის პრობლემა საკმაოდ მძიმედ აწვება საშუალო და მცირე ბიზნესს. დიდ საწარმოებს ბანკებთან ურთიერთობა მოგვარებული აქვთ. მცირე ბიზნესისათვის ეს კვლავ აუთვისებელი სფეროა, რაც მათ არაკონკურენტუნარიან გარემოში აყენებს, რადგან დაფინანსება ნიშნავს ახალ ტექნოლოგიებს, შიდა ორგანიზაციულ სიძლიერეს და ინვესტირებას," - აცხადებს დიმიტრი ჯაფარიძე.

ექსპერტების შეფასებით, ბანკებს უფრო მეტი საკრედიტო რესურსის ათვისება შეუძლიათ, თუმცა მცირე ბიზნესის საკრედიტო პორტფელის მართვა-ადმინისტრირება რთულია იმ თვალსაზრისით, რომ განსაკუთრებულ შემოსავლებთან არ არის დაკავშირებული და დიდ ადმინისტრაციულ რესურსს მოითხოვს.

"თუ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებთან მიმართებაში საკრედიტო პორტფელის დეფიციტი ვერ აღმოიფხვრა, რამდენიმე წელიწადში ეს საკმაოდ მძიმე შედეგს მოგვიტანს. საშუალო და მცირე ბიზნესი ქვეყნის სოციალური ხერხემალია. და ჩვენ ამ კუთხით დღეს საკმაოდ სუსტები ვართ. მიმაჩნია, რომ ბანკები ადეკვატურად რეაგირებენ. მათი ხელგაშლილობა, ძირითადად, გარე საფინანსო ნაკადებზეა დამოკიდებული, რაც საკრედიტო რესურსების ძირითადი წყაროა. დღეს საქართველოში საკრედიტო რესურსის შიმშილია. ბანკები მცირე ბიზნესის დასაფინანსებლად თავისუფლად აითვისებდნენ 300-400 მილიონის საკრედიტო რესურსს. მთავარია, ქვეყანაში ინვესტიციები შემოვიდეს," - მიაჩნია დიმიტრი ჯაფარიძეს.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც საქართველოში წარმოების განვითარებას აფერხებს, სუსტი მარკეტინგია, რაც ბოლო დღეებში ღვინის სკანდალთან დაკავშირებულმა მოვლენებმაც აჩვენა. საერთაშორისო ბაზრებზე მხოლოდ მსხვილი კომპანიები არიან ორიენტირებულნი. მცირე და საშუალო საწარმოები ამას ვერ ახერხებენ. კიდევ ერთი ნაკლი - კვლევამ აჩვენა, რომ საწარმოთა მხოლოდ მცირე ნაწილი ადგენს ბიუჯეტს. საფინანსო პარამეტრებს მხოლოდ მცირე საწარმოთა 10 პროცენტი გეგმავს. საშუალო კომპანიებში - 18 პროცენტი, მსხვილებში - 37 პროცენტი. მეწარმეები აცხადებენ, რომ ბიზნესგარემო ნაკლებად პროგნოზირებადია და ამის გამო ფინანსური პარამეტრების შეცვლა ხშირად უხდებათ.

ექსპერტების შეფასებით, ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ყველა სოციალური ჯგუფის - მთავრობის, არასამთავრობო სექტორის, აკადემიური სექტორის ერთობლივი მუშაობის გარეშე წარმოუდგენელია. ამ ოთხი კომპონენტის საფუძველზე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი მოდელი უნდა შეიქმნას. სამწუხაროდ, საქართველოს ეკონომიკა ფაქტორულია და მას ფინანსური და ადამიანური ფაქტორი განაპირობებს. უნდა მოხდეს მისი ტრანსფორმირება, საინვესტიციო ეკონომიკაზე გადაწყობა, და როცა ინვესტიციებით გაჯერდება, ინოვაციურ ეკონომიკაზე ფიქრი უნდა დავიწყოთ.

# ფულადი გზავნილების შეზღუდვა მითი თუ რეალობა?

პირველი გვერდიდან

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო დუმაში ფულადი გზავნილების მიმართ სანქციების ამოქმედების იდეას, ძირითადად, ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლები უჭერდნენ მხარს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე ოპოზიციური ფრაქციების განცხადებას არასერიოზულად აფასებს. მისი თქმით, ელექტრონული ანგარიშსწორების ეპოქაში ფულადი გზავნილების შეჩერება ტექნიკურად შეუძლებელია.

**"რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან (და არა ზოგიერთი ოდიოზური ყაიდის დეპუტატის გამონათქვამებით) ასეთი ქმედების წამოწყება სერიოზულ ზიანს მოუტანდა რუსეთის საფინანსო სისტემას როგორც რეპუტაციის, ასევე პრაქტიკული შედეგების თვალსაზრისით. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ რუსეთის კომპეტენტურმა ექსპერტებმა და საფინანსო წრეებმა, ისევე, როგორც პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკოსებმა, დაგმეს რუსეთის სახელმწიფო დუმის ეს უაზრო ინიციატივა. ქართველები, მრავალი მილიონი ადამიანის მსგავსად, რომლებიც რუსეთში სამუშაოს საძებნელად არიან წასულნი, უზარმაზარ სიმდიდრეს ქმნიან, პირველ რიგში, რუსეთისათვის და ხელს უწყობენ ამ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ისინი პატიოსანი გზით ნაშოვნ სახსრებს, ხელფასის სახით მიღებულ თანხას სამშობლოში გადმორიცხავენ, რუსეთში დახარჯავენ, თუ სხვა ქვეყანაში გამოიყენებენ, არც მორალურად, არც სამართლებრივად და არც ფინანსურად არავის გადასაწყვეტი არ არის,"** - აღნიშნა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ.

აღნიშნულმა საკითხმა რუსეთის სამეცნიერო-ეკონომიკურ წრეებში ნეგატიური გამოხმაურება გამოიწვია. რუსეთის "ეკონომიკის უმაღლესი სკოლის" ხელმძღვანელმა და ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა ევგენი იასინმა აღნიშნა, რომ ნებისმიერი ასეთი სახის განცხადება მისი ავტორის ელემენტარულ ეკონომიკურ უცოდინრობაზე მეტყველებს. **"ბალანსი ქვეყნის ეკონომიკაში მიგრანტის მიერ ჩადებულ სახსრებსა და ქვეყნიდან გატანილი თანხების მოცულობას შორის დადებითია დონორი-სახელმწიფოს სასარგებლოდ,"** - აღნიშნა იასინმა.

მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც რუსეთის საბანკო სივრცეში პოპულარულ "როსიმპექსბანკის" მოღვაწეობის შედეგებს მიეძღვნა, საუბარი შეეხო ბანკის მიერ დსთ-ს სივრცეზე და, კერძოდ, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ე.წ. სწრაფი ფულადი გადარიცხვების საკითხსაც. აღინიშნა, რომ დსთ-ს სივრცეში ყველაზე პოპულარული სწრაფი ფოსტით სისტემატურად სარგებლობენ რუსეთში სამუშაოდ ჩასული ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქენი, რომლებიც ყოველთვიურად შინ საშუალოდ 200-300 დოლარს აგზავნიან.

"როსიმპექსბანკის" გამგეობის თავმჯდომარემ პავლე ლისენკომ პრესკონფერენციაზე დამსწრე ქართველი ჟურნალისტებისაგან შეიტყო გავრცელებული ინფორმაცია საქართველოსთან ფულადი გადარიცხვების შეჩერების პერსპექტივაზე და მას "მოულოდნელი და გასაოცარი" უწოდა.

**"საქართველო ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ბაზარია ამ კუთხით და საქართველოსთან ჩვენს პარტნიორობას ჩვენი ბანკის ფულადი გადარიცხვების მოცულობაში 10-12 პროცენტი უკავია. ქართველი მუშები და მოსამსახურეები დიდი ოდენობით ფულად გადარიცხვებს ახდენენ "როსიმპექსბანკის" მეშვეობით. ჩვენ გაოცებულნი დავრჩებოდით, თუკი ეს ასე მოხდებოდა,"** - აღნიშნა ლისენკომ.

ლისენკოს თქმით, ამ ეტაპზე "როსიმპექსბანკს" რუსეთის ხელისუფლებისაგან საქართველოსთან ფულადი გადარიცხვების შეჩერებაზე რაიმე სახის ბრძანება ან რეკომენდაცია არ მიუღია.

იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთი მართლაც შეზღუდავს საქართველოში ფულად გზავნილებს, რა გავლენას მოახდენს ეს ქართულ საბანკო სექტორზე? შემცირდება თუ არა მათი შემოსავლები და ექნებათ თუ არა ქართულ ბანკებს რაიმე სახის ფინანსური დანაკარგები? ქართველი ბანკირები ირწმუნებიან, რომ რუსეთის ხელისუფლების ასეთი გადაწყვეტილება, ადგილობრივ ბანკებზე მეტად, რუსულ საბანკო სექტორს დააზარალებს. "თიბისი ბანკის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე "24 საათთან" საუბრის დროს აღნიშნავს, რომ რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების აკრძალვის ან შეზღუდვის შემთხვევაშიც კი, ჩვენს ქვეყანაში ფული მეზობელი სახელმწიფოდან მაინც, სხვა არასაბანკო არხებიდან, შემოვა. **"საერთოდ მგონია, რომ ასეთ გადაწყვეტილებას რუსეთის ხელისუფლება ვერ მიიღებს, რადგან ეს ტექნიკურად შეუძლებელია. და მაინც, თუკი საქართველოში რუსეთიდან ფულადი გზავნილები შეიზღუდება, პრობლემები უფრო მეტად რუსეთს შეექმნება, განსაკუთრებით, რუსულ საბანკო სექტორს. რაც არ უნდა მოხდეს, რუსეთიდან ფული საქართველოში მაინც შემოვა, საბანკო სექტორის გვერდის ავლით და დიდი ალბათობაა, რომ ეს ფული ქართულ ბანკებში ანაბრების სახით მოხვდეს. ასე რომ, თუკი ფინანსურ დანაკარგებზეა საუბარი, დანაკლისი რუსულ ბანკებს უფრო მეტი ექნებათ, ვიდრე ჩვენ,"** - განაცხადა ვახტანგ ბუცხრიკიძემ.

ცნობისათვის, გასულ წელს ჩვენს ქვეყანაში რუსეთიდან 250 მილიონი აშშ დოლარი გადმოირიცხა.

## ელექტროენერგიაზე სამომხმარებლო ტარიფის გაზრდა გარდაუვალი პროცესია?

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოში ელექტროენერგიაზე სამომხმარებლო ტარიფის გაზრდა გარდაუვალი პროცესია. "დენის ტარიფის გაზრდა იმით არის განპირობებული, რომ ბუნებრივი აირის მომწოდებელმა 2006 წლის დასაწყისში ტარიფი თითქმის ორჯერ გაგვიძვირა. ბუნებრივ აირს ელექტროენერგიის გამომუშავების გარკვეული სეგმენტი გამოიყენებს. შესაბამისად, ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის საკითხი დღის წესრიგში აუცილებლად დადგებოდა. ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდაზე პროგნოზი რამდენიმე თვეა, კეთდებოდა და, ამდენად, ეს ახალი ამბავი არ არის," - აღნიშნა გია ხუხაშვილმა.

ცნობისთვის: კომპანია "თელასში" უკვე განიხილება ელექტროენერგიის სამიმხმარებლო ტარიფის გაზრდის საკითხი, საბოლოო გადაწყვეტილებას კი ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია მიიღებს. **მედიანიუსი**

## კონკურსი "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის" მართვის უფლებით გადაცემისთვის

შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის" მართვის უფლებით გადაცემის მიზნით მოწყობილ კონკურსში განცხადებების შეტანის ვადა დღეს იწყება. საპრივატიზაციო ობიექტის საწყისი ფასი 35 მილიონი აშშ დოლარია, ხოლო "ბე" კი - 3,5 მილიონი აშშ დოლარი.

მართვის ვადა 49 წლით განისაზღვრება. საწარმოს ბალანსზე 4 790 000 ლარი დებიტორული და 33 649, 85 ლარი კრედიტორული დავალიანება ირიცხება. საწესდებო კაპიტალის მოცულობა 20 564 780 ლარია, ხოლო სახელმწიფო წილი კი - 100 პროცენტი.

განაცხადების მიღების ვადა საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროში 12 მაისს 17.00 სთ-მდე დასრულდება. კონკურსი 12 მაისს 18.საათზე ჩატარდება. ძირითადი საკონკურსო პირობები მყიდველის მიერ თანხის 3 თვეში დაფარვა და პორტის მიერ ყოველწლიურად არანაკლებ 6 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვის უზრუნველყოფაა. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი მაქსიმალური ფასის დასახელებაა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის" კონფერენცია

"საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია" დღეს "შერატონ მეტეხი პალასში" კონფერენციას გამართავს. კონფერენციის თემა ქართულ საწარმოთა კონკურენტუნარიანობისა და მწარმოებლურობის ამაღლება იქნება. კონფერენცია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან პარტნიორობით ტარდება.

როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, კონფერენცია მიზნად ისახავს, გააანალიზოს ქართულ საწარმოთა კონკურენტუნარიანობის მდგომარეობა და დასახოს მათი გაუმჯობესების გზები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების შიდა ფაქტორებზე, კერძოდ, მწარმოებლურობის ხარისხის გაუმჯობესების გზების ძიებაზე.

კონფერენციაზე "საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის" ფარგლებში განხორციელებული კვლევის პრეზენტაციაც მოხდება: "დამსაქმებელთა ასოციაციის წევრ საწარმოთა კონკურენტუნარიანობისა და მწარმოებლურობის ამაღლების გზები". "საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის" წევრი კომპანიები წარმოადგენენ საკუთარ ხედვას მათი საქმიანობის წარმატებულ მხარეებზე და ასევე იმ ფაქტორებზე, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს, ან აფერხებს მათ კონკურენტუნარიანობას შიდა და გარე ბაზრებზე.

კონფერენცია დღესვე შეიმუშავებს სპეციალურ რეკომენდაციებს ქართულ საწარმოთა კონკურენტუნარიანობისა და მწარმოებლურობის სტრატეგიის ჩამოყალიბებისა და განხორციელებისათვის. რეკომენდაციები განსახილველად წარედგინება კონფერენციის ყველა მონაწილე მხარეს და ფართო საზოგადოებას. **ინტერპრესნიუსი**

# “ფორდი” რეფორმებს იწყებს


ჯიმ პადილა


ბილ ფორდი

ამერიკულ საავტომობილო კომპანია “ფორდ მოტორზში” დიდი რეფორმები იწყება - პირველ ივლისს კომპანიას პრეზიდენტი შეიცვლება. “ცისფერი ოვალის” დირექტორთა საბჭოდან გამოვა და კომპანიის პრეზიდენტის პოსტს დატოვებს ჯიმ პადილა, მის ადგილს კი დაიკავებს “ფორდის” დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი აღმასრულებელი ბილ ფორდი ის იმავდროულად, შეუდგება კიდეც მმართველთა ახალი გუნდის ფორმირებას.

ახლა კომპანიას ძნელი პერიოდი აქვს. “ფორდი” თანდათან თმობს პოზიციებს შინაურ, ჩრდილოამერიკულ ბაზარზე, სადაც მისი წილი უდაბლეს დონეზე დავიდა. დიდი ჰენრი ფორდის შვილთაშვილ ბილ ფორდს უკვე შემუშავებული აქვს აშშ-ის სიდიდით მეორე ავტოკომპანიის რესტრუქტურიზაციის გეგმა, რომელიც რადიკალურ ზომებს ითვალისწინებს - 2012 წლამდე დაიხურება 14 ქარხანა და შემცირდება 30 000 სამუშაო ადგილი.

სანამ “ფორდის” პრეზიდენტი გახდებოდა, პადილამ 40 წლის განმავლობაში ამ კომპანიაში პირნათლად იმსახურა. სხვადასხვა დროს ის იყო “ცისფერი ოვალის” ვიცე პრეზიდენტი, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკული დივიზიონების პრეზიდენტი, ასევე მარკების - “ფორდის”, “მერკურის”, “ლინკოლნისა” და “იაგუარის” წარმოების მთავარი პასუხისმგებელი მენეჯერი.

პადილა მართვის მკაცრი სტილით გამოირჩევა. სწორედ მან შეძლო 1990-იანი წლების დასაწყისში კრიზისიდან “იაგუარის” გამოყვანა. შემდეგ, მისივე ხელმძღვანელობით ჩატარდა რესტრუქტურიზაცია “ფორდის” სამხრეთამერიკულ დივიზიონში, რის შედეგადაც, საგრძნობლად გაიზარდა იქ წარმოებული პროდუქციის ხარისხი. 2002 წელს სწორედ ის ხემლძღვანელობდა “ფორდში” ჩატარებულ პირველ მასშტაბურ რესტრუქტურიზაციას, რომლის დროსაც სამუშაო დაკარგა კომპანიის 35 ათასმა თანამშრომელმა, რაც მთელი შტატის ათი პროცენტი იყო.

სხვათა შორის, 1978-7900 წლებში პადილა აშშ-ის ვაჭრობის მინისტრის სპეციალური თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა. ამჟამად ის აშშ-ის ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული წარმოების საბჭოს წევრია.

“კომპანიაში უკვე ჩამოყალიბდა მენეჯერთა ჯგუფი, რომელსაც ნებისმიერი ამოცანის შესრულება ხელეწიფება. მე კი წასვლის დრო დამიდგა. თუმცა, არაფერს ვნანობ. ჩვენ ყველანი ერთ საქმეს ვაკეთებთ და იმედი მაქვს, რომ ახალი ხელმძღვანელობა თავს გაართმევს დაკისრებულ მოვალეობას. მჯერა, “ფორდს” ისეთივე დიდი მომავალი აქვს, როგორიც წარსული ჰქონდა”, - განაცხადა სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე პადილამ.

## “გზა მომავლისკენ”

ბილ ფორდის და მისი თანამოაზრეების მიერ შედგენილ რესტრუქტურიზაციის გეგმას ეწოდა “გზა მომავლისკენ”. თავიდან მათ ბევრი იფიქრეს იმაზე, საჭიროა თუ არა აშშ-ის ბაზარზე კომპანიის სამივე ამერიკული ბრენდის - საკუთრივ “ფორდის”, “მერკურისა” და “ლინკოლნის” დატოვება. ბევრი ფიქრისა და სჯა-ბაასის შემდეგ გადაწყდა, რომ სამივე მარკა შენარჩუნებულიყო.

სხვათა შორის, ასე როდი მოიქცა დანარჩენი ორი ამერიკული კომპანია (ჯენერალ მოტორსი და კრაისლერი), როცა მათაც ჩაატარეს რესტრუქტურიზაცია. მაგალითად, “გენერლებმა” დახურეს კომპანია “ოლდსმობილი”, “კრაისლერი” კი ანალოგიურად მოექცა “პლიმუტს”.

“გზა მომავლისკენ” ითვალისწინებს უახლოეს მომავალში სენტ ლუისის (შტატი მისური), ატლანტას (ჯორჯია), ვიკსომის (მიჩიგანი) საავტომობილო ქარხნების დახურვას. გარდა ამისა, გაჩერდება შტატ ოჰაიოს ქალაქ ბატავიაში მდებარე, გადაცემათა კოლოფების და კანადის ქალაქ უინძორში მდებარე, ძრავების მწარმოებელი ქარხანა. ამასთან, მალე განისაზღვრება კიდევ ორი ქარხანა, რომლებიც დახურვას დაექვემდებარებიან.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას “ფორდის” შარშანდელ ფინანსურ შედეგებზე. ავტომობილების გაყიდვით კომპანიამ 178 მილარდი დოლარი მიიღო. სუფთა მოგებამ ორი მილიარდი დოლარი კი შეადგინა, მაგრამ წინა წელთან შედარებით მაინც 42 პროცენტით დაიკლო. შთამბეჭდავია ჩრდილოეთ ამერიკის ავტობაზარზე განცდილი ზარალი - 1.6 მილიარდი დოლარი. რაც შეეხება მოგებას, დადებითი ბალანსი მიღწეულ იქნა იმის ხარჯზე, რომ “ფორდმა” გაყიდა თავისი ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი კომპანია - ავტომობილების გამქირავებელი გიგანტი “ჰერცი”, რის სანაცვლოდაც 5.6 მილიარდი დოლარი მიიღო.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ “ჰერცი” “ფორდის” ერთ-ერთი ყველაზე სასურველი პარტნიორიც არის - ის პირველ რიგში სწორედ “ფორდისგან” ყიდულობს ავტომობილებს. გააგრძელებენ თუ არა “ფორდისგან” შესყიდვებს “ჰერცის” ახალი მფლობელები, ამაზე მხოლოდ ვარაუდით თუ შეიძლება ლაპარაკი. ისე კი, არაა გამორიცხული, რომ გაყიდვის კონტრაქტში სპეციალურად იყოს მიითებული პუნქტი, რომელიც “ჰერცის” ახალ მფლობელს “ფორდისგან” ავტომობილების შეძენას დაავალდებულებს.

## “არავითარი გაკოტრება”

ბილ ფორდი ახლახან დასახელებულ იქნა აშშ-ის ინდუსტრიის წლის საუკეთესო აღმასრულებლად. საზეიმო ცერემონიის შემდგომ პრესკონფერენციაზე მას ჰკითხეს, ხომ არაა მოსალოდნელი “ფორდის” გაკოტრება, რაზეც ასეთი პასუხი გასცა:

“ეს საკითხი დღის წესრიგში არც დგას. ჩვენ ახლაც მომგებიანი კომპანია ვართ და საკმაოზე დიდი რაოდენობით გაგვაჩნია ნაღდი ფული. უბრალოდ, ერთ დიდ პრობლემას გადავაწყდით და ახლა მის გადაჭრას ვცდილობთ. აშშ-ის ბაზარზე წარმოქმნილ პრობლემებს რამდენიმე ძირითადი მიზეზი აქვს. ესენია გამკაცრებული კონკურენცია, გაზრდილი საპენსიო ნიხრები და წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის ფასის ზრდა”.

მანვე განაცხადა, რომ “ფორდი” არ აპირებს თავისი ფინანსური დივიზიონის, კომპანია “ფორდ მოტორ კრედიტის” გაყიდვას. ასე “ცისფერი ოვალი” თავის ლიკვიდურობის უზრუნველყოფას ცდილობს. სხვათა შორის, სულ სხვაგვარად იქცევა “ჯენერალ მოტორსი”, რომელმაც ცორტა ხნის წინ გამოაცხადა, რომ ჰყიდის თავის ფინანსურ შტოს.

მოკლედ, აღმასრულებელი ამბობს, რომ “ფორდის” სამენეჯერო გუნდი მზადაა მოვლენათა ნებისმიერი განვითარებისათვის და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის კორექტივებს შეიტანს რესტრუქტურიზაციის გეგმაში.

“ჩვენ გიჟურ ტემპში ვმუშაობთ. კვირაში ერთხელ მაინც ვახდენთ სიტუაციის ანალიზს და შესაბამისი კორექტივები შეგვაქვს სამოქმედო გეგმაში. დაწვრილებით განვიხილავთ ყველანაირ ალბათობას და მოვლენათა ნებისმიერი განვითარებისთვის მზად გვაქვს შესაბამისი პასუხი. ჩვენი სამოქმედო გეგმა, პირველ რიგში, მომხმარებლის ინტერესებზეა ორიენტირებული და არა წარმოების მოცულობის უაზრო გაზრდაზე. როგორ ვაპირებთ კრიზისის დაძლევას? პირველ რიგში, მყიდველთა გულების მოგებით. ჯერ ნდობას დავიბრუნებთ, მერე კი წარმოების ზრდაზეც შეიძლება ფიქრი”, - ამბობს ბილ ფორდი.

# რა მოხდება, როცა ნავთობი გამოილევა?

პირველი გვერდიდან

სამხრეთ დასავლეთის ინსტიტუტის დირექტორის, ნაიჯელ გეილის აზრით, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ როდის დადგება ეგრეთ წოდებული “შემობრუნების მომენტი” ენერგეტიკაში. ეს ის მომენტია, როცა კაცობრიობის მიერ მოხმარებული ნავთობისა და გაზის ოდენობა გადააჭარბებს მოპოვებული ნავთობის და გაზის მოცულობას. მისი თქმით, ეს მომენტი შეიძლება დადგეს ამ საუკუნის შუაწელში, ანაც 2020 წელს.

ჰოდა, კაცობრიობაც მზად უნდა დახვდეს კრიტიკულ მომენტს, რაც აუცილებლად იქონიებს გავლენას მსოფლიოს ეკონომიკაზე.

კომპანია “ჯენერალ ატომიკსის” ვიცე პრეზიდენტის, დოქტორ დევიდ ბალდუინის მოხსენებაში ლაპარაკი იყო წყალბადის, როგორც მომავლის საწვავის შესახებ.

“დღეს ყველა წყალბადზე ლაპარაკობს. ჩვენ ვიცით, რომ წყალბადი შეიძლება გამოსავალი გახდეს. ამასთან, ისიც ვიცით, რომ ის ყველგანაა, სადაც გავიხედავთ. მაგრამ არა იმ სახით, როგორადაც ის საწვავად შეიძლება გამოვიყენოთ”, - ამბობს ბალდუინი და დასძენს, რომ ენერგეტიკის მომავალი მაღალტემპერატურულ ბირთვულ რეაქტორებშია. ასეთ რეაქტორებს ბევრი სპეციალისტი იმედის თვალით შესცქერის, რადგან თანამედროვე რეაქტორებთან შედარებით, მაღალტემპერატურული რეაქტორები გაცილებით უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთაა.

წყლბადის გამოყენების დივერსიფიკაციას ემხრობა კომპანია “AVL პაუატრაინ ინჟინიარინგის” პრეზიდენტი რეი კორბენი, თუმცა “კობო ჰოლის” აუდიენციას მან აუწყა, რომ ის და მისი კომპანია უფრო ახლო მომავლის პერსპექტივითაა დაინტერესებული, ასეთად კი საყოველთაო აღიარებით, ბიო-საწვავია მიჩნეული.

ბიო-საწვავში იგულისხმება ეთანოლი (ჩვეულებრივი სპირტი), ჩვეულებრივი მცენარეული ზეთები და სინთეტური ნავთობი. კორბენმა დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ ეთანოლი დომინირებს ბრაზილიის ბაზარზე და მისი გავრცელება უკვე იწყება აშშ-შიც, სადაც მისი მიღების ახალი, უფრო იაფი და მასობრივი წარმოებისთვის ხელსაყრელი ტექნოლოგიები მუშავდება. აშშ-სა და გერმანიაში უკვე დიდი ხანია, მუშაობენ ცელულოზიდან ეთანოლის მიღების იაფი ტექნოლოგიის შემუშავებაზე, რისი მეშვეობითაც სპირტის ფასი ბენზინის ფასთან შედარებით კონკურენტუნარიანი გახდება. გარდა ამისა, ამ ტქნოლოგიის დახვეწის შემდეგ, სპირტის წარმოებისთვის ნედლეულად ნარჩენების გამოყენება გახდება შესაძლებელი.

აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის კოორდინატორ ლარი რუსოს ინფორმაციით, წელს აშშ-ის ქარხნები საერთო ჯამში, დაახლოებით ხუთ მილიარდ გალონ (ერთი აშშ გალონი 3.78 ლიტრია) ეთანოლს აწარმოებენ. ამასთან, ახლანდელი პროგნოზებით, 2030 წელს ამერიკაში დაახლოებით 60 მილიარდი ბარელი ეთანოლის წარმოებას შეძლებენ.

მაგრამ კორბენივე დასძენს, რომ მხოლოდ ეთანოლის იმედზე ყოფნა დიდი შეცდომა იქნება. ის ამბობს, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, აშშ-იც და სხვა წამყვანი სახელმწიფოებიც, ეთანოლისა და ჩვეულებრივი ბენზინის, ასევე დამუშავებული მცენარული ზეთისა და დიზელის ნარევს გამოიყენებენ.

როგორც ირკვევა, ამჟამად აშშ-ის გზებზე გადაადგილდება დაახლოებით 5 მილიონი ისეთი ავტომობილი, რომელსაც E85 მარკის საწვავზე მუშაობა შეუძლია. ამ მარკის საწვავი კი შეიცავს 85 პროცენტ ეთანოლს და 15 პროცენტ ბენზინს. ქვეყანაში ამ ავტომობილებისთვის საკმარისი რაოდენობით ეთანოლიც იწარმოება, თუმცა რეალური პრობლემაა მათი გაწყობა - მთელ ქვეყანაში ათასი გასამართი სადგურიც კი არ იქნება, რომლებსაც ავტომობილების E85 საწვავით გაწყობა შეუძლიათ.

დაბოლოს, წყალბადის საწვავად გამოყენების შესახებ. აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის მდივან სემუელ ბოდმენის თქმით, ახლა ქვეყანაში დიდი კამპანიაა დაწყებული წყალბადის მასობრივი მოპოვების ტექნოლოგიის დამუშავებაზე. უფრო მეტიც, შტატ სამხრეთ კაროლინას კონგრსმენმა ბობ აინგლისმა საფუძველი ჩაუყარა მოძრაობას, რომელიც მალე წამოიწყებს კონკურსს სახელად “H პრაიზ”. კონკურსის მთავარი მოთხოვნაა წყალბადის უსაფრთხო ტრანსპორტირების სისტემის შექმნა. კონურსის გამარჯვებული პრიზის სახით მიიღებს, არც მეტი, არც ნაკლები, 100 მილიონ დოლარს!

## ძვირფასი ლითონები ისევ გაძვირდა

გუშინ ნიუ იორკის ბირჟაზე 1 უნცია ოქროს ფასმა 608,4 დოლარი შეადგინა, რაც უკანასკნელი 25 წლის რეკორდი გახლავთ. უნცია ვერცხლი 13,01 დოლარამდე გაძვირდა. ეს კი ბოლო 23 წლის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური ფასია.

ძვირფასი ლითონების ფასის ამგვარი ზრდა მსოფლიოში შექმნილმა არასტაბილურმა სიტუაციამ, ნავთობის ფასის მომატებამ და მსოფლიოს სავალუტო ბირჟაზე არსებულმა არასტაბილურობამ განაპირობა. გარდა ამისა, ოქროსა და ვერცხლის გაძვირება სამრეწველო ლითონების ბირჟაზე შექმნილმა სიტუაციამაც გამოიწვია. კერძოდ, 1 უნცია სპილენძის ფასმა 274 ცენტს მიაღწია, რაც აბსოლუტური რეკორდი გახლავთ. ერთ დღეში სპილენძის 2,6 პროცენტით გაძვირება მსოფლიო ეკონომიკის ზრდამ და მოპოვების შემცირებამ განაპირობა.

რაც შეეხება პლატინას, მისმა ფასმა 26-წლიანი რეკორდი დაამყარა. კერძოდ, 1 უნცია პლატინა 1111 დოლარამდე გაძვირდა.

Raiffeisen Inretnational Bank-Holding-ი ერთ-ერთ უმსხვილეს ყაზახურ ბანკს ყიდულობს.

Raiffeisen Inretnational Bank-Holding AG-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ავსტრიული ბანკი ერთ-ერთ უმსხვილეს ყაზახურ ბანკ “იმპექსბანკს” ყიდულობს. სავარაუდოდ, გარიგება 15 მაისს დასრულდება და 500 მილიონი დოლარი დაჯდება.

გავრცელებული ინფორმაციით, Raiffeisen Inretnational Bank-Holding უახლოეს მომავალში დსთ-ს სხვა ქვეყნებში, კერძოდ კი, მოლდოვასა და კავკასიაში შენაძენების გაკეთებას აპირებს.

## Swatch რეკორდულ მოგებას ელის

მსოფლიოში საათების მწარმოებელი უმსხვილესი კომპანია “Swatch Group” მიმდინარე წელს მოგების რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწევს. კომპანიის მეთაური ნიკ ხაიეკი აცხადებს, რომ თუ ფირმის მოგება გასული წლის მსგავსად, სწრაფი ტემპით გაიზრდება, მაშინ კომპანიისთვის 2006 წელიც რეკორდული იქნება.

“Swatch Group”-ის პროდუქციის გაყიდვა გასულ 2005 წელს 8,3 პროცენტით გაიზარდა. “ლუქსის” კლასის სათებზე გაზრდილმა მოთხოვნილებებმა კომპანიას 3,51 მილიარდი აშშ დოლარის მოგება მოუტანა.

კომპანიის მესვეურების ინფორმაციით, საათებზე მოთხოვნილება წელსაც მაღალია, რაც ფირმას მიმდინარე 2006 წელს რეკორდულ მოგებას მოუტანს.

## Adidas-ის ახალმა მოდელებმა ამერიკელი აზიელები შეურაცხყვეს



გერმანული სპორტული ფირმა “Adidas”-ის მიერ გამოშვებული ახალი პროდუქცია აზიური წარმოშობის ამერიკელებისთვის მიუღებელი და შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა.

მათი თქმით, ახალ ბოტასებზე დახატული გამოსახულებები აზიური რასის მიმართ ჩამოყალიბებულ უარყოფით სტერეოტიპს კიდევ უფრო ამძაფრებს.

ახალი სპორტული ფეხსაცმელები “Adidas”-მა, სან-ფრანცისკოს ტანსაცმლის მწარმოებელ ფირმა “HUF”-სთან ერთად, საკმაოდ შეზღუდული რაოდენობით გამოუშვა.

ბოტასებზე გამოსახულია შეკრეჭილთმიანი აზიელი, ელამი თვალებით, ღორის დინგიანი ცხვირით და დიდი ეშვებით. ეს ემბლემა მხატვარ ბარი მაკგს ეკუთვნის.

ამერიკელ აზიელებს ბოტასებზე გამოსახული ემბლემა ყოფილ ანტიჩინურ პოლიტიკურ კრიკატურებს აგონებს, რაც მათთვის ძალიან დამამცირებელია. ბოტასები, რომლებიც 1 აპრილს გამოვიდა, მომხმარებლებში დიდი მოწონებით სარგებლობს. მხოლოდ 1000 წყვილი ინტერნეტის საშუალებით გაიყიდა. “Adidas”-ის ახალი ბოტასის ღირებულება 250 აშშ დოლარია.

## ნავთობის ფასმა ახალ რეკორდს მიაღწია

გუშინ Brent-ის მარკის ნავთობის ფასმა ახალ აბსოლუტურ რეკორდს - 1 ბარელისათვის 69,7 დოლარს მიაღწია. Light Sweet-ის მარკის 1 ბარელი ნავთობი 69,45 დოლარამდე გაძვირდა, თუმცა ეს ნაკლებია, ვიდრე 2005 წლის 30 აგვისტოს დაფიქსირებული სარეკორდო მაჩვენებელი - 69,45 დოლარი.

ნავთობის ფასის ამგვარი ზრდა განაპირობა გავრცელებულმა ინფორმაციამ ამერიკასა და ირანს შორის სამხედრო დაპირისპირების შესაძლო დაწყების შესახებ. გარდა ამისა, მოსალოდნელია ამ ქვეყნის წინააღმდეგ გაეროს მიერ ემბარგოს დაწესება, რაც, რა თქმა უნდა, ირანული ნავთობის ექსპორტს შეამცირებს. ამასთან, კვლავ შეფერხებულია ნიგერიული ნავთობის მოწოდებაც.

## ნავთობის ფასის ზრდამ საფონდო ინდექსების შემცირება გამოიწვია










გუშინ, ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე გამართული ვაჭრობისას, ინვესტორთა ყურადღება ნავთობის ფასების ზრდისაკენ იყო მიპყრობილი. გარდა ამისა, საბირჟო მოედნებზე განწყობაზე გავლენა მოახდინა რამდენიმე მნიშვნელოვანმა კორპორაციულმა სიახლემ. კერძოდ, General Motors-მა გუშინ ოფიციალურად განაცხადა, რომ Isuzu Motors Ltd-ს აქციების 7,9 პროცენტს 300 მილიონ დოლარად გაყიდის. სავარაუდოდ, მყიდველი იაპონური კომპანიები Itochu Corp, Mitsubishi Corp და Mizucho Corpotare Bank იქნებიან.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,44 პროცენტით, 11.092,83 პუნქტამდე შემცირდა, Nasdaq Index-მა კი 0,88 პროცენტით დაიკლო და 2.312,77 პუნქტი შეადგინა. ხოლო S&P500 Index 0,57 პროცენტით შემცირდა და 1.289,26 პუნქტი შეადგინა.

## Google-მა ტექსტური ძიების ახალი ტექნოლოგია შეიმუშავა

მსოფლიოში უმსხვილესმა საძიებო სისტემების მფლობელმა კორპორაცია “Google”-მა ტექსტური ძიების უახლესი ტექნოლოგია შეიმუშავა. ახალი საძიებო ალგორითმის ავტორი ებრაელი ასპირანტი ორი ალონია. პროგრამის სახელწოდებაა “ორიონი” და დღესდღეობით ის მხოლოდ ინგლისურ ენაზე მუშაობს. უახლოეს მომავალში ახალი პროგრამა საერთაშორისო გახდება.

ორი ალონი ავსტრალიის სამხრეთ უელსის ახალ უნივერსიტეტში სწავლობს. გავრცელებული ინფორმაციით, ორი ალონი ამჟამად კალიფორნიაში, კომპანიის შტაბ- ბინაში იმყოფება. თუმცა არც თავად ალონი, და არც კომპანია “Google”-ის წარმომადგენლები კომპანიაში მიმდინარე სიიახლების შესახებ კომენტარს არ აკეთებენ.

უნივერსიტეტში კი აცხადებენ, რომ კორპორაცია “Microsoft”-მა და “Yahoo!”-მ არაერთხელ მიმართა მათ ახალ ბიზნეს-პროექტების შესაბამის ტექნოლოგიგიების გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა უშედეგოდ.

## ჩინეთი ქარხნებს ამწვანებს

ჩინეთის გარემოს დაცვის სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რომელიც ქვეყნის წამყვან ქიმიურ და ნავთობქიმიურ კომპანიებს თავიანთი ქარხნების ეკოლოგიური მოთხოვნებისადმი შესაბამისობაში მოყვანას ავალდებულებს. ეს ნაბიჯი გადაიდგა მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ჩინეთის ეროვნული სანავთობე კომპანიისა და კონცერნ “სინოპეკის” ოცი ქარხანა გარემოს დიდ საფრთხეს უქმნის.

გარდა ამისა, ჩინეთის გარემოს დაცვის სახელმწიფო ადმინისტრაციის (SEPA) გადაწყვეტილებით, შეჩერდა ან გადაიდო 44 პროექტი, რომლებშიც საერთო ჯამში, 149.5 მილიარდი იუანის (18.7 მილიარდი დოლარის) ინვესტიცია იყო გათვალისწინებული. ასეთი რადიკალური ნაბიჯი გადაიდგა მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მათი მშენებლობა ვერ აკმაყოფილებსი გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს.

SEPA-მ ჩინეთის ნავთობქიმიური წარმოების ასზე მეტი ქარხანა მას შემდეგ შეამოწმა, რაც გასულ წელს ქვეყნის ჩრდილო აღმოსავლეთში მდებარე ქიმიურ ქარხანაში მომხდარი აფეთქების შემდეგ, მდინარე შონჰუაში ასეულობით ათასი ტონა ბენზენი და მისი შენაერთები ჩაიღვარა. ამ ავარიის შემდეგ დაბინძურდა რეგონის სასმელი წყლის რესურსები, რომლითაც მილიონობით ადამიანი სარგებლობდა. ამ შემთხვევამ მეზობელ რუსეთსაც უზარმაზარი ეკოლოგიური ზიანი მიაყენა.

იმ ოცი ქარხნიდან, რომლებიც გარემოს დაცვის სამინისტროს შემმოწმებელმა კომისიამ განსაკუთრებით სახიფათოდ მიიჩნია, 12 მდებარეობს ქვეყნის ორი ყველაზე დიდი მდინარის, ხუანხესა (ყვითელი მდინარე) და იანძის შორის. კომისიის დასკვნაში წერია, რომ ეს ქარხნები დაფარული საფრთხის მატარებლებია და ისინი შესაბამის მოდერნიზაციას საჭიროებს.

ქარხნების მოდერნიზაციისთვის გათვალისწინებულია 1.6 მილიარდი იუანის ინვესტირება. თუმცა, SEPA-ს დროებითი ხელმძღვანელის, პან იუეს განცხადებით, ეს მხოლოდ დროებითი ღონსძებაა და პრობლემას სამუდამოდ ვერ გადაჭრის.



## პერმში ქსელიდან 173 ათას ბოთლზე მეტი ქართული და მოლდოვური ღვინო და კონიაკი ამოიღეს

მოლდოვადან და საქართველოდან პერმის მხარეში შეტანილი ღვინის ნიმუშებში პესტიციდები - დდტ და მეტალაქსილი აღმოაჩინეს. "როსპოტრებნადზორის" პერმის მხარის ტერიტორიული სამმართველოს ფედერალური სამსახურის პრესმდივნის ოლგა შუტოვას თქმით, მოლდავური პროდუქციის 166 ნიმუშიდან 79 არასტანდარტული აღმოჩნდა. ქართული ღვინის 43 ნიმუშიდან კი 19 არ შეესაბამებოდა დადგენილ ნორმას. პესტიციდები 30 მოლდავურ და 5 ქართულ ღვინოში აღმოაჩინეს. ბრუნვიდან ამოღებულია 173 ათას ბოთლზე მეტი ქართული და მოლდოვური ღვინო და კონიაკი.

"როსპოტრებნადზორის" პერმის მხარის ტერიტორიული სამმართველოს თანამშრომლებმა ჰიგიენისა და ეპიდემიოლოგიის სამხარეო ცენტრის სპეციალისტებთან ერთად რეგიონის მასშტაბით ალკოჰოლური პროდუქციის ბრუნვაში მონაწილე 151 საწარმო შეამოწმეს. **მედიანიუსი**

## რუსეთში აფხაზური ღვინის რეალიზაცია არ აუკრძალავთ

რუსეთში საქართველოს საელჩოს პრესატაშე ვახტანგ ტატუნაშვილი ვარაუდობს, რომ აფხაზურ ღვინოს "ლიხნი" რუსეთის ბაზარზე იმპორტის აკრძალვა არ შეეხება. "მართალია, რუსული მხარე აცხადებს, რომ სავაჭრო ქსელიდან ამოღებულია საქართველოდან იმპორტირებული ალკოჰოლური სასმელები, მაგრამ აქ, გასაგები მიზეზების გამო, აფხაზური წარმოების ღვინო "ლიხნი" არ უნდა იგულისხმებოდეს," - განაცხადა ვახტანგ ტატუნაშვილმა. მისივე თქმით, ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ქართული ღვინის იმპორტის აკრძალვა პოლიტიკური საკითხია. **მედიანიუსი**

## სამიდან ორი შემთხვევა ავტომობილების სარკეებისა და დეკორატიული ნაწილების ქურდობაა

27 მარტს "კანარგოს" კუთვნილ "მერსედესის" მარკის ავტომანქანას დადიანის ქუჩაზე მოპარეს სარკის მინა, ხოლო 30 მარტს იმავე ქუჩაზე - კარების კანტები.

"შეხვედრაზე ვიმყოფებოდით მერიაში, ხოლო ავტომანქანა დადიანის ქუჩაზე დავაყენე" - ამბობს "კანარგოს" თანამშრომელი "ეს ხდებოდა შუადღის საათებში. რომ გამოვედი "სარკის მინა აღარ დამხვდა, ხოლო მომდევნო დღეს იმავე ადგილას კანტები მოიპარეს."

იმავე ორგანიზაციის სხვა ავტომანქანას ("მერსედესი") 30 მარტს რესტორან "ევროპის" წინ დღის საათებში ასევე სარკის მინა მოპარეს.

"ჯიპიაი ჰოლდინგის" მიერ "კანარგოსთვის" ანაზღაურებულმა თანხამ მოპარული აქსესუარებისთვის 800 ლარი შეადგინა.

"ეს ნიშანდობლივი ფაქტებია. ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა სარკეებისა და დეკორატიული ნაწილების ქურდობა - ჩვენი სტატისტიკით, სამიდან ორი შემთხვევა სწორედ სარკეების ქურდობაა" - აღნიშნავს "ჯიპიაი ჰოლდინგის" ზარალების ანაზღაურების მენეჯერი ჯემალ ქარუმიძე, "თან ეს ხდება დღის საათებში, ქალაქის ცენტრში, საკმაოდ ხალხმრავალ ადგილებში. პრობლემა ისაა, რომ სამწუხაროდ ამგვარი მოპარული აქსესუარები ალბათ ძალიან მარტივად და სწრაფად იყიდება."







## ამინდი

| | 12/04 | 13/04 | 14/04 |
|---|---|---|---|
| კიევი | 15 | 15 | 9 |
| რიგა | 10 | 5 | 11 |
| ვილნიუსი | 5 | 3 | 3 |
| მოსკოვი | 12 | 9 | 10 |
| მინსკი | 6 | 6 | 6 |
| პარიზი | 10 | 7 | 17 |
| რომი | 15 | 18 | 19 |
| ლონდონი | 8 | 8 | 7 |
| მადრიდი | 23 | 23 | 21 |
| ბონი | 6 | 4 | 11 |
| ვარშავა | 10 | 7 | 7 |
| ათენა | 20 | 18 | 19 |
| ბერნი | 5 | 13 | 18 |
| ამსტერდამი | 1 | 3 | 5 |
| ოსლო | 1 | -3 | 1 |
| ანკარა | 21 | 24 | 22 |
| ვარნა | 16 | 17 | 15 |
| დელი | 39 | 40 | 37 |
| ტოკიო | 8 | 16 | 13 |
| კოპენჰაგენი | 3 | -1 | 2 |
| ბაქო | 25 | 26 | 25 |
| ერევანი | 23 | 25 | 27 |
| ასტანა | 12 | 12 | 12 |
| ჰელსინკი | 3 | -2 | 1 |
| დუბლინი | 3 | 3 | 3 |
| ლისაბონი | 21 | 25 | 22 |
| პრაღა | 3 | 3 | 5 |
| სოფია | 10 | 7 | 15 |
| ბუდაპეშტი | 3 | 6 | 13 |
| ბუხარესტი | 16 | 10 | 18 |

# ქართველი მეღვინეები მზად არიან, რუსეთიდან თავიანთი პროდუქცია დაიბრუნონ

ქართველი მეღვინეები მზად არიან, რუსეთიდან თავიანთი პროდუქცია დაიბრუნონ. ამის შესახებ გუშინ სს "თბილღვინოში" სტუმრობისას პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა. მისი თქმით, საქართველოს მთავრობამ რუსული მხარისგან მიიღო ორი წერილი, რომლებიც ამ ქვეყანაში ქართული ღვინის იმპორტის აკრძალვას შეეხება.



როგორც მან აღნიშნა, დოკუმენტებში ნათქვამია, რომ ქართული საექსპორტო ღვინოების ნაწილს რუსეთში ხარისხთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები აქვთ.

"იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთის ხელისუფლება მართალია, ეს ქართული ღვინის იმპორტის სრული აკრძალვისთვის საფუძველს არ იძლევა," - თქვა პრემიერ-მინისტრმა და დასძინა, რომ რუსული მხარის პოზიცია უკანონო და არამეგობრულია. ნოღაიდელის განცხადებით, ეს პრობლემა მოლაპარაკებებზე უნდა გადაწყდეს და ის მზადაა ამ მიზნით მოსკოვში გაემგზავროს, თუმცა აღნიშნა, რომ რუსული მხარე მისი ვიზიტისთვის მზად არაა.

პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, ამასთან დაკავშირებით რუსეთში გაემგზავრება საქართველოს სამთავრობო დელეგაცია სოფლის მეურნეობის მინისტრ მიხეილ სვიმონიშვილის ხელმძღვანელობით, და მის შემადგენლობაში შევლენ საგარეო საქმეთა და ჯანდაცვის სამინისტროების წარმომადგენლები, ასევე, ღვინის მწარმოებელი კომპანიების ხელმძღვანელები. დელეგაცია რუს კოლეგებს წარუდგენს დოკუმენტაციას ქართული ღვინის ხარისხიანობის შესახებ. ნოღაიდელის განმარტებით, დღის წესრიგშია რუსეთიდან ქართული ღვინის რეიმპორტის საკითხიც, რომლის ინიციატორებიც ქართული ღვინის მწარმოებლები არიან. მისი თქმით, ფინანსთა სამინისტრო ამზადებს კანონპროექტს, შეღავათიანი საბაჟო რეჟიმის შექმნის შესახებ ქართული ღვინის რეიმპორტისა და მესამე ქვეყნებში ექსპორტის მიზნით.

საინტერესო ფაქტი: ტაჯიკეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კორპორაცია "ხუროკვორის" მეღვინეობის სამმართველოს უფროსის მოადგილის პირმახმად დოსტიევის თქმით, რუსეთის ბაზარზე ქართული და მოლდოვური ღვინოების აკრძალვა, შესაძლოა, დადებითად აისახოს ტაჯიკეთის მეღვინეობის დარგის განვითარებაზე. "ქართული და მოლდოვური ღვინოები ტაჯიკეთშიც შემოდის, მაგრამ ექსპერტების მონაცემების თანახმად, ამ ღვინოების უმრავლესობა კონცენტრატებისგან მზადდება, ამიტომ მოსახლეობაში მათზე დიდი მოთხოვნილება არ არის. ამ ღვინოების პატარა პარტიებიც კი მთელი წლის განმავლობაშია გაყიდვაში. თუკი რუსეთში ღვინის პროდუქციის ნაკლებობა შესამჩნევი გახდება, ტაჯიკეთი ამ დეფიციტის დაფარვას შეძლებს," - აღნიშნა პირმახმად დოსტიევი. მისივე მონაცემებით, ამჟამად ტაჯიკეთის ღვინის საწარმოებში 500 ათასი დეკალიტრი მაღალხარისხოვანი მშრალი ღვინო ინახება. "აუცილებლობის შემთხვევაში წელს მეღვინეებს შეუძლიათ, ღვინის წარმოება რამდენჯერმე გაზარდონ. ტაჯიკურ ღვინოებს, როგორც მხოლოდ ნატურალური კომპონენტებისგან წარმოებულ პროდუქტებს, მაღალი რეპუტაცია აქვთ. ამაზე მიუთითებს მრავალრიცხოვანი მედალი, რომლებიც ტაჯიკურმა ღვინომ საერთაშორისო გამოფენებზე მოიპოვა", - ამბობს დოსტიევი.

მისივე თქმით, ტაჯიკეთში ყურძნის ჯიშების მოყვანის დროს არ გამოიყენება პესტიციდები და სხვა ქიმიური პრეპარატები. "ამჟამად ტაჯიკ მეღვინეებს საზღვარგარეთ თავიანთი პროდუქციის ტრანსპორტირების პრობლემა აქვთ, რადგან უზბეკეთმა და ყაზახეთმა თავიანთ ტერიტორიებზე ტაჯიკური ღვინის ტრანზიტზე დეპოზიტები დააწესეს. თუმცა ტაჯიკეთის ხელისუფლება ამ ქვეყნებთან მოლაპარაკებებს მართავს და შეიძლება, ახლო მომავალში ასეთი შეზღუდვა მოგვიხსნან. ამის შემდეგ ტაჯიკური ღვინოები რუსეთის ბაზარზე ქართულ და მოლდოვურ ღვინოებს ღირსეულ კონკურენციას გაუწევენ," - აცხადებს ტაჯიკეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი. **24 საათი**

# აჭარაში პრივატიზაციის ჩაწყობებით დაწყებული პროცესი გრძელდება

პირველი გვერდიდან

"ნაციონალური მოძრაობის" აჭარის ორგანიზაციამ ბათუმში ოფისი შეიძინა. აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩაზე მდებარე სამსართულიანი შენობა (საერთო ფართი 480 კვ.მ) აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 91 504 აშშ დოლარად შეაფასა, აუქციონზეც გაიტანა და ერთადერთ მყიდველს, მმართველ პარტიას თითქმის საწყის ფასად - 93 504 დოლარად მიჰყიდა. ამ შენობაზე აუქციონი 22 მარტს გამოცხადდა და რეკორდულად მოკლე დროის შემდეგ, 27 მარტს ჩატარდა კიდეც. აუქციონის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ გაზეთ "აჭარაში" გამოცხადდა და ის ნომერიც ქსელიდან იქნა ამოღებული (ყოველ შემთხვევაში, ამ ნომრის მოძიება გაგვიჭირდა). აღსანიშნავია, რომ ქალაქის ამ უბანში საოფისე შენობებზე საბაზრო ფასები საკმაოდ მაღალია. მაკლერების განცხადებით: "აღნიშნულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ფართის 1 კვ მეტრი საშუალოდ 800 დოლარამდეა, ხოლო საოფისე ფართი 1000 დოლარად და უფრო მეტადაც იყიდება," - აცხადებს მაკლერი გიორგი საგინაძე.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ კარგად გარემონტებულ საოფისე შენობას საწყისი ფასი 1 კვმ-ზე 190 დოლარი დაადო. შედეგად, სახელისუფლებო პარტიამ ქალაქის პრესტიჟულ უბანში 1 კვ.მ 194 დოლარად შეიძინა.

ოფიციალურად, ამა თუ იმ შენობის (აგრეთვე, მიწის) საბალანსო ღირებულება ქალაქის ზონური კატეგორიების მიხედვით განისაზღვრება. აღნიშნული შენობა ქალაქის პირველ ზონას განეკუთვნება, ამიტომ მისი აღნიშნულ ფასად გაყიდვა აუქციონის ნორმებში, ბუნებრივია, არ ჯდება. "2005 წლის ტარიფების მიხედვით გავყიდეთ, ამიტომ ჩანს დღევანდელ ფასებთან შედარებით იაფი," - აცხადებს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს პრივატიზაციის განყოფილების უფროსი მიშა ჭავჭანიძე. თუმცა იმავე წელს გაყიდული შენობების ფასები სულ სხვას მეტყველებს. მაგალითად, გასულ წელს, მემედ აბაშიძის ქუჩაზე მდებარე მე-4 მუსიკალური სკოლის შენობის 1კვ.მ - 377,64 დოლარად, ხოლო გოგებაშვილის ქუჩაზე მდებარე შენობა - 256,9 დოლარად შეფასდა. ქუთაისის და რუსთაველის ქუჩაზე მდებარე არასაცხოვრებელი შენობის ფართებიც 209,4-256,6 დოლარზე ნაკლებად არ შეფასებულა.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ შენობას პირველმა "ნაციონალმა" ანუ ქვეყნის პრეზიდენტმა დაადგა თვალი და თავისთავად ცხადი იყო, რომ მას არავის დაუთმობდნენ. პარტია აღნიშნულ შენობას აუცილებლად რომ შეიძენდა, სააკაშვილმა წელიწადნახევრის წინ, იმავე შენობაში განაცხადა. აუქციონისა თუ კონკურსის ჩატარების "სახელისუფლო" მეთოდით კი, აღნიშნულ ფართზე ვაჭრობაც რომ დაწყებულიყო, პარტია, ალბათ, ყოველთვის მეტ ფსონს "ჩამოვიდოდა".

აღსანიშნავია, რომ ბათუმის მერია "ზემოდან" მიღებული დავალებით, მის ბალანსზე არსებული, წლების წინ საკუთრებაში გადაცემული ქონების სარგებლობის კანონიერებით ინტერესდება, აღნიშნულ შენობასთან დაკავშირებით კი "თვალს ხუჭავს". ბათუმის მერიაში აცხადებენ, რომ არ იციან, თუ ვის ბალანსზეა აღნიშნული შენობა. "ნაციონალებიც" ევროსტანდარტების დონეზე გარემონტებული მუნიციპალური ქონებით ასლან აბაშიძის რეჟიმის დამხობის მერე დღემდე ისე სარგებლობდნენ, არც მერიასთან, არც ერთ სხვა უწყებასთან არანაირი საიჯარო ხელშეკრულება არ გაუფორმებიათ. შესაბამისად, მისთვის არც ქირის გადახდა მოუთხოვია ვინმეს. ახლა კი შენობა ისე გაიყიდა, არც არავის მოუკითხავს, თუ რამდენად კანონიერად სარგებლობდნენ ამ ფართით აქამდე მმართველი პარტიის წარმომადგენლები და რამდენი ათასი ლარით იზარალა ბიუჯეტმა.

თუ რა თანხებით შეიძინა "ნაციონალურმა მოძრაობამ" პარტიის ოფისი, ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია. "ჩვენ ფინანსებთან შეხება არ გვაქვს, ამიტომ ვერც შემოწირულობების და ვერც სხვა თანხების შესახებ ინფორმაციას ვერ მოგცემთ," - აცხადებს მმართველი პარტიის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ქართლოს მახარაძე.

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენლები პრივატიზაციის პროცესის მიზანმიმართულ დარღვევებზე საუბრობენ. მათი თქმით, ზოგადად ბათუმში, თითქმის ყველა პრესტიჟული შენობა არა აუქციონით, არამედ კონკურსის წესით გაიყიდა, რაც ბიუჯეტისთვის სერიოზული ზარალია. აღსანიშნავია, რომ ასლან აბაშიძის მმართველობის დროს პრივატიზაციის პროცესი აჭარაში შეჩერებული იყო და წვრილმა მეწარმეებმა თავიანთი სამუშაო ობიექტების გამოსყიდვით თავის დროზე ვერ ისარგებლეს. დეპუტატ თამაზ დიასამიძის ინიციატივით, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც 100 ათას ლარს ქვემოთ ღირებული ობიექტების პირდაპირი წესით მიყიდვას ითვალისწინებს. ეს კანონი 2007 წლიდან ამოქმედდება: "ამ კანონს ძალიან ბევრი ადამიანი ელოდება, თუმცა შესაძლებელია, ეს იყოს ფანდი მეწარმეებისთვის, რის გამოც ისინი კვლავ იმედგაცრუებულები დარჩებიან - სანამ ახალი კანონი ამოქმედდება, მანამდე მოხდება ამ ობიექტების პრივატიზება, რადგან მიმდინარე წლის საპრივატიზაციო ნუსხაში ყველა ასეთი ობიექტი უკვე შეტანილია. თუ წლის ბოლომდე ყველა გაიყიდა, ამ კანონის მომლოდინეებს ისევ არაფერი შეხვდებათ," - აცხადებს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის თავმჯდომარე ტიტე აროშიძე. მისივე თქმით, საბალანსო ღირებულებით პირველ ზონაში არც ერთი ობიექტი არ უნდა გაიყიდოს. "კონკურსის წესით 600 ათას დოლარად გაყიდეს კინოთეატრი "თბილისი". თუმცა, აღნიშნული ტერიტორია აუქციონზე რომ გაეტანათ, გაცილებით ძვირად გაიყიდებოდა. შესაძლებელია, ხელისუფლებამ თავის მართლების მიზნით განაცხადოს და აცხადებს კიდეც, რომ ქალაქს კინოთეატრი სჭირდებოდა და ამიტომ წავიდა გარკვეულ დათმობაზე, მაგრამ ჩნდება ეჭვიც, იქნებ კონკრეტული პირების ბიზნესინტერესები გაითვალისწინა?"

აუქციონის გარეშე მოხდა ყოფილი კინო "რუსთაველის" ტერიტორიის შესყიდვაც. მიწის ფართი 1000 კვადრატულ მეტრამდეა, ტერიტორია კი მხოლოდ 45 ათას დოლარად გაიყიდა (აქ რესტორანი შენდება). რაც შეეხება "ნაციონალური მოძრაობის" მიერ სარფიანად შეძენილ ქონებას: "ამ ფასად ამხელა ფართის შესყიდვა, პარადოქსია. პირველ ზონაში 93 ათას დოლარად, შეიძლება, სამოთახიანი საცხოვრებელი ბინაც კი ვერ იყიდო. საკონკურსო წესით გაიყიდა ყოფილი ცენტრალური ბაზრის ტერიტორიაც. მისი მიწის ფართი 5147 კვადრატულ მეტრს შეადგენს. ის შპს "დელფმა" 269 ათას ლარად შეისყიდა. შპს-ს უკან სახელმწიფო მინისტრის, კახა ბენდუქიძის და მოიაზრება," - აცხადებს აროშიძე.

მსგავსი ფაქტები ბათუმში ძალიან ბევრია. მათ შორისაა გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე არასაცხოვრებელი ფართი, 135,72 კვ.მეტრი ფართით, რომელიც ნინო ჟვანიამ 27 ათას დოლარად შეიძინა. აროშიძის თქმით, "ქობულეთში, დაუმთავრებელი შენობა გაყიდეს 850 ათას დოლარად, მით უმეტეს, სოფელში. აუქციონის წესით გაცილებით მცირე ობიექტები სამმაგად და უფრო ძვირადაც იყიდება."

ტიტე აროშიძე ოდიოზურ ფიგურათა კერძო ინტერესებს ხედავს, ყოფილი "ლიბერტი ბანკის" გაყიდულ შენობაშიც. "ერთ-ერთი გერმანული ფირმა ბანკს მეანაბრეთა ვალებიანად ყიდულობდა, მაგრამ სახელმწიფომ ვალების რესტრუქტურიზაცია მოახდინა და სხვა პირს მიჰყიდა. ამით დააზარალა როგორც მისი მოქალაქეები, ასევე სახელმწიფო. თუ ასეა, რატომ არ ხდება უფრო მცირე ობიექტებზე ვალების ჩამოწერა? ამიტომ ჩნდება კითხვის ნიშნები."

ეკონომისტები იმასაც აცხადებენ, რომ გარკვეული მსხვილი ობიექტების გაყიდვის თუ გრძელვადიანი იჯარით გაცემის შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან ივენსტორის დოსიეს სათანადო გაშიფვრა არ ხდება, რის გამოც, შესაძლებელია, ქვეყანა გარკვეული დროის შემდეგ უხერხულობის ან ფინანსური ზარალის საშიშროების წინაშე დადგეს.

## გორში ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესი იწყება

გორში ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროგრამა იწყება. როგორც საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში განაცხადეს, გორში ინდივიდუალური მრიცხველი 11 ათას აბონენტს დაუმონტაჟდება. ენერგოკომპანიის ინფორმაციით, პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია 2050 აბონენტის გამრიცხველიანება, ამორტიზებული საყრდენი ბოძების, მოძველებული სადენების და კაბელების, მაღლივ კორპუსებში სატრანსფორმატორო პუნქტებიდან მკვებავი ძალოვანი კაბელების შეცვლა. "პროგრამის განხორციელების შედეგად მოსახლეობა ახალ მრიცხველებს მიიღებს, რაც მოაწესრიგებს აღრიცხვიანობას - მათ ზუსტად ეცოდინებათ, რა რაოდენობის დენი მოიხმარეს, აღარ იარსებებს ავარიული გამორთვები, რაც საშუალებას მოგვცემს, საზოგადოებას ელექტროენეგია მივაწოდოთ პროგნოზირებად დროს, მთლიანად მოხდება, ე.წ. "აბლაბუდას" ქსელის დემონტაჟი და ამ მხრივ ქალაქი ნორმალურ იერსახეს დაიბრუნებს," - აცხადებენ ენერგოკომპანიაში. მათივე ინფორმაციით, ენერგოკომპანია ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროგრამას საკუთარი და ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით განახორციელებს. **პრაიმ-ნიუსი**

## ჭიათურისა და საჩხერის რაიონებს ელექტრომომარაგება აღუდგება

ჭიათურის და საჩხერის რაიონებს ელექტრომომარაგება ოთხშაბათს აღუდგება. როგორც საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში განაცხადეს, ორშაბათს გვიან ღამით 35-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზ "ნიგოზეთის" ავარიული გამორთვის გამო ელექტროენერგიის გარეშე დარჩა 2500 აბონენტი საჩხერის და 4000 მომხმარებელი ჭიათურის რაიონში. როგორც ენერგოკომპანიაში აცხადებენ, ტექნიკურმა სამსახურმა აღდგენითი სამუშაოები დაიწყო, რათა ავარიის შედეგების ლიკვიდაცია ოპერატიულად მოხდეს. **პრაიმ-ნიუსი**

## ენგურის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების დასრულებას ივლისისათვის ვარაუდობენ

ენგურის ჰიდროელექტრო სადგურში სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. სპეციალისტები სამუშაოების დასრულებას მიმდინარე წლის 10 ივლისისათვის ვარაუდობენ. აფხაზურ სახელმწიფო კამპანია "ჩერნომორენერგო"-ს გენერალური დირექტორის რეზო ზანთარიას თქმით, ელექტროსადგურზე სერიოზული დაზიანებები არსებობს, რომლების სისტემის სრული დატვირთვით ამუშავებას უშლის ხელს. შეგახსენებთ, რომ ენგურჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი აფინანსებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ელექტროკავშირის" პრივატიზების შესახებ განაცხადების მიღება იწყება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ოთხშაბათიდან შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის" იჯარით გადაცემის და "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" (ელექტროკავშირი) პრივატიზების შესახებ საკონკურსო განაცხადების მიღებას დაიწყებს. როგორც სამინისტროში განაცხადეს, ნავსადგურის 49-წლიანი იჯარით გადაცემა და "ელექტროკავშირის" პრივატიზება კონკურსის წესით მოხდება. სამინისტროს ინფორმაციით, ნავსადგურის საიჯარო ქირის საწყისი ღირებულება 35 მლნ აშშ დოლარია, ხოლო "ელექტროკავშირის" საწყისი გასაყიდი ფასი - 50 მლნ აშშ დოლარი. სახელმწიფო შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის" 100%-იანი წილის მფლობელია, ხოლო სს "ელექტროკავშირში" - აქციათა 90,65%. ორივე ობიქტთან დაკავშირებით საკონკურსო ვაჭრობა 12 მაისს გაიმართება. როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პრივატიზების დეპარტამენტის თავმჯდომარე ილია გოცირიძემ განაცხადა, "ელექტროკავშირის" მყიდველს ასევე გადაეცემა შპს "საქართველოს რკინიგზის" კუთვნილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის 4 წყვილი. გოცირიძის განმარტებით, ქონების გადაცემის პროცესი ობიექტის მყიდველთან ხელშეკრულების დასრულებამდე დასრულდება. საკონკურსო პირობების მიხედვით, მომავალმა მოიჯარემ და მყიდველმა თანხები ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვეში უნდა დაფარონ. პორტის მოიჯარემ ყოველწლიურად არანაკლებ 6 მლნ ტონის ოდენობის ტვირთები უნდა გადაზიდოს, ხოლო "ელექტროკავშირის" მყიდველს 3 წლის განმავლობაში კომპანიის პროფილის და მომსახურების არეალის შენარჩუნება ევალება. **პრაიმ-ნიუსი**

## TV5MONDE

### 12 აპრილი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 16.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** რომის იმპერია. დოკ. ფილმი. **07.20** ქრონიკები მთიდან. **08.30** ტელედილა. **10.30** ეკატერინე. სერიალი. **11.05** ბალი და დასვენება. **12.15** პირველი ხმოვანი კინო. დოკ. ფილმი. **14.05** TV5-ის სამყარო. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. 16.30. უცნობი გოგო. მხ ფილმი. რეჟისორი დიდიე ბიველი. 2004. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.35** ჩვენი პლანეტა თვალის ერთი გადავლებით. **23.00** პარარა პარიზელი ბიჭი. მხ ფილმი. რეჟისორი სებასტიენ გრალი. 2002. **01.20** მკვლელობის ღამე. სერიალი.

## ს.ს. "პროკრედიტბანკი" აცხადებს ტენდერს საკანცელარიო - საოფისე საქონლით ბანკის მომარაგებაზე

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი შემოთავაზებები დალუქული კონვერტით და წარწერით მარიამ ღუდუშაურს, კონფიდენციალურია.

**მისამართზე:**
**ს.ს. "პროკრედიტბანკი"**
**სათაო ოფისი**
**მარიამ ღუდუშაური**
**დ. აღმაშენებლის 154.**
**თბილისი**
**ტელ: 202222 შიდა: 2074**

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 28 აპრილი.

**დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დამიკავშირდით ელ. ფოსტაზე: m.gudushauri@procreditbank.ge**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ტენდერს ავტომანქანების შესყიდვაზე და მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

ავტომანქანების შესყიდვაზე განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად:

**ლოტი N1**
**1 ერთეული მაღალი განმავლობის ჯიპის ტიპის ავტომანქანა.**
გამოშვების წელი 2006
5 კარიანი, 2,7 ლ ბენზინი, 4X4, 181 ცხ.ძ.
7 ადგილიანი.
4 სიჩქარიანი ავტომატური კოლოფი.
ABS+BA
მუხრუჭის ელ. დიფერენციალი.
საწვავის ავზი 87 ლიტრ.
მაგნიტაფონი რადიო, CD Canger-6cd.
6 დინამიკი, ანტენა.
უსაფრთხოების 2 ბალიში.

ავტ. კონდიციონერი, მარჯვენა-მარცხ. რეგულირებით.
ხის დეკორაცია.
იმობილაიზერი, სიგნალიზაცია.
უკანა შუშის გამათბობელი და გამწმენდი.
"17'' ალუმინის დისკი 265/65/17 საბურავით.
უკანა პარკირების სენსორი.
ელ.სარკეები ჩაკეცვით.
გვერდითი საფეხურები.
ქრომირებული სახელურები.
LSD დიფერენციალის ბლოკირება.
წინა სანისლე ფარები.
ტყავის საჭე და სიჩქარეების გადამრთველი.
სახურავის გამაძლიერებელი.
ელ. ფანჯრები, ცენტრალური საკეტი.
ნაჭრის სავარძლები.
ელ. ლუქი.
საწვავის ხარჯი 100 კმ-ზე 14-15 ლიტრი.

**ლოტი N2**
**6 ერთეული მეორადი მოხმარების სედანის ტიპის მსუბუქი ავტომანქანა, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:**
ოთხკარიანი;
საწვავის ტიპი - ბენზინი;
ძრავის მოცულობა - 1800-2300 სმ³;
სიჩქარე - არანაკლები 120 კმ/სთ;
სიჩქარის გადაცემცემი კოლოფი მექანიკური (5 წინა, 1 უკანა);
გამოშვების წელი -1995.-1999

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული ავტომანქანების მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ. თბილისში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შენობაში (მის: რუსთაველის გამზ. N30) ხელშეკრულების დადებიდან 5 დღის ვადაში.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 1 მაისის 17 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის N30 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მე-2 სართული, ოთახი N101.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:
მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000
გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ავტომანქანების ტენდერი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 2 მაისის 14 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიულ პირთათვის:**
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

**ფიზიკურ პირთათვის:**
- ინდივიდუალური მეწარმის მოწმობა;
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- პირადობის მოწმობის ქსეროასლი;

**ამ დოკუმენტებთან ერთად, როგორც ფიზიკურმა ისე იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:**
- ცნობა შსს-დან ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის ხელმძღვანელის ნასამართლობის შესახებ;
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს და ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

**შენიშვნა:** ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს საქონლის მიწოდების პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში. საკვალიფიკაციო მონაცემების შემცველი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის (ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის) სახით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 75-82-89. საკონტაქტო პირი: ირაკლი აბშილავა

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტი ( ქ. ბათუმი რუსთაველის ქ. N6) აცხადებს ორეტაპიან ტენდერს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთები-სა და სარეაბილიტაციო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურების (ინტელექტუალური მომსა-ხურების) სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.

3. დაინტერესებულმა პირებმა პირველად სადენტერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით).

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

4.1 იურიდიული პირისათვის;

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

4.2 ფიზიკური პირისათვის;

ა) ცნობას, საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის შესახებ.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის;

ა) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

ბ) ინფორმაზია ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ.

გ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

დ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან\და მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ.

ე) მონაწილის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, ბანკის რეკვიზიტები)

5. თუ პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვილიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სადენტერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაბზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე

6. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირველადი სადენტერო წინადადება ღირებულების გარეშე.

7. ინსტრუქცია პირველადი სადენტერო წინადადების შედგენის წესის შესახებ;

ა) პირველადი სადენტერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე;

ბ) პირველადი სადენტერო წინადადება ღირებულების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად ერთი დახურული კონვერტით;

გ) პირველადი სადენტერო წინადადებით წარმოდგენილი უნდა იქნას ზოგადი მონაცემები საზედამხედველო სამუშაოების შესახებ (თუ როგორ განახორციელებენ აღნიშნულ საზედამხედველო სამუშაოებს), რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სადენტერო დოკუმენტაციის და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

8. განაცხადი, პირველადი სადენტერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და წარმოდგენილი იქნას სადენტერო კომისიის აპარატში 2006 წლის 10 მაისიდან 2006 წლის 11 მაისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე:

ქ ბათუმი, რუსთაველის ქ, N6 პირველი სართული ოთახი N 16 ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

9. სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

10. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო დადებითი დასკვნა.

11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე, სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ზუსტი თარიღი დამატებით ეცნობებათ პრეტენდენტებს საექსპერტო დასკვნის მიღების შემდეგ) ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის

( აჭარის ა. რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიში N000142101 ბანკის კოდი: 220501102, საიდენთიფიკაციო კოდი: N 245538333 დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი რუსთაველის ქ. N6 პირველი სართული ოთახი N16 ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

12. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

13. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ის ოდენობით.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის წევრი: კობა ხინიკაძე, ტელ, 7-20-87 მისამართი: ქ. ბათუმი რუსთაველის

ქ N6 პირველი სართული ოთახი N16.

**სატენდერო კომისია**

# შპს "საქაერონავიგაცია" აცხადებს ტენდერს განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "საქაერონავიგაცია" აცხადებს ტენდერს შპს "საქაერონავიგაციის" საჰაერო მოძრაობის მართვის შენობის სისტემატური გარეცხვის (დასუფთავების) მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასყიდი მომსახურების ზოგადი აღწერა:

ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს შპს "საქაერონავიგაციის" საჰაერო მოძრაობის მართვის შენობის სისტემატური გარეცხვა (დასუფთავება) გარედან და შიგნიდან ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში ოთხ ჯერ. შპს "საქაერონავიგაციის" საჰაერო მოძრაობის მართვის შენობის საერთო ფართი შეადგენს 2800 მ2. ყველაზე მაღალი წერტილი 33 მეტრი. შენობის სურათების ნახვა შესაძლებელია შპს "საქაერონავიგაციის" ვებ გვერზე: http://www.airnav.ge

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილეობის მსურველ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, შეეძლებათ სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 4 მაისის 17 საათამდე,** მისამართზე: 0158, საქართველო, ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს "საქაერონავიგაცია".

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:
მიმღები - შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია" ს/კ 208144051
ა.ა. N111467601, "თი-ბი-სი" ბანკი, ც/ფ; კოდი 220101830

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საჰაერო მოძრაობის მართვის შენობის სისტემატური გარეცხვის მომსახურება

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 4 მაისის 10 დან 17 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

**იურიდიულ პირთათვის:**
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

**ფიზიკურ პირთათვის:**
- ცნობას, მისი ქმედუნარიანობის შესახებ (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან).

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**
- სატენდერო წინადადება ასევე უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;
- ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი ბოლო სამეურნეო წლის ამსახველი ბალანსი, მოგება-ზარალის უწყისი და აუდიტის დასკვნა);
- ცნობას მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაციას უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

**შენიშვნა:** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

კონვერტს უნდა მიეთითოს: რომ ის შეიცავს სატენდერო წინადადებას და მისი გახსნის უფლება აქვს მხოლოდ სატენდერო კომისიას.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის შემდეგ მისამართზე: 0158, საქართველო, ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს "საქაერონავიგაცია", ტელ: 274327, საკონტაქტო პირები ე. ბუთხუზი, ნ. შარაშანიძე. ვებ გვერდი: http://www.airnav.ge

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აცხადებს ტენდერს **სააგენტოს ცენტრალური ოფისის კონდიცირების სამუშაოების შესყიდვაზე** და გიწვევთ მასში მონაწილეობის მისაღებად.

ჰაერის კონდიცირება შესასრულებელია უკვე გარემონტებული შენობის I (დაახლოებით 231მ2), III (დაახლოებით 564მ2) და IV (დაახლოებით 456მ2) სართულებზე.

სისტემების მოწყობა შეზღუდულია რამდენიმე ფაქტორით:

- ფასადის დაკავება მოწყობილობებით დაუშვებელია;
- სისტემის მოწყობა ჰაერსატარების გავლით საოფისე სათავსებში შეზღუდულია შეკიდული ჭერის სიმაღლით. დიდი ზომის ღიობების მოწყობა ჰაერსატარებისათვის ძნელია კედლების სისქის გამო.

აქედან გამომდინარე, შეუძლებელი ხდება საოფისე სათავსებში ჰაერცვლა.

აღნიშნული შეზღუდვების გათვალისწინებით ფასადის მხარეს მდებარე საოფისე სათავსებისათვის უნდა შეირჩეს ჰაერის კონდიცირების სისტემა გარე ბლოკების გარეშე მომუშავე კედლისა და ჭერქვეშა კონდიციონერებით. ეზოს მხარეს მდებარე ოთახებში კი უნდა მოეწყოს კედლის შიგა-გარე ბლოკის ტიპის კონდიციონერები.

სერვერის ოთახში უნდა დაიდგას ორი სპეციალური კონდიციონერი სრული ავტომატიზაციით, რომელიც გარემოს დაუკავშირდება ჰაერსატარებით, ცენტრიდანული ვენტილატორების გამოყენებით.

კონდიცირების სამუშაოების შესრულების პროცესში წარმოქმნილი დაზიანებები აღდგენილ უნდა იქნეს პირვანდელ მდგომარეობაში.

2. სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2006 წლის 5 ივლისამდე.

3. მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ორ ეგზემპლარად, მოთავსებული ერთ დახურულ პაკეტში, 2006 წლის 2 მაისიდან 3 მაისის 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახურში (III სართული).

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ე) აუდიტის დასკვნა გასული წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ვ) სასამართლოს დადგენილება ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ, წესდება (ასლი);

ზ) საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

თ) ცნობა საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

ი) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ლიკვიდაციის და სანაციის საქმის წარმოება;

**ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

გარდა ამისა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი და ვადაგასული.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 3 მაისამდე, სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2 (ხეთაგუროვის ქ.N2), სააგენტოს შესყიდვების სამსახურში (III სართული).

7. სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხულ უნდა იქნეს:

მიმღების დასახელება - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიში N200122900, მიმღები ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი N220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, დამატებითი ინფორმაცია - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - 8191.

8. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 3 მაისს, 12 საათზე.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:

**გიორგი უშვერიძე** - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი,
საკონტაქტო ტელეფონი: 91-05-17
ფაქსი: (995 32) 91-03-41
მისამართი: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახური (IIIსართული).

**სააგენტოს სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის გლდანი-ნაძლადევის რაიონის გამგეობა (მისამართი: სარაჯიშვილის გამზირი N1) აცხადებს ღია ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე გზების, მოედნებისა და ტროტუარების მიმდინარე (ორმული) შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესაკეთებელი გზების, მოედნებისა და ტროტუარების სავარაუდო საერთო ფართობი 18500 კვმ.**

**2.** Qმიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 Qწლის 1 ნოემბრისა.

**3.** განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნეს სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 3 მაისის 11 საათიდან 2006 წლის 4 მაისის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი სარაჯიშვილის გამზირი N1, III სართული, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნეს ერთად ერთ დახურულ კონვერტში.

**4.Q** პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების ჩამონათვალი:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

a) ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**4.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:**

a) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

b) ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში გაწეული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

გ) ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

დ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და QQQგამოცდილების შესახებ.

**5.** თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

**6.** სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი არასაგადასახადო ანგარიში გლდანი-ნაძალადევის რაიონი N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: N300014040, დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 12 აპრილიდან 2006 წლის 2 მაისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი სარაჯიშვილის გამზირი N1, III სართული, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.

**7.** ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშელრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 4%-ის ოდენობით.

**8.** ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**9.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნანა ლომჯარია საკონტაქტო ტელეფონი: 62-96-73 და ნინო კიკვაძე საკონტაქტო ტელეფონი 65-25-13, მისამართზე: სარაჯიშვილის გამზირი N1 III სართული, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.

სატენდერო კომისია

# განცხადება ჩატარებული ტენდერების შესახებ

ს.ს.ი.პ. საქართველოს განათლების სისტემაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის ფონდ "ირმის ნახტომის" მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის ინტერნეტ-მომსახურების შესაძენად 2006 წლის 2 თებერვალს გამოცხადებულ ტენდერში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და გაფორმდა ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან:

| ლოტი | გამარჯვებული |
|---|---|
| I | შპს "კაუკასუს ნეტვორქი" |
| II, III, V, VI, VII, VIII, IX, X, XI | შპს "ჯორჯია ონლაინი" |
| IV | შპს "რკინიგზის ტელეკომი" |
| XII, XIII, XIV | სს "ტელენეტი" |

ს.ს.ი.პ. საქართველოს განათლების სისტემაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის ფონდ "ირმის ნახტომის" მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დაცვითი მომსახურების შესაძენად 2006 წლის 16 თებერვალს გამოცხადებულ ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული- ს.ს.ი.პ. "დაცვის პოლიციის დეპარტამენტი" და გაფორმდა ხელშეკრულება.

ფონდი "ირმის ნახტომი", დ.უზნაძის ქ. №52.
www.dlf.ge info@dlf.ge

## შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური" 2006 წლის 2 აპრილს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ განცხადებას აცხადებს გაუქმებულად და აქვეყნებს ახალ განცხადებას კონკურსის ჩატარების შესახებ:

შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ. N11-ში მდებარე 6000 ც. დაბალხარისხიანი სარკინიგზე სალიანდაგე განძელების ე.წ. "შპალების" გაყიდვაზე.

ერთი ცალი განძელის საწყისი ფასია 10 (ათი) ლარი. განძელების მთლიანი საფასური გადახდილ უნდა იქნეს ერთიანად. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტი ვალდებულია შეიტანოს ბე 3000 ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე: **სს თიბისი ბანკის ბათუმის ფილიალი, მფო 220 101 835, საანგარიშსწორებო ანგარიში 34700347, საიდენტიფიკაციო ნომერი 245383678.**

განცხადებების მიღება წარმოებს 2006 წლის 12 აპრილიდან 2006 წლის 12 მაისის 18 საათამდე. მონაწილეთა წინადადებების გახსნა მოხდება 2006 წლის 15 მაისს 12 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინონ შემდეგი მონაცემები:

- განცხადება, რომელშიც სავალდებულოა აისახოს ქონების დასახელება და მონაწილის თანხმობა საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
- მონაწილის წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში დალუქული სახით;
- ბეს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
- პირადობის მოწმობის მონაცემები;
- ნოტარიალური წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის ძირითადი კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის შემოთავაზება. განაცხადების მიღება წარმოებს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, ტელ. +995 (222) 7 62 60, 7 69 58, საკონკურსო კომისია DEG

**გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ერთობლივი პროექტი "სნსკ-ს** შესაძლებლობათა ზრდა" აცხადებს ტენდერს "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ძირითადი საშუალებების აუდიტისა და შეფასების თაობაზე".

აუდიტის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ძირითადი საშუალებების შეფასება, ასევე საშუალებების მართვის პროცესის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების მიცემა მათი დახვეწის შესახებ, რათა შესაძლებელი გახდეს შემდგომში მართვის პროცესების გაუმჯობესება. შეფასება უნდა ჩატარდეს მსოფლიოში დამკვიდრებული ძირითადი საშუალებების მართვის კარგი გამოცდილებისა და აუდიტის კრიტერიუმების შესაბამისად.

დეტალური ინფორმაციის მიღება ტენდერის თაობაზე შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:

საქართველოს საერთაშორისო ნავთობკორპორაცია
საქართველო, თბილისი 0102, წინამძღვრიშვილის ქუჩა 90
ტელ: (995 32) 244000
ფაქსი: (995 32) 244002
E-mail: mabashidze@gioc.ge
www.undp.org.ge/News/tenders.html

წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2006 წლის 18 აპრილი, 18.00.

## მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის II პროექტი

**მსოფლიო ბანკის კრედიტი. 3701-GE**
**საკონსულტაციო მომსახურება**
**ინტერესის გამოხატვა**
**თვითმმართველი ერთეულების ინტეგრირებული**
**საბიუჯეტო-საფინანსო ანგარიშგების სისტემის შექმნა**

საქართველომ მიიღო კრედიტი განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (IDA), და აპირებს ამ საკრედიტო თანხის ნაწილი მოახმაროს თვითმმართველი ერთეულების ინტეგრირებული საბიუჯეტო-საფინანსო ანგარიშგების სისტემის კონტრაქტის ფარგლებში განსახორციელებელ გადახდებს.

მომსახურება ითვალისწინებს: "ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას; კადრების მომზადებას და ტრენინგს.

კონსულტანტის კვალიფიკაცია ამ დავალებისათვის მოიცავს გამოცდილებას საფინანსო-საბიუჯეტო პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაში, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ხაზინის პროგრამის ცოდნას.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს, რათა მათ გამოხატონ მომსახურების მიწოდების ინტერესი. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება და ინფორმაცია, იმის დასტურად რომ ისინი კვალიფიცირებულნი არიან ზემოხსენებული მომსახურების დარგში (ბროშურები, მსგავსი საქმიანობის აღწერა, ანალოგიურ პირობებში მუშაობის გამოცდილება, სათანადო უნარ-ჩვევების მქონე კადრების არსებობა, და ა.შ.). კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ თავიანთი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. კონსულტანტი შეირჩევა მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპებში მითითებული პროცედურების შესაბამისად: კონსულტანტების შერჩევა და აყვანა მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ, 1997 წლის იანვარი (შესწორებული 1997 წლის სექტემბერში, 1999 წლის იანვარში და 2002 წლის მაისში).

დაინტერესებულ კონსულტანტებს შეუძლიათ 10.00-დან 18.00 საათამდე მოიპოვონ დამატებითი ინფორმაცია ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

ინტერესის გამოხატვა უნდა მოეწოდოს ქვემოთმოყვანილ მისამართზე არაუგვიანეს 2006 წლის 1 მაისისა.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**საქართველო, თბილისი 0105, იეთიმ გურჯის 7ბ**
**ტელ: 943240, 942947, 923470, 923469**
**ფაქსი: 940439**
**ელ-ფოსტა: PROCUREMENT@MDF.ORG.GE**

# განცხადება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ თითოეულ საარჩევნო ოლქში ერთიანი საარჩევნო სიების ელექტრონული ვერსიის შექმნის, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ამ საარჩევნო ოლქებიდან ერთიანი ინფორმაციის მიწოდების საშუალებების შერჩევისა და მიღებული მასალის დამუშავების საშუალებების შესყიდვაზე ჩატარებულ ღია ორეტაპიან ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "გეოანალიტიკა".

# განცხადება

სს "ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი"-ს მიერ მედიკამენტების, რეაქტივებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების შესყიდვაზე ა.წ. 30 მარტს გამოცხადებულ ტენდერის განცხადებაში შესასყიდი საქონლის ნუსხაში დამატებების შეტანის შესახებ

განცხადებაში მითითებული ორი ლოტის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს შემდეგი ლოტები:

ლოტი 1 - მედიკამენტები (უცვლელად);

ლოტი 2 - იყოფა ორ ლოტად: სამედიცინო დანიშნულების საგნები ლოტი 2 და რეაქტივები ლოტი 3;

ლოტი 4 - უსაფრთხო სისხლის დიაგნოსტიკუმები;

ლოტი 5 - ბაქტერიოლოგიური კვლევის საშუალებები.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სს "ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს" ალ. ყაზბეგის №22. ტელ: 39-16-39.

# სატენდერო განცხადება

1. შპს "საქაერონავიგაცია", რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საქართველოს საჰაერო სივრცეში და თბილისის აეროპორტის აფრენა-დაფრენის ზონაში საჰაერო მოძრაობის მომსახურება და ფრენის უსაფრთხოების დაცვა აცხადებს ორეტაპიან ტენდერს სარეკლამო ვიდეო და რადიო რგოლების (10-წამიანი, 20-წამიანი, 1-წუთიანი) დამზადების და განთავსების მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია შემდეგი მომსახურება:
2006 წლის სარეკლამო სტრატეგიისა და პროექტის მომზადება;
სარეკლამო კლიპების სცენარების მომზადება;
სარეკლამო კლიპების დამზადება (გადაღება);
სარეკლამო კლიპების ტელე და რადიო ეთერში განთავსება.

მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

2. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:
მიმღები - შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია" ს/კ 208144051
ა.ა. N111467601, "თი-ბი-სი" ბანკი, ც/ფ; კოდი 220101830
გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სარეკლამო მომსახურება,

3. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ 2006 წლის 3 მაისის 1700-საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია". ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველს შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც. სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო ვარიანტის მიღების დრო და ადგილი მეორე ეტაპზე გასულ პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით.

4. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და პირველადი სატენდერო წინადადება (ფასის) ღირებულების მითითების გარეშე, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 3 მაისის 1000-დან 1700-საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია". დასაშვებია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და პირველადი სატენდერო წინადადების წარმოდგენა უცხო ენაზე ნოტარიულად დამოწმებული ქართულ ენაზე თარგმანის დართვით.

**5 საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:**

5.1 იურიდიული პირებისათვის:
ა). ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ). ცნობა სასამართლოდან, რომ იურიუდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა ან სანაციის (რეაბილიტაციის) საქმის წარმოება;
გ). ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია
დ). ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ერ. სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

5.2 ფიზიკური პირებისათვის:
ა). ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ). ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

5.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:
ა) ინფორმაცია ბოლო 5 წლის მანძილზე განხორციელებული ანალოგიური სარეკლამო მომსახურების შესახებ, რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისი ნიმუშების (კლიპები, სცენარები, სარეკლამო სტრატეგიები, განთავსებული კლიპების მედია გეგმები) წარმოდგენით;
ბ) სარეკლამო ბაზარზე მოღვაწეობის მინიმუმ ხუთი წლის გამოცდილება;
გ) სარეკლამო რგოლების დამზადების მინიმუმ ხუთი წლის გამოცდილება;
დ) შესაძლებლობა იმისა, რომ სარეკლამო რგოლები აკმაყოფილებდეს სტანდარტებს, რომლებიც მისაღებია საერთაშორისო სატელევიზიო და რადიო სივრცეებისათვის;
ე) შესაძლებლობა იმისა, რომ რგოლები დამზადდეს სხვადასხვა ენებზე;
ვ) ინფორმაცია ბანკიდან თანხების ბრუნვის თაობაზე და/ან ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი ბოლო სამეურნეო წლის ამსახველი ფინანსური უწყისები (ბალანსი; მოგება ზარალის უწყისი) და აუდიტის დასკვნა);
ზ) საქმიანობის ისტორიისა და გამოცდილების ამსახველი რეზიუმე (სასურველია წარსულში დამზადებული ვიდეო და აუდიო მასალის თანხლებით კომპაქტ დისკებზე საყოველთაოდ მიღებული ფორმატით) დამოწმებული ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით;
თ) ინფორმაცია/CV/, კომპანიის ხელმძღვანელისა და სარეკლამო რგოლების რეჟისორის/ების/, აგენტის/ების/ ან/და იმ პირის/პირთა/ შესახებ, რომელთა უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდება რგოლების დამზადება და განთავსება.

5.4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

**6. ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადებების შედგენის წესის შესახებ**:

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პროექტის სახით 2006 წლის შ.პ.ს. "საქაერონავიგაციის სარეკლამო რადიო სატელევიზიო სტრატეგიის შესახებ, საეთერო რგოლების სცენარებს და რგოლების განთავსების მედიაგეგმებს.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს ბიზნეს-გეგმას - დამოწმებულს ხელმძღვანელის ხელმოწერითა და საწარმოს ბეჭდით, რომელიც დეტალურად მოიცავს:
ა) იდეას, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს საქაერონავიგაციის მიღწევებისა და მისი ახალი სერვისების პრომოციაზე, რაც უნდა მოექცეს ზოგადად საქართველოს მიერ განვითარებისკენ გადადგმული უკანასკნელი ნაბიჯების, ასევე კომპანიის მიერ მოპოვებული საერთაშორისო აღიარების მნიშვნელობის ჩარჩოებში;
ბ) პროცესის განხორციელების გზებსა და მეთოდებს;
გ) პროცესის გრაფიკსა და ვადებს;
დ) ხარჯთაღრიცხვას ფასების მითითების გარეშე;
ე) შესაძლებლობებისა და გამოცდილების დემონსტრირებას სარეკლამო რგოლების საერთაშორისო ტელე-რადიო კომპანიების ეთერში განთავსების თვალსაზრისით (მაგალითად: Euronews, BBC, CNN და ა.შ.);
ვ) შესაძლებლობებისა და გამოცდილების დემონსტრირებას სარეკლამო რგოლების 3 და 6-თვიანი ხანგრძლივობით განთავსების თვალსაზრისით, მიღებული სატარიფო პოლიტიკის გათვალისწინებით;
ზ) შესაძლებლობებისა და გამოცდილების დემონსტრირებას სარეკლამო რგოლებში ცნობილი სახეების, პოპულარული საზოგადო მოღვაწეებიისა და პირების მოწვევისა და ჩართვის თვალსაზრისით, როგორც საქართველოს შიგნით ისე მის გარეთ.

პირველადი სატენდერო წინადადების შეფასებისას მხედველობაში მიიღება:
- სარეკლამო სატელევიზიო სტრატეგიის შესაბამისობა და ეფექტურობა;
- რადიო სატელევიზიო რგოლების სცენარების სტრატეგიული შესაბამისობა;
- რადიო სატელევიზიო რგოლების განთავსების მედიაგეგმების ეფექტურობა და ხარჯების მიზანშეწონილობა.

7. მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სატენდერო კომისიის აპარატში ზემოაღნიშნულ მისამართზე. საკონტაქტო პირები - ეკა ბუთხუზი, ეკა გურგენაძე, ტელ: + 995 32 274327.

**ინტერნეტ მისამართი: www.airnav.ge**

სატენდერო კომისია

კონვერტს უნდა მიეთითოს: რომ ის შეიცავს სატენდერო წინადადებას და მისი გახსნის უფლება აქვს მხოლოდ სატენდერო კომისიას; რომ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამოყენება ტენდერის გარდა სხვა მიზნებისთვის დაუშვებელია.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქედის რაიონის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს სასმელი წყლის წყალსადენებისათვის პოლიეთილენის მილების და სარწყავი არხებისათვის გოფრირებული პოლიეთილენის მილების სახელმწიფო შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტის ჩამონათვალი:

| № | საქონლის დასახელება | ზომის ერთ. | დ=20 მმ | დ=32 მმ | დ=4 მმ | დ=50 მმ | დ=200 მმ | დ=250 მმ | დ=30 მმ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პოლიეთილენის მილი | გრ.მ | 9250 | 45430 | 29400 | 41210 | | | |
| 2 | გოფრირებული პოლიეთილენის მილი | გრ.მ | | | | | 550 | 300 | 450 |

3. სასმელი წყლის წყალსადენების პოლიეთილენის მილის შეძენის განმსაზღვრელი პირობაა: მისი ეკოლოგიური უსაფრთხოება, სახელმწიფო სტანდარტების დაცვა, წნევაგამძლეობა (არანაკლებ 6 ატმოსფეროსი).

4. მიწოდების ვადა - 2006 წლის 1 ივლისამდე.

5. მიწოდების ადგილი - ქედის რაიონი, დაბა ქედა.

6. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ერთი ასლი) 2006 წლის 3 მაისის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ. №1, მე-3 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი. წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება იმავე დღეს 18 საათამდე, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:

7.1. იურიდიული პირისათვის:
ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან, მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შსს).

7.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შსს);
გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან).

7.3. დამატებითი მოთხოვნები:
ა) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ;
ბ) ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

8. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. დაგვიანებით წარმოდგენილი წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება უკან პრეტენდენტს.

10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 2006 წლის 17 აპრილიდან 1 მაისამდე სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდეგ (ანგარიშზე: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში № 200122900, მიმღები საქართველოს ეროვნული ბანკი, მფო 220101107, სახაზინო კოდი 300704040, დანიშნულება ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) მისამართზე: დაბა ქედა, მ. კოსტავას ქ. №1. ქედის რაიონის გამგეობა.

11. დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ. №1, მესამე სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.
ტელ.: 888 235 5-00-16, მობილ. 899 98-50-35.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აცხადებს ტენდერს **კომპიუტერებისა და კომპიუტერული მოწყობილობების შესასყიდად** და გიწვევთ მასში მონაწილეობის მისაღებად.

| N | დასახელება | სპეციფიკაცია | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | პერსონალური კომპიუტერი 1 | Intel P4 3.0, LGA 775socket, Chipset Intel 945, system bus support 533/800/1066 MHz, 1xParallel, 1xCom, LAN 10/100 Maps, 2x PCI, 1x PCI Express 16x, 1x PCI Express 1, RAM 2 x 256 MB DDR 533, FDD 1.44, HDD 160GB SATA 7200rpm(NCQ and 3GBit), CD-DVD RW, NVIDIA GeForce 7300LE 256MB True Memory, Optical Mouse, Keyboard, MONITOR 17" LCD 17" 12ms, 500:1, 300cd/m2, Warranty 3 years | 50 | ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ ნ.ჩხეიძის ქ.N2 |
| 2 | პერსონალური კომპიუტერი 2 | AMD Athlon 64 3500+, Socket 939, dual channel technology,4x USB 2.0 rear, 2x USB 2.0 in front, , 1xParallel, 1xCom, LAN 1Gbps, RAM 2GB (4x512MB), FDD 1.44, HDD 250GB SATA 7200rpm, 2x PCI, 1x PCI Express 16x, 1x PCI Express 1, CD-DVD RW, NVIDIA GeForce 7300LE 256MB True Memory, Optical Mouse, Keyboard, Monitor 17" LCD resolution 1280x1024, Pixel Pitch 0.264 mm, Contrast typical 1500 : 1, Horizontal 178°, Vertical 178°;1 x analog, 1 x DVI-D digital, TCO 03; Warranty 3 year | 10 | |
| 3 | პერსონალური კომპიუტერი 3 | AMD Athlon 64 X2 3800+, 2000MHz PSB, 512 KBx2 SLC, socket 939, dual core, dual channel technology,4x USB 2.0 rear, 2x USB 2.0 in front, , 1xParallel, 1xCom, LAN 1Gbps, RAM 2GB (4x512MB), FDD 1.44, HDD 250GB SATA 7200rpm, 2x PCI, 1x PCI Express 16x, 1x PCI Express 1, CD-DVD RW, ATI FireGL™ V5100 Video 3D 128 MB 256bit PCI-EXPRESS, Optical Mouse, Keyboard, Monitor 20" LCD resolution 1600x1200, Contrast typical 900 : 1, Horizontal 178° Vertical 178°, 1 x analog, 1 x DVI-D digital, TCO 03; Warranty 3 year | 2 | |
| 4 | ნოუთბუკი | Processor: Intel® Core™ Duo T2500 (Dual 2.0GHz) Second level cache 2048 Front side bus (FSB) 667 MHz; Memory: DDR2-667 SDRAM, 667 MHz 2GB; HDD: 80 GB S-ATA 150 (5400 rpm); Display: 15.4-inch TFT WSXGA+ / 1680 x 1050 pixel; Video: ATI Mobility™ Radeon® X1400 graphics 128MB GDDR3 V-RAM; Connectivity: WLAN Intel 3945 a\b\g, 56K V.92 modem, built-in 10/100/1000 Mbps LAN, Bluetooth V2.0 (with separate antenna), IEEE1394, Infrared link (Fast IrDA 1.1, 4 Mbps); CD/DVD: DVD+/- RW Dual layer (+R) Multiformat DVD writer with double layer support; Interface: Type I/II PC Card slot, Memory card slot (SD), 4 x USB 2.0, S-Video out (TV-out), 2nd Battery, BT Mouse rechargeable, Carrying Case; < 2.6 kg Warranty 3 year | 3 | |
| 5 | პრინტერი ლაზერული | LASERJET, A4, 14ppm, 5000p/month, paper unit 150sh, RAM 2 MB, USB 2.0 | 40 | |
| 6 | ფაქსის აპარატი | Thermal Fax | 40 | |
| 7 | უწყვეტი კვების წყარო | UPS 650 VA | 67 | |
| 8 | ქსელური მოწყობილობა | HUB 16x1GB port | 1 | |
| 9 | პრინტრი ჭავლური | COLOR INKJET A4/A3, 660dpi black,1200dpi color, 14ppm black,11ppm color 5000p/month, RAM 8 Mb, LPT, USB 2.0 | 1 | |
| 10 | ასლგადამღები აპარატი | A4/A3, 16 ppm, paper unit 500sh, manual feeder, with 2 x toner | 30 | |
| 11 | კლავიატურა | PS/2 Keyboard | 20 | |
| 12 | თაგვი | PS/2 Optical Mouse | 20 | |
| 13 | ფლეშ-მეხსიერება | USB Flash Drive 1GB | 25 | |
| 14 | მულტი ფუნქციონალური მოწყობილობა | All in one, A4, 20 ppm, 1200x600 dpi 250 sheet A4 paper cassette, 20 copies per minute with 600 dpi, scanner with resolution 1200x2400 dpi | 4 | |

2. კომპიუტერებისა და კომპიუტერული მოწყობილობების სრული მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 2 თვე, ეტაპობრივად, ყოველი მოთხოვნიდან 20 დღის განმავლობაში.

3. მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ორ ეგზემპლარად, მოთავსებული ერთ დახურულ პაკეტში, 2006 წლის 2 მაისიდან 3 მაისის 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახურში (III სართული).

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;
დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
ე) აუდიტის დასკვნა გასული წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
ვ) სასამართლოს დადგენილება ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ, წესდება (ასლი);
ზ) საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
თ) ცნობა საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
ი) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ლიკვიდაციის და სანაციის საქმე;

**ფიზიკური პირებისათვის:**
ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;
დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
- ტექნიკის საგარანტიო პირობების დეტალურ განსაზღვრებას, ხელმოწერილს და ბეჭდით დამოწმებულს მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ.
- მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი და ვადაგასული.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 3 მაისამდე, სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2 (ხეთაგუროვის ქ.N2), სააგენტოს შესყიდვების სამსახურში (III სართული).

7. სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხული უნდა იქნეს:
მიმღების დასახელება - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიში N200122900, მიმღები ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი N220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, დამატებითი ინფორმაცია - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - 8191.

8. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 3 მაისს, 12 საათზე.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:
**გიორგი უშვერიძე** - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი,
საკონტაქტო ტელეფონი: 91-05-17

ფაქსი: (995 32) 91-03-41
მისამართი: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახური (IIIსართული).

**სააგენტოს სატენდერო კომისია**

# საააღდგომო კვერცხი

მზევინარ ხუციშვილი



აღდგომა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაულია. ზოგიერთი აცნობიერებს მის მნიშვნელობას, ელოდება იმიტომ, რომ იგი რელიგიური დღესასწაულია და წამს, რომ უფლის მადლით ყველაფერი კარგად იქნება. ზოგიერთისთვის ეს უბრალოდ, დღეა, რომელსაც თან ახლავს წითელი კვერცხები და პასკა.

ათ აპრილს ნაციონალური ხელოვნების ცენტრში არც პასკა ყოფილა და არც მხოლოდ წითელი კვერცხები, მაგრამ დღესასწაული ნამდვილად იყო. იქ საააღდგომო კვერცხების გამოფენაზე მიგვიწვიეს.

ასეთი სახის გამოფენა თბილისში პირველად მოეწყო. მისი ორგანიზატორები ნაციონალური ხელოვნების ცენტრი და სალონი DANO handmade-ია (ხელნაკეთი ნივთების შოკი). როგორც სალონის მფლობელმა ანუკი ნაცვლიშვილმა გვითხრა, "ეს ჩვენი ერთობლივი პროექტია, რომლის იდეა ნაციონალური ხელოვნების ცენტრს ეკუთვნის. ჩვენ გვინდოდა წინასააღდგომო განწყობილება შეგვექმნა, აქ არის გამოფენა-გაყიდვა, რომელიც 15 აპრილამდე გაგრძელდება, ხოლო შემდეგ ჩვენთან სალონში გადმოინაცვლებს. "გამოფენაში ოცდაათამდე შემოქმედი, მათ შორის ორი საბავშვო სტუდია იღებს მონაწილეობას და უამრავი ნამუშევარია წარმოდგენილი. კვერცხები სხვადასხვა მასალით არის შექმნილი: თექა, კერამიკა, ხე, ბისერი. ნაკეთობები ნატურალური და ხელოვნური საღებავებით მრავალ ფერშია მოხატული.

შემოქმედთა შორის საკუთარი ნამუშევრები წარმოდგენილი აქვთ კერამიკოს ნატალია წიკლაურს: "ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ გამოფენაში მივიღე მონაწილეობა, სამი კვირა ვმუშაობდი და ამდენ ხალხს რომ ვხედავ, ვხვდები ჩემი შრომის შედეგს, რითიც კმაყოფილი ვარ"; აგრეთვე ნინო კუსრაშვილს, რომელიც ხალხური რეწვის ოსტატია, უამრავი ფესტივალის და გამოფენის მონაწილე, 2005 წლიდან მუშაობს თექაზე: "აღდგომა ჩემი საყვარელი დღესასწაულია. დღევანდელი დღეც საგაზაფხულო და სადღესასწაულო იდეაა და მინდოდა ჩემს შემოქმედებაშიც ასახულიყო."

ხალხმრავალმა საზოგადოებამ, რომლებიც ემოციას და სიხარულს ვერ მალავდა შემოქმედთათვის არც ყვავილების თაიგული დაიშურა.

# მარჯანიშვილის თეატრში სეზონის გახსნა 15 მაისისთვის გადაიდო

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრში სეზონის გახსნა 15 მაისისთვის გადაიდო. თეატრალური სეზონის გახსნა მარჯანიშვილის თეატრში ჯერ კიდევ მარტის დასაწყისისთვის იყო დაგეგმილი, თუმცა სარემონტო სამუშაოების გამო, რამდენჯერმე გადაიდო.

თეატრის პრესსამსახურის ინფორმაციით, 15 მაისს პრემიერა შედგება. რეჟისორი გიზო ჟორდანია ბერტოლტ ბრეხტის პიესას, "სამგროშიან ოპერას" დგამს.

"დასი ჯერ კიდევ სარეპეტიციო დარბაზში მუშაობს. თეატრში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები ძალიან გაჭიანურდა. ამის გამო, მსახიობები ჯერ სცენაზე არც გადასულან. სეზონის გახსნის სავარაუდო თარიღად 15 მაისი დასახელდა", - აღნიშნეს თეატრის პრესსამსახურში.

*მედიანიუსი*

ცენტრ პოინტ ჯგუფი

იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.
სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში.
განვადება უპროცენტოა.

მსურველები დაგვიკავშირდნენ:
რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.

# თურქული თეატრი

## ფრანგული დრამატურგია და ქართველი რეჟისორი



10 აპრილს პირველად საქართველო-თურქეთის ურთიერთობის მანძილზე თბილისს ეწვია იზმითის მუნიციპალური დასი მოლიერის სპექტაკლით "ტარტიუფი". გასტროლს უჩვეულო ელფერი დაჰკრავდა, რადგან წარმოდგენილი სპექტაკლის რეჟისურა ქართველს, გია ანთაძეს ეკუთვნოდა, ამიტომაც, დარბაზში თურქული საელჩოსა და წარმომადგენლობის გარდა ქართველ თეატრალურ მოღვაწეებსაც იხილავდით. ეს ორმაგად გამოხატული ინტერესი გახლდათ, როგორც უცხოური თეატრის, ასევე საქართველოდან წასული ქართველი რეჟისორის მიმართ.

ბატონი გია 8 წლის წინ მიიწვიეს თურქეთში ბილკენტის უნივერსიტეტში სარეჟისორო და სამსახიობო ჯგუფების გასახსნელად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისთვის მოლიერის დრამატურგია უცხოეთში გაგრძელებული შემოქმედებითი წარმატების ერთ-ერთი მიზეზი გახდა, რადგან თურქული მხარის მის მიმართ ინტერესი მოსკოვის თეატრალურ ფესტივალზე გაუჩნდა, სადაც იხილეს თეატრალური უნივერსიტეტის სადიპლომო სპექტაკლი "ტარტიუფი".

როგორც რეჟისორის თურქული ენის უცვლელმა თარჯიმანმა და მისი ყოველდღიური შემოქმედებითი ნაბიჯების თვითმხილველმა ანზორ შამუგიამ გვიამბო, ქართველ რეჟისორებსა და ქართულ კულტურას თურქები არამარტო დიდ პატივს სცემენ, არამედ ენდობიან კიდეც, რადგან გია ანთაძის გარდა აღნიშნულ უნივერსიტეტში მიწვეული არიან რეჟისორები ცოტნე ნაკაშიძე, ზურაბ სიხარულიძე, ვარლამ ნიკოლაძე. ჩვენდა სამწუხაროდ მან თურქეთის მოქალაქეობა მიიღო და აქსან აქსაქალი გახდა. (ალბათ ეს მტკივნეული საკითხი ცალკე მსჯელობასა და განსჯას მოითხოვს), აქვე სასცენო მოძრაობას ასწავლის მსახიობი შოთა სხირტლაძე. როგორც გაირკვა, ის ფაქტი რომ სპექტაკლი სწორედ რუსთაველის თეატრში გაჟღერდა, თურქული მხარის სურვილი გახლდათ, მათთვის ამ თეატრთან და ბატონი რობერტ სტურუასთან ასოცირდება ქართული თეატრალური ხელოვნება.

თურქეთში თეატრალური კულტურა არცთუ დიდი ტრადიციების მატარებელია. მე-20 საუკუნის დასაწყისში სტამბულში არსებობდა კერძო თეატრები, რომლებსაც ძირითადად სომხები განაგებდნენ, მაგრამ ასეთი ტიპის თეატრებმა სერიოზულ წარმატებებს ვერ მიაღწიეს. აკადემიური თეატრი მოგვიანებით 1939 წლიდან იღებს სათავეს და მისი დამფუძნებლი ფაშიზმს გამოქცეული გერმანელი კარლ ებერტი გახლდათ, რომლის მოწაფე თურქეთიში ცნობილი მსახიობი ჯუნეიტ გოგჩერია. სწორედ მან გახსნა სარეჟისორო ფაკულტეტი და როგორც ჩანს, ამ დარგის განვითარება და მომავალი წარმატებები ქართველ რეჟისორებს მიანდეს.

რაც შეეხება იზმითის დასს, ის 12 წლისაა, გამოირჩევა მრავალფეროვანი რეპერტუარით. ფრანგი დრამატურგის, კერძოდ, "ტარტიუფის" დადგმის სურვილიც არა რეჟისორს, არამედ თეატრს ეკუთვნის. აიდინ სიგალი სპექტაკლში ორგონის როლის შემსრულებელია. მან დასის არჩევანი ასე ახსნა: **მსოფლიო გლობალიზაციას განიცდის და ამ პირობებში რელიგიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კერპის მსხვრევის პროცესი საინტერესოა. მიუხედავად ენობრივი ბარიერისა, ბატონი გია საინტერესო რეჟისორია და ის ისე გაწვდის მასალას ადვილი ხდება მუშაობა.**

სპექტაკლი საინტერესოდ წარიმართა. სცენაზე გათამაშებული ამბავი აქტუალურია, არ მოითხოვს ერთ კონკრეტულ დროსა და სივრცეს. ამიტომაც, ენობრივი ბარიერი ქართველი მაყურებლისათვის სერიოზულ პრობლემად არ ქცეულა. ორი ქვეყნის შეხვედრა შედგა. თურქული დასი დაგვემშვიდობა იმ იმედით, რომ ასეთი დღეები კიდევ განმეორდება.

მე კი თემას გადავუხვევ და ერთ აკვიატებულ აზრს მოგახვევთ. სპექტაკლის დასაწყისში ბატონმა რობერტ სტურუამ აღნიშნა, რომ თურქეთის ხელისუფლება სერიოზულად ზრუნავს თეატრალური კულტურის განვითარებისათვის და ბიუჯეტი ამისათვის წელიწადში 6 მილიონ დოლარს ხარჯავს. სამჯერ მეტს, ვიდრე ამას ქართული თეატრები იღებენ. იქნებ ამაში მაინც მიგვებაძა მეზობელი ქვეყნებისათვის. ამაზე დაფიქრება ნამდვილად ღირს!

გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





# "დურუჯის" პირველი ნაბიჯები

ნინო ბერელიძე

სულ ორი თვეა, რაც საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან არსებულმა თეატრმა "დურუჯმა" დაიწყო არსებობა. ამ თეატრს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ თანამოაზრეთა შემოქმედებითი ერთიანობა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს დავიწყებული კარგის გახსენება და აღდგენა საზოგადოებისათვის, ანუ დინების საპირისპიროდ სიარული. აქედან გამომდინარე, სიმბოლურია მისი სახელწოდებაც, რომლის კონცეფციამაც თავის დროზე გარდატეხა მოახდინა ქართული თეატრის განვითარების ისტორიაში. თეატრი დაარსდა თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა ენთუზიაზმზე ყოფილიყვნენ ერთად და ეკეთებინათ საყვარელი საქმე. მათმა შემართებამ მათი მასწავლებელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო და სანდრო ახმეტელის პრემიის ლაურეატი ალექსანდრე ქანთარიაც დაიყოლია სათავეში ჩასდგომოდა ახალ თეატრს.

ერთმორწმუნე კოლექტივისათვის მთავარი პრიორიტეტი სცენაზე კლასიკოსთა ნაწარმოებების შესრულება გახლავთ. უკვე მოასწრეს სამი პიესის დადგმა და მათ რეპერტუარში შედის სომერსეტ მოემის "აღთქმული მიწა", ჟან-პოლ სარტრის "ბუზები" და "სამი ფეთიანი დღე", რომელიც ჯერომ სელინჯერის რომანის "თამაში ჭვავის ყანაში" მიხედვით შეიქმნა. თეატრის არსებობის ერთადერთ წყაროს სპექტაკლებიდან შემოსული მიზერული თანხები წარმოადგენს. ამ ყველაფრის ფონზე ახალი თეატრის დაარსებას ბევრი ადამიანი სკეპტიკურად შეხედავს და ეს ნაწილობრივ მართალიც იქნება. ენთუზიაზმზე დაწყებული საქმის განხორციელება და შემდგომი განვითარება ძალიან რთულია ფინანსებისა და შესაბამისი მხარდაჭერის გარეშე. საერთოდაც, ჩვენი სინამდვილიდან გამომდინარე საკითხავი გახდა, საზოგადოებას საერთოდ სჭირდება თუ არა თეატრი, რომელიც ყოველთვის გამოხატავდა ერის სულიერების, კულტურის მაჩვენებელს და უდიდესი როლი ენიჭებოდა საზოგადოების გემოვნების ფორმირების საქმეში.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ თავისი პრინციპები და მოთხოვნები წაუყენა საზოგადოებას - გაჩნდა დაქირავებული და დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, თეატრი ცდილობს გახდეს რენტაბელური, რაც ხელს უშლის მსახიობის შემოქმედებით ზრდას და პირიქით, ხშირად ლიმონივითაც კი გამოწურავს. დიდი თეატრების სცენაზე კი სპექტაკლის დადგმა წარმოუდგენელ ფუფუნებას წარმოადგენს ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის და ამ მასშტაბებზე მორგებას თითქმის აღარავინ ფიქრობს და საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ აკადემიურ თეატრებში დამკვიდრებული ცნობილი რეჟისორები გარკვეულწილად, შემაფერხებელ მუხრუჭებადაც კი იქცნენ მომავალი თაობებისათვის.

ახალგაზრდა დასის ოპტიმიზმი და შემართება, რაოდენ ხანმოკლეც არ უნდა აღმოჩნდეს მათი არსებობა, თავისთავად უკვე ბევრის მთქმელია, რადგან თეატრის ხელმძღვანელის მთავარ მიზანს მსახიობების შემოქმედებითად აღზრდა და პროფესიონალებად ჩამოყალიბება წარმოადგენს. ბატონი ალექსანდრე სიამოვნებით საუბრობს პირველი კურსის ჯგუფზეც და მათ ნიჭიერებაზე, რომლებიც მალე შეუერთდებიან "დურუჯის" კოლექტივს. თეატრის ხელმძღვანელს ამ რთულ საქმეში საზოგადოების მხარდაჭერის იმედი აქვს და მადლიერებას გამოხატავს ბატონი გიგა ლორთქიფანიძის მისამართით, რომელმაც მათ თეატრის მოღვაწეთა კავშირის სცენა და შენობა დაუთმო. უახლოეს მომავალში ახალგაზრდა თეატრი ხელოვნების მოღვაწეთა კავშირშიდაც გადაინაცვლებს და ლადო ასათიანის შემოქმედებაზე შექმნილ, მხატვრული კითხვისა და ლიტერატურის საღამოს შესთავაზებს მაყურებელს.



სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# ფესტივალი "ქართული სული" 5 მაისს გაიხსნება

საპროდიუსერო ცენტრ "არტ რუსთავის" ორგანიზებული ფესტივალი "ქართული სული" 5 მაისს ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის კონცერტით გაიხსნება.

როგორც "არტ რუსთავის" დირექტორმა ზურაბ ჩხაიძემ განაცხადა, ფესტივალი ამ სახით წელს მეორედ ტარდება. ორი წლის წინ "ქართული სულის" ფარგლებში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ანსამბლ "რუსთავის" სამი კონცერტი, ხოლო მაყურებელთა თხოვნით ფესტივალმა უფრო ფართო მასშტაბი მიიღო და რამდენიმე კოლექტივი გააერთიანა.

6 მაისს ფესტივალის ფარგლებში გაიმართება მერაბ სეფაშვილისა და მისი მეგობრების კონცერტი, რომელზეც ყველა დროის პოპულარული სიმღერა შესრულდება.

როგორც მერაბ სეფაშვილმა "ინტერპრესნიუსთან" საუბრისას აღნიშნა, არ არის გამორიცხული, რომ შედგეს მისი დუეტი ანსამბლ "ქართულ ხმებთანაც".

9 მაისს დაგეგმილია "ქართული ხმების" კონცერტი, სახელწოდებით "ჩაკრულო". მასში მონაწილეობენ ანსამბლები - "ქართულ ხმები", "ფესვები", "ალილო", "სიმი", "ბათუმი", "მძლევარი" და "ბასიანი".

მეორე დღეს ფესტივალი ქართული ცეკვის საღამოს უმასპინძლებს და მასში მონაწილეობას მიიღებენ - "სუხიშვილები", "რუსთავი", "ხორუმი", "იმედი" და "პატარა რუსთავი".

ფესტივალის ყველაზე მნიშვნელოვანი დღე არის 11 მაისი, როდესაც მაყურებლის წინაშე რეჟისორი ლაშა ონიანი შოუ-პროგრამა "ჯორჯიან ენერჯით" წარდგება. გერმანიაში მოღვაწე რეჟისორმა, რომელიც ამ ფესტივალისთვის სპეციალურად მოიწვიეს, თავის პროგრამაში გააერთიანა მიმოდრამის თეატრი, ანსამბლი "რუსთავი", თეატრი "ნაბადი", "ბაგრატი" და კლასიკურ საკრავთა ბენდი.

როგორც ფესტივალის ორგანიზატორები გვპირდებიან, ეს იქნება ფესტივალის ყველაზე საინტერესო წარმოდგენა.

ფესტივალი "ქართული სული" საქველმოქმედო კონცერტით 12 მაისს დაიხურება.

*ინტერპრესნიუსი*